

გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ქართველობის გადასარჩენად

# ილორი



www.ilori.ge

E-mail: r.jalagania@mail.ru

№290 (349) 21 ოქტომბერი-4 ნოემბერი 2014 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი


**“სირცხვილი ის კი არ არის, რომ მეგრულად ლაპარაკობენ, არამედ ისაა, რომ დანარჩენმა ქართველებმა არ ვიცით მეგრული ენა” — აკაკი შანიძე**

# რევანში ერევანში!..

დღე არ გავა, პრესაში რომ არ გაჟღერდეს ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ავადსახსენებელი ნაციონალები სახელმწიფო გადატრიალებას ამზადებენ და კვლავ ძალისმიერი მეთოდით ცდილობენ ხელთ იგდონ ძალაუფლება. სიტყვა **“კვლავ”** სრულიადაც არ ნიშნავს იმის აღიარებას, რომ ნაციონალებმა მართლაც რევოლუცია მოახდინეს 2003 წელში, გმირულად მოქმედებდნენ და გარკვეული რისკის ფასად ჩამოაგდეს შევარდნაძის მთავრობა. ჩვენ უკვე არაერთგზის დავამტკიცეთ, რომ ე.წ. 2003 წლის **“ვარდების რევოლუცია”** იყო შევარდნაძის მიერ გათამაშებული ფარსი, რომელმაც ამერიკელებთან შეთანხმები, თაღლითური პოლიტიკური სცენარის გამოყენებით, საქართველოს თავში ჩაუყენა ამერიკელებისათვის ხელსაყრელი პოლიტიკური ძალა, რომელთა შორის პრაქტიკულად არ იყო ეთნიკური ქართველი და თავიდან ბოლომდე დაშნაკ სომეხთა შთამომავლებით იყო დაკომპლექტებული.

როგორც დათა თუთაშხია იტყოდა: ასეა ეს!

მართლაც, სად ჰქონდათ რევოლუციურ ქარტეხილებთან გამკლავების უნარი კურდღელივით მფრთხალ მიხეილ სააკაშვილს და მის სომეხ თუ ებრაელ **“თანამებრძოლებს”**, რომლებიც ისე გაიზარდნენ, რომ არასოდეს არაფრით გამოუჩენიათ თავი!

როგორც ამბობენ ხოლმე — ჩმორები იყვნენ და ჩმორებად შემორჩებიან საქართველოს ისტორიას. უბრალოდ, გული იმაზე მწყდება, რომ ყველა სხვა ისტორიულ უკუღმართობასთან ერთად საქართველოს 9 წლის განმავლობაში ედგა სათავეში ვიღაც სომეხი არამზადა, რომელსაც მამის სახელი დაბადებიდან საკმაოდ დიდი ხნის შემდეგ გამოუძებნეს!

ის, რომ სააკაშვილი ნაძირალა ინტრიგანია, ამასაც მოეძებნება თავისებური **“გამართლება”,** რადგან მისი თანამემამულეები მხოლოდ ინტრიგებით არსებობენ, განსაკუთრებით ქართველებისა და საქართველოს მიმართ და ყოველი მეთოდებით ცდილობენ ჩვენს დაკნინებას. და სწორედაც რომ სომხურ-დაშნაკური ინტრიგანული პოლიტიკის ნაწილი გახლავთ ის, რომ საქართველოს 9 წლის განმავლობაში პრეზიდენტობდა პირწავარდნილი დაშნაკი სააკაშვილი. ახლა კი, როცა ეს არაკაცი და მისი დაშნაკური ბანდა ისტორიის სანაგვეზე მოისროლა ქართველმა ხალხმა, მაინც უკან მოძვრებიან ლორწომოდებული სალამანდრებივით, რადგან ბოლომდე ვერ მიიყვანეს საქართველოს დაშლა-განადგურების დაშნაკური პროგრამა.

**“რევოლუციური განწყობის შექმნისთვის “ნაციონალები” აქტიურად გამოიყენებენ სტუდენტურ კავშირებს, პროფკავშირებს, სპორტულ კავშირებს, სოციალურად დაუცველ ადამიანებს, დევნილებს, ეროვნულ უმცირესობებს, რელიგიურ ორგანიზაციებს”** — ასკვნიან პოლიტოლოგები და მათი ეს კრთომა სრულიადაც არ არის საფუძველს მოკლებული.

ბოლო პერიოდში ექსპერტთა ნაწილს არაერთხელ გამოუთქვამს მოსაზრება, რომ გარკვეული პოლიტიკური ჯგუფები ქვეყანაში დესტაბილიზაციის პროვოცირებას ცდილობენ. აღნიშნულმა ექსპერტებმა თუ საზოგადოების წარმომადგენლებმა ზემოხსენებულის ერთ-ერთ დამადასტურებელ არგუმენტად მიიჩნიეს შს მინისტრ ალექსანდრე ჭიკაიძის განცხადება, რომლის თანახმად: **“ნაციონალების” მხრიდან ხელისუფლების ხელში ჩასაგდებად შეთქმულება მზადდება. არიან ჯგუფები, რომლებიც საკუთარი პოლიტიკური ინტერესების გასამყარებლად აურზაურის გამოწვევას შეეცდებიან. ამ ყველაფრის მიზანი კი დესტაბილიზაციაა, სახელმწიფო ინსტიტუტების დამხობა და საბოლოოდ, ხელისუფლების შეცვლა”.**

პოლიტიკოსებს მიაჩნიათ, რომ დღეს და ხვალ ქვეყნის შიდაუსაფრთხოებას არაფერი ემუქრება, თუმცა, დესტაბილიზაციის სავარაუდო გეგმა შესაძლოა, ქვეყანაში ქაოსის გამოწვევას რამდენიმე წლის შემდეგ ითვალისწინებდეს და შესაბამისად, ხელისუფლება ფხიზლად უნდა იყოს.

**“ნაციონალები”** სხვა ასპექტებშიც აქტიურ პროპაგანდას ეწევიან. ისინი გაიძახიან, რომ კრიმინალმა იმატა და ამის დამადასტურებლად ყველაფერს იყენებენ — ჭორს თუ მართალს. სამწუხაროდ, მათ მიაღწიეს მიზანს — ამის შესახებ საზოგადოებაში აქტიურად მსჯელობენ, ისევე, როგორც პრემიერისა და პრეზიდენტის დაპირისპირებაზე. ესეც ყურით მოთრეული თემაა. რაც უფრო ბევრს ვილაპარაკებთ ამაზე, ჩათვალეთ, რომ **“ნაციონალების”** მიზანი მიღწეულია. არადა, ჩვენი აზრით, კრიმინალური ფონის კუთხით საგანგაშო არაფერი ხდება...

რაც შეეხება რელიგიურ საფუძველზე დაპირისპირების ფაქტებს, ეს ხელოვნურად გამოწვეული გვგონია, მეტიც, ამის უკან უცხოური სპეცსამსახურების ხელწერას ვხედავთ.

ამ ეტაპზე მეტის დაკონკრეტებისგან თავს შევიკავებ. ხელისუფლების ყურადღების მიღმა არ უნდა დარჩეს როგორც ქობულეთში მომხდარი ფაქტი, ასევე ქვემო ქართლი, სადაც ნაკლები ყურადღება ექცევა იმას, თუ რა ხდება რელიგიური თემატიკის კუთხით. საქართველოში ამჟამად არ არის ისეთი პოლიტიკური სიტუაცია, რამაც შესაძლოა კატაკლიზმები გამოიწვიოს. თუმცა, კრიმინალის ზრდის შესახებ ნაციონალების ისტერიული ფონის შექმნა და რელიგიურ ნიადაგზე დაპირისპირების ფაქტები, შეიძლება იყოს დესტაბილიზაციის მოსამზადებელი ეტაპი. დღეს და ხვალ არა, მაგრამ არ გამოვრიცხავთ, არეულობა 1 ან 2 წლის მერე მივიღოთ, თუ, რა თქმა უნდა, ხელისუფლებამ შესაბამისად არ იმოქმედა. **“ნაციონალები”** რა თქმა უნდა, ისევ იდემაგოგებენ, უტიფრად იცრუებენ, არც პროვოკაციებია მათთვის უცხო ხილი, მაგრამ საზოგადოებაც უნდა შეიცვალოს, ახლანდელი სამართალდამცველი ორგანოებიც უფრო გახსნილები უნდა იყვნენ ინფორმაციული თვალსაზრისით და იზრუნონ პრევენციული ღონისძიებების გატარებაზე.

როგორც პოლიტიკოსები ამბობენ, ყოველდღიურად კრიმინალზე საუბარი და იმის ძახილი, რომ ქვეყანა ინგრევა, რა თქმა უნდა, ოპოზიციის ინტერესებში შედის. **“ნაციონალები”** აცნობიერებენ, რომ ნებისმიერ შემთხვევაში რევოლუციის ავანგარდში ვეღარ იქნებიან. ამ ეტაპზე ისინი პოლიტიკურ ტრიბუნას იყენებენ იმისათვის, რომ შექმნან რევოლუციური განწყობა ქვეყანაში, რაც აუცილებელია ძალაუფლების ხელში ასაღებად. შემდეგ კი, დარწმუნებული ვართ, —”**ნაციონალები”** პარალელურად შექმნიან ახალ, თითქოსდა დამოუკიდებელ პოლიტიკურ პარტიას, რომელიც რეალურად მათი იდეოლოგიის გამზიარებელი იქნება.

დესტაბილიზაციის გამოწვევის ერთ-ერთი ეტაპი მიტინგებისა და მანიფესტაციების მოწყობაა და ხელისუფლება ფხიზლად უნდა იყოს — ერთი მხრივ, არ უნდა დავარღვიოთ კონსტიტუცია და ნებისმიერ მოქალაქეს მივცეთ პროტესტის გამოხატვის საშუალება, მეორე მხრივ, თუ სამართალდამცველებისთვის ცნობილია, რომ რაიმე ქმედება შეიცავს დანაშაულის ნიშნებს, დაუყოვნებლივ უნდა იმოქმედონ. **“ნაცმოძრაობა”** კარგად ორგანიზებული ძალაა, რომელმაც მშვენივრად იცის დესტრუქციის ელემენტები. **“ნაციონალები”** დაიწყებენ აქტიურ მუშაობას სხვადასხვა კუთხით — დაწყებული სპორტსმენებით, დამთავრებული სტუდენტებით და აპელირებას მოახდენენ იმ პრობლემებზე, რომლებიც 9 წლის განმავლობაში თავად ვერ მოაგვარეს.

რევოლუციური განწყობის შექმნისთვის **“ნაციონალები”** აქტიურად გამოიყენებენ სტუდენტურ კავშირებს, პროფკავშირებს, სპორტულ კავშირებს, სოციალურად დაუცველ ადამიანებს, დევნილებს, ეროვნულ უმცირესობებს, რელიგიურ ორგანიზაციებს, ვეტერანებსა და პენსიონერებს. მათ ამ საქმეში დაეხმარებიან მოსყიდული არასამთავრობო ორგანიზაციები. თუ მათ მოახერხეს ხელისუფლების დასუსტება და ქაოსის შექმნა, ძალაუფლების ხელში აღებას შეეცდებიან. ხელისუფლების დასუსტების ერთ-ერთი წინა პირობა მისი დისკრედიტაციაა. თქვენ ხედავთ, როგორ ცდილობენ შსს-ს დისკრედიტაციას, როგორ უღვიძებენ მარგველაშვილსა და ალასანიას ამბიციებს, მალე გადავლენ პროკურატურაზე, ჩაერევიან სასამართლო რეფორმაშიც, რათა გაამაგრონ ის საკუთარი კადრებით. მით უმეტეს, მათ აქვთ საპარლამენტო ბერკეტები. **“ნაციონალების”** ხელისუფლებაში დაბრუნება რამდენიმე წელზე გაწერილი გეგმაა. ხაზს ვუსვამ — ძალადობით ხელისუფლებაში მოსვლას შეეცდება **“ნაციონალების”** მიერ დაფუძნებული ვითომ დამოუკიდებელი პარტია, რეალურად კი ყველანი ხელისუფლებაში დაბრუნდებიან სააკაშვილის ჩათვლით.

მოკლედ, **“ნაცმოძრაობა”** რევოლუციისათვის ახალ ნიადაგს ამზადებს და ამაში ჩართულები არიან მათი მარიონეტი არასამთავრობო თუ სამოქალაქო ორგანიზაციები და მედიასაშუალებები. შესძლებს თუ არა სააკაშვილი რევანშის სცენარის განხორციელებას, დღევანდელ ხელისუფლებაზეა დამოკიდებული.

მათ კარგად იციან, რომ ქაოსისა და დესტაბილიზაციის მოწყობის ერთ-ერთი ხერხია მასმედიაში აქტიურობა, საზოგადოებრივი აზრის შექმნა, რომ სახელმწიფოში არის სერიოზული პრობლემები — ეკონომიკაში, პოლიტიკაში, სასამართლოში. გარდა ამისა, შეიძლება ტერორისტული აქტების მოწყობაც, რომელიც დესტაბილიზაციის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმაა და მიზნად ისახავს ქვეყანაში შიშის სინდრომის დათესვას — ადამიანებს უნდა შეუქმნა იმის განცდა, რომ ქვეყანაში ცხოვრება გართულდა. დესტაბილიზაციის ერთ-ერთი საფუძველია პოლიტიკური ვითარების დაძაბვა, შეიქმნას ისეთი ფონი, რომ ქვეყანაში არის პოლიტიკური უსამართლობა — არ არის დემოკრატია, სამართლიანობა და ადამიანის უფლებები ირღვევა. ამას საკმაოდ ინტენსიურად აკეთებს ყოფილი ხელისუფლება და საკმაოდ მძიმე სურათს ხატავს ქვეყანაში. მათი მიზანია, რაც შეიძლება მეტი ადამიანების გაერთიანება მოხდეს რაღაც **“ნაციონალურ-სექტანტურ”** ჯგუფებში და ფართო მასების დარწმუნება, რომ საჭიროა ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსვლა მისი წასვლის მოთხოვნით. რაც შეეხება უცხოურ სპეცსამსახურებს, ისინი მხოლოდ იმ შემთხვევაში დაუჭერენ მხარს სააკაშვილს მისი მიზნების განხორციელებაში, თუ ხელისუფლება არაკეთილგონიერ ნაბიჯებს გადადგამს და სერიოზულ შეცდომებს დაუშვებს საშინაო თუ საგარეო პოლიტიკაში. თუმცა, ხელისუფლებას ამის ნიშნები ნამდვილად არ ეტყობა.

მაგრამ ავადსახსენებელი **“ნაციონალებისავის”** არსებობს ერთი ფრიად ანგარიშგასაწევი წინააღმდეგობა, რასაც ისინი ჯერ ვერ გამკლავებიან და საეჭვოა, რომ ოდესმე გაუმკლავდნენ. საუბარია შინაგან საქმეთა მინისტრ ალექსანდრე ჭიკაიძეზე, რომელიც დღეს სრულად აკონტროლებს ქვეყანაში სიტუაციას და საკმაოდ დიდი წარმატებითაც.

მან წინასწარ განჭვრიტა სააკაშვილის **“ნაციონალთა”** ვერაგული ჩანაფიქრი, რაც გააჟღერა მასმედიაში და კოვზიც ჩაუგდო ნაცარში!

აქედან გამომდინარე, ნაციონალებს აღარ ეყოლებათ ხელშემწყობები — **“ქეთინოდ”** წოდებული შს ექსმინისტრი კობა ნარჩემაშვილი და უშიშროების ექსმინისტრი ვალერი ხაბურზანია, რაც იმას ნიშნავს, რომ დაშნაკი **“ნაციონალები”** საქართველოში საწადელს ვერასოდეს ვეღარ მიაღწევენ!

რაც შეეხება შს მინისტრ ალექსანდრე ჭიკაიძის მიერ გაჟღერებულ საზურავების დაწვის **“ნაციონალურ”** გეგმას, რამდენადაც ვიცი, ერევანში, ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის ორმოცდაათიანი წლებიდან მუშაობდა საბურავების ქარხანა და სააკაშვილისტებს იქ არც ძველი და არც უხმარი საბურავების შოვნა არ გაუჭირდებათ. ამიტომაც არის მათთვის ხელსაყრელი რევანშის ერევანში მომზადება და განხორციელება, მით უმეტეს, რომ სომხებს ამის დიდი გამოცდილება გააჩნიათ, დაწყებული ჯერ კიდევ კამო ტერ-პეტროსიანის დროიდან. არც თუ დიდი ხნის უკან, როცა რეაქციონერ სომეხთა ჯგუფს არ მოეწონა სომხეთის პარლამენტის საქმიანობა, ისინი პარლამენტის შენობაში სხდომის დროს შევიდნენ და ავტომატის ჯერით დახოცეს პარლამენტის თავმჯდომარე და რამდენიმე პარლამენტარი.

მაგრამ საქართველოში ნაცებს არც ეს სცენარი არ გამოუვათ, რადგან ავადსახსენებელი ნაციონალი დაშნაკების შემოტევისაგან ჩვენს სამშობლოს, მთავრობის გარდა, ქართველი ხალხიც დაიცავს. და თუ რას ნიშნავს და რით მთავრდება ხალხის ნების წინააღმდეგ იარაღის შემართვა, ყველამ კარგად იცის, გარდა ხელისუფლების დაკარგვით გაკაპასებული ნაციონალებისა.

არცოდნა კი ყოველთვის არ არის არცოდვა, ხოლო იმას, რასაც ზოგჯერ უფალი მიმტევებლურად პატიობს გზასაცდენილებს, ხალხი არ პატიობს ხოლმე და მთელი მათი ავკაცობა, დღეს თუ არა ხვალ, მაინც დაატყდება რისხვად თავს სომეხ დაშნაკ სააკაშვილსა და მის დაშნაკურ ბანდას!


**როლანდ ჯალაღანია,**

**“აია”-ს და “ფაზისი”-ს აკადემიების წევრი**

# სამეგრელოსა (ოდიშის) და აფხაზეთის ისტორიული გეოგრაფია ვახუშტი ბაგრატიონის ნააზრევში და თანამედროვე ისტორიოგრაფია

### ოდიშის (სამეგრელოს) ისტორიული გეოგრაფია ჰიდრონიმულ და ტერიტორიულ დანაყოფთა მიხედვით

#### IV. 1. ცხენისწყლის ხეობა

ვახუშტი ბატონიშვილი ადგილთა ბუნებრივი თანმიმდევრობის გათვალისწინებით საყურადღებო ცნობებს გვაწვდის ცხენისწყლის ხეობის საისტორიო გეოგრაფიის საკითხებზე და აღნიშნავს: **„...რიონს მოერთვის ჩდილოდამ აბაშა-ტეხურის მდინარე, უნაგირას მთის ზეით, ისულეთს. ამას ზეით რიონს, ტყვირს მოერთვის ჩდილოეთიდამვე ცხენისწყალი. ეს გამოსდის ლეჩხუმისა და სუანეთის შორისს კავკასსა და მოდის აღმოსავლეთს-ჩდილოს შუადამ სამხრეთს-დასავლეთს შუა. არამედ მდინარისა ამის სახელი არს პირველ მდინარე თაკუერისა, ხოლო ოდეს მოაშთო ცხენნი ანაკოფიიდამ უკმოქცეულის ყრუს სპათა ? ჩ (60.000), ამისთვს უწოდეს ცხენისწყალი. არამედ წყალი ესე, ვინაითგან არა უტევებს პიდსა ქვისასა და ხისასა, ამისთვის შესწვნენ ვაზისაგან და გააბმენ ამიერ კიდით იმიერამდე, და გაუბმენ ვაზისაგანვე სახელურებსა აქეთ და იქით, და ვლენან ქუეითნი მას ზედა, და ექანების მკიდარებისაგან ფრიად ხიდი იგი, გარნა უწყიან ოდიშსა შინა პშირად ხიდი ესე, და უწოდებენ ბონდსა“** (ვახუშტი IV, 1973: 747-748).

ცხენისწყლის დინების მიმართულებას – ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთისაკენ, მეცნიერი სწორად მიუთითებს, მაგრამ შეცდომაა, როცა მდინარის სათავედ იგი ლეჩხუმსა და სვანეთს შორის მდებარე **„კავკასს“** მიიჩნევს. ცხენისწყალი სათავეს იღებს სვანეთის კავკასიონის სამხრეთ კალთაზე, ფასისმთის დასავლეთით, ზ. დ. 2710 მ სიმაღლეზე; გამოივლის ქვემო სვანეთს, ლეჩხუმს და კოლხეთის დაბლობზე, ტყვირის სამხრეთ-აღმოსავლეთით, მარჯვნიდან შეერთვის რიონს. ცხენისწყლის სიგრძე 176 კმ-ია. მდინარე ქვემო წელზე, სუხჩედან ნაჩხეტაურამდე წარმოადგენს საზღვარს თანამედროვე ქვემო იმერეთსა და სამეგრელოს შორის, გასული საუკუნის 20-იან წლებამდე კი ცხენისწყლის მარჯვენა მხარეს მდებარე სოფლები – დიდღვაბუნა, გორდი, ბანგვეთი, ნოღა და კინჩხა ჯერ ლეჩხუმის, შემდეგ ოდიშის შემადგენლობაში იყო.

ვახუშტი რიონ-ცხენისწყლის შესართავს ტყვირთან მიუთითებს, მაგრამ დაახლ. XVIII ს-ის უკანასკნელ ოცწლეულსა და XIX ს-ის ოცდაათიან წლებში მოღვაწე ქართველი ისტორიკოსი ნიკო დადიანი იმერეთის ადგილებისა და მდინარეების აღწერისას შენიშნავს, რომ „ცხენის წყალი გამოსდის ლეჩხუმისა და სვანეთისა შორის კავკასსა და მიერთვის რიონს საჭილაოს, ილორს, და უწინარეს მიერთოდა ტყვირს“ (დადიანი 1962: 149). მაშასადამე, თუკი ვახუშტის დროს მდინარის შესართავი ტყვირთან იყო, ნ. დადიანის ცნობიდან ირკვევა, რომ სულ რაღაც ექვს ათეულ წელიწადში მდინარეს კალაპოტი მნიშვნელოვნად შეუცვლია, **„ტყვირიდან აღმოსავლეთისაკენ გადაუწევია და ნ. დადიანის დროს საჭილაოს ილორთან ამოსულა“** (ბურჯანაძე, შენიშვნა ნ. დადიანის წიგნზე; იხ. დადიანი 1962: 230). ივანე ჯავახიშვილის მიერ შედგენილ **„საქართველოს ისტორიულ რუკაზე“** დაყრდნობით მკვლევარი შ. ბურჯანაძე დასძენს, რომ სოფელ მარნის უბანი ილორი რიონის კალაპოტიდან საკმაოდ მოშორებით, ჩრდილოეთისაკენ მდებარეობს და სამოციოდე წელიწადში რიონის დინების ასე შორს, ჩრდილოეთით გადაწევა საეჭვო უნდა იყოს. მიუხედავად ამისა, ნ. დადიანის ამ ჩანამატს იგი მაინც საყურადღებოდ მიიჩნევს (იქვე: 230).

საფიქრებელია, რომ რიონ-ცხენისწყალი დინების მიმართულებას ხშირად იცვლიდა და არაა გამორიცხული, რომ ასეთ შემთხვევას XIX საუკუნეშიც (ან უფრო ადრეც, XVIII ს-ის II ნახევარშიც, ადგილი ჰქონოდა. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა გიულდენშტედტის ცნობა, რომელიც სამიქელაძოს მხარის სოფლებს შორის ასახელებს სოფელს **„კოლობანის“** ფორმით და აღნიშნავს, რომ ცხენისწყალში ჩამავალი მდინარეების შესართავებთან მდებარე სოფლების მსგავსად ეს სოფელიც **„წყლისგანაა დანგრეული“** (გიულდენშტედტი 1962: 307). აქ იგულისხმება თანამედროვე აბაშის მუნიციპალიტეტის სოფ. ქოლობანი, რაც ცხენისწყლის მარჯვენა მხარეს, ნოღელისა და ცხენისწყლის ხეობებში მდებარეობს (კეკელია 2011: 78). მაშასადამე, გიულდენშტედტის თქმით, ცხენისწყლისპირა და მასში ჩამავალი მდინარეების შესართავებთან მდებარე ზოგიერთი სოფელი მდინარეთა ნგრევით მოქმედებას ეწირებოდა.

ვახუშტის ცნობით, ცხენისწყლის უწინდელი სახელწოდება თაკუერი//მდინარე თაკუერისა ყოფილა. თაკვერი//თაკუერი ერქვა ისტორიულ მხარეს დასავლეთ საქართველოში, რაც ძირითადად მოიცავდა ახლანდელ ცაგერის მუნიციპალიტეტს. გ. მამარდაშვილის აზრით, ცხენისწყლის სახელწოდების ვახუშტისეული ფორმა **„მდინარე თაკუერისა“** ლეჩხუმის ხევის, ან გორდის მიდამოებისაგან, ე. ი. იმ ადგილის მიხედვით უნდა წარმომდგარიყო, სადაც ეს მდინარე მიედინება (მამარდაშვილი 2006: 16).

ჰიდრონიმ **„ცხენისწყლის“ ვ**ახუშტისეულ ეტიმოლოგიას საფუძვლად უდევს „ქართლის ცხოვრების“ მემატიანის ცნობები. ხალხური გადმოცემა სახელწოდებას ამ მდინარეში მტრის მოლაშქრეთა ცხენების დახრჩობას უკავშირებს. კ. ჰანი იმოწმებს თვით ვახუშტის ცნობას და წერს: „Цхенисъ-цкали груз. отъ ცხენი цхени=лошадъ и წყალი цкали=река: лошадиная река. По летописи Вахушта въ этой реке утонуло 6000 лошадей армии арабского полководца Мурванъ-Кру, при возвращении его над Анакофии (въ 646г. по Р.Х.); отъ него она получила такое название. Прежнее грузинское название было Такверь. Въ древности река называлась“ (ჰანი 1909: 153). ფიქრობენ, რომ ცხენისწყლის უწინდელი სახელი ცენისწყალი უნდა ყოფილიყო. მდინარისათვის სახელი უნდა მიეცა მის სათავესთან მდებარე სვანური სოფლის სახელწოდებას. ესაა ცანა ანუ ცენა (ჭუმბურიძე 1987: 526). ცანა ეწოდება სოფელსა და თემის ცენტრს ლენტეხის მუნიციპალიტეტში, ცხენისწყლის მარჯვენა მხარეს. სხვათა შორის, ხონის მუნიციპალიტეტის სოფლებში – გელავერსა და ღვედში მდინარის სახელწოდების პარალელურ ფორმად დადასტურებულია ცენისწყალი (საქ. ტოპ. II, 1999: 168; III, 2003: 355), ხოლო იური სიხარულიძე ვაკე-იმერეთში (სამტრედიის რ.) სათესის სახელწოდებად ასახელებს ტოპონიმ ცენწყლისჭალას // ცხენწყლისჭალას // ხიდიჭალას (სიხარულიძე სიგკ, VI, 1982: 103). მიუხედავად ამისა, სახელწოდების ცენასთან ან ცანასთან დაკავშირებას ის დაბრკოლება ეღობება წინ, რომ ეს მდინარე ოდითგანვე ცხენისწყლად იწოდებოდა. ასეა იგი მოხსენიებული უცხოურ და ქართულ წერილობით წყაროებში. სწორედ ამის დასტურია მისი ბერძნული სახელწოდებაც – ჰიპპოსს (ჭუმბურიძე იქვე; კირთაძე 2012: 94).

ო. ხუხუას მოსაზრებით, სახელწოდება **„ცხენისწყალი“** შინაარსობრივად მდინარის დინების ხასიათის გამომხატველია და შესაძლოა აღნიშნავდეს არა ცხენის ან ცენის თუ ცანის, არამედ **„ცხენივით წყალს“**, ვინაიდან მდინარის სახელწოდების მეგრული შესატყვისია ცხენწყარი (ხუხუა XVI, 1972: 20). ცხენისწყლის არაოფიციალური პარალელური სახელწოდებებია ცხენიწყარი// ცხენ(იშ)წყარი//ცხენწყარი. ასე უწოდებენ მდინარეს მარტვილისა და აბაშის მუნიციპალიტეტის სოფლებში. საინტერესოა აგრეთვე ის ფაქტი, რომ სოფ. ხუნწში ცხენისწყლის//ცხენწყარის პარალელურად მდინარეს ქაჯიწყარს//ქაჯწყარს ეძახიან.

როგორც ითქვა, სახელწოდება **„ცხენისწყლის“** ვახუშტისეულ ეტიმოლოგიას საფუძვლად უდევს **„ქართლის ცხოვრების“** ცნობები. აქვე აღვნიშნავთ, რომ მეცნიერი თავის დროზე იზიარებდა საქართველოში არაერთი მდინარის საკუთარი სახელის წარმომავლობას მათთვის დამახასიათებელი ბუნებრივი თავისებურებების მიხედვით. ესენია, მაგალითად, წყლის დინების განსაკუთრებული შეფერილობა, მდინარის კალაპოტის თვალშისაცემი სიღრმე და დახრამულობა. ვახუშტი ფიქრობს, რომ ამის შესატყვისად უნდა დარქმეოდა მდინარეებს ყვირილა, ჭოროხი, ქცია (ან ხრამი), ჩხერიმელა და სხვ. (ვახუშტი IV, 1973: 318, 321, 658, 676, 680, 685, 752, 758; ითონიშვილი 1989: 9-10).

მდინარის სწრაფი დინების ცხენთან შედარების ტრადიცია, როგორც ჩანს, საქართველოსა და კავკასიის სინამდვილეში ცნობილი იყო. დინების თვალშისაცემი სისწრაფის გათვალისწინებით, ძალაუნებურად იმ ვარაუდამდე მივდივართ, რომ **„ცხენისწყალი“** მდინარის განსაკუთრებული სისწრაფისა და ხმიანობის აღმნიშვნელი სახელწოდებაა და უნდა გავიაზროთ როგორც **„ბობოქარი, სწრაფი, გიჟმაჟი, მჩქეფარე, დაუდგრომელი ნაკადი“**. ქაჯიწყარი//ქაჯწყარი ასევე მეტაფორული ჰიდრონიმია და აღნიშნავს **„ქაჯივით შლიგინას, ქაჯისთვის დამახასიათებელი თვისების, ქაჯური ქცევის მქონე მდინარეს“**.

სახელდების ზემოთ მოხმობილი მნიშვნელობით გააზრების შემთხვევაში ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ ჟაკ ფრანსუა გამბა (1763-1833 წწ.) თავის სამოგზაურო ჩანაწერებში აღნიშნავდა შემდეგს: **„ვიდრე სოფელ მარანში ჩავიდოდით, შვიდ-რვა ვერსზე ცხენისწყალი შევნიშნეთ: ეს არის ბერძნების ჰიპუსი, ანუ ცხენის-წყალი; ეს სახელი მას სწრაფი დინების გამო უწოდეს (ხაზგასმა ჩემია – ი. კ.). იგი თითქმის ისეთივე სიგანისაა, როგორც ფაზისი“** (გამბა 1987: 129). ცხენისწყალს ნ. დადიანი არაერთგზის მოიხსენიებს თავის ნაშრომში (დადიანი 1962: 162, 185, 201).

ვახუშტის 1745 წლის რუკაზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ ლეჩხუმის სამხრეთ-დასავლეთი მხარე ცხენისწყლის ხეობაში სოფ. გორდამდე აღწევდა. თვით გორდი ცხენისწყლის მარჯვენა ნაპირზე, ოყურეშის სამხრეთით, ლეჩხუმის ტერიტორიაზეა აღნიშნული. ბოლო ხანებამდე შემორჩენილი ტრადიციის მიხედვით, ესაა ზემო ლეჩხუმი, რაც გორდიდან მურის კლდეკარამდე ვრცელდებოდა (ბერძენიშვილი, ბანძელაძე... 1983: 4).

ცხენისწყლის ხეობის ზოგიერთ პუნქტს ვახუშტი აღნიშნავს 1745 წლის რუკაზე, მაგრამ მათ შესახებ არაფერს ამბობს აღწერილობაში. ცხენისწყლის ხეობაში მდებარე ოდიშის სამთავროს პუნქტებიდან, დაბის პირობითი ნიშნით, მეცნიერს რუკაზე დატანილი აქვს კურჩე, ხუნწი, ნაგვაზუ, ლეჯახია, ლეხაინა და ონფი, ხოლო რიონ-ცხენისწყლის შესართავთან, მთავრის სასახლის პირობითი ნიშნით – ტყვირი.

ამჯერად ჩვენს ამოცანას შეადგენს, ვიმსჯელოთ ვახუშტის რუკებზე აღნიშნული ზოგიერთი პუნქტის ლოკალიზაციისა და ისტორია-ეტიმოლოგიის საკითხებზე.

ცხენისწყლის მარჯვენა მხარეს, ხუნწის ჩრდილოეთით, ვახუშტის მიერ რუკაზე დატანილი კურჩე ტოპონიმ **„სუხჩას“** დამახინჯებული ფორმაა. სუხჩა თანამედროვე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით სოფელია ამჟამინდელ ხონის მუნიციპალიტეტში, ცხენისწყლის ხეობაში, ზ. დ. 360 მ. სიმაღლეზე. სოფელი ხონიდან 11 კმ-ით არის დაშორებული და მათხოჯის თემში შედის (ქსე XI, 1985: 617). სახელწოდების უწინდელი ფორმა **„სუხჩე“** უნდა ყოფილიყო, რასაც ადასტურებს მოგვიანო ხანის საარქივო დოკუმენტები და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ცნობარები. სუ, სკუ და სქუ კომპონენტის შემცველი ტოპონიმები ღრმა და ფართოხეობიანი მდინარის, ან ტყე-ხეობის აღმნიშვნელია, სადაც ღელე ან მდინარე გაედინება (ცხადაია **„საქ. ტოპ.“** II, 1999: 296), ხოლო ჩე ქართულად **„თეთრს“** აღნიშნავს. მაშასადამე, სქურჩე//სუხჩე იგივეა, რაც **„თეთრი მდინარე; თეთრქვებიანი კალაპოტის მქონე მდინარე“**.

ხუნწი სამეგრელო-იმერეთის საზღვარზე, ნოღელისა და ცხენისწყლის ხეობებში მდებარეობს. ხუნწი სოფლის ერთი კუთხის სახელწოდება ყოფილა, გვიან კი მთელ სოფელზე გავრცელებულა. სოფელი სამ ნაწილად არის გაყოფილი – ზემო ხუ წი, ქვემო ხუნწი და ლეციცხვაი ე. ი. მეუნარგია დავით დადიანის დროის მარტვილის მაზრის სოფლებს შორის მიუთითებს ხუნწს (მეუნარგია 1939: 113).

ნაგვაზუ(უ) სოფელი და თემის ცენტრია აბაშისა და ცხენისწყლის შუამდინარეთში, ვაკეზე. ტერიტორია ვრცელდება სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ. სოფლის სახელწოდება ნა-უ ინფიქსებითაა ნაწარმოები, რომლის ფუძეს გვაზ- წარმოადგენს. სოფელში გვაზავებით დასახლებულ ერთ პატარა უბანს, რაც ქვედა ნაგვაზავოში, ნოღელის მარჯვენა მხარეს მდებარეობს, ეგვაზეს (საგვაზავო) ეძახიან. ამ უბანში გვაზავები დღესაც ცხოვრობენ. მაშ, როგორ უნდა ავხსნათ ის ფაქტი, რომ მთლიანად სოფლის სახელწოდებად ფიქსირებული ფორმა ნაგვაზუ(უ) **„გვაზავების (ან გვაზავას) ნასახლარს“** ნიშნავს? ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესო მოსაზრება გამოთქვა პ. ცხადაიამ. მკვლევრის აზრით, ნაგვაზუ(უ)//ნაგვაზოუ თავდაპირველად მცირე ტერიტორიული შემოსაზღვრულობის მქონე გეოგრაფიული ობიექტის – სახნავის, ტყის, მინდვრის, ბორცვის სახელწოდება უნდა ყოფილიყო. მეტონიმიის გზით კი მთელ სოფელს ამადგილის სახელი დაერქვა. **„ნა-გვაზ-ოუ „გვაზავას ნაცხოვრები ადგილი“ შემდეგ და სახლებულთა თვალსაზრისს კი არ გამოხატავს, არამედ ახლომახლო მოსახლე იმ კოლექტივის თვალსაზრისს, რომლის თვალწინ მოხდა გვაზავას საცხოვრებელი ადგილის გადაქცევა ნა-სახლა რად“**, – წერს პ. ცხადაია (ცხადაია 1985: 172).

წერილობით წყაროებსა და ზეპირ მეტყველებაში ტოპონიმის რამდენიმე ფორმაა ცნობილი. XVII საუკუნის I ნახევრით დათარიღებულ წერილობით საბუთში ვკითხულობთ: **„ამას გარდა ნაგვაზაურს ორი კვამლი კაცი იყო, მარტო ბეგარა ჩვენი იყო და სხვა სამსახური ლიპარტიანისა ედვა“** (ქსძ III, 1970: 502). **„აფხაზეთის საკათალიკოსო გლეხების დიდ დავთარში“** ფიქსირებულია აგრეთვე ტოპონიმი ნაგუაზაუს და ნაგვაზაურების ფორმით: **„არის: ნაგუაზაუს სასახლე...“ „ახლა ბატონმან ლიპარტანმან და ბატონმან კ-ზმან დავსდევით ნაგვაზაურებსა რაც კაცი სახლობს კუამლის თვსა თითოს კაც საათათი კოდი ღომი...“** (კაკაბაძე 1914: 17, 18). სოფელს ნაგვაზაუს ფორმით აღნიშნავს რუკაზე ვახუშტი ბაგრატიონი.

კორნელი ბოროზდინი წიგნში – **„სამეგრელო და სვანეთი“**, ასახელებს სოფელ ნაგ-ვაზუს (ბოროზდინი 1934: 250). იონა მეუნარგია, ოდიშის მთავრის – დავით და დიანისდროინდელი მარტვილის მაზრის სოფლებში პირველ და მეორე ნაგვაზოუს ასახე-ლებს (მეუნარგია 1939: 113). **„საქართველოს სსრ გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიულ ლექსიკონში“** შესულია ნაგვაზუ – სოფელი ჩხოროწყუს რაიონში. პარალელური სახელწოდებაა ნაკათი (ლეწურწუმის თემი). ამავე ლექსიკონში, იქვე, მითითებულია **„ნაგვაზავო – სოფლების ზემო ნაგვაზავოსა და ქვემო ნაგვაზავოს გავრცელებული სახელწოდება“** (ორთოგრ. 1987: 73). საინტერესოა ის გარემოება, რომ ზემო და ქვემო ნაგვაზუ(უ)ს პარალელურ სახელწოდებად გვხვდება ნოღა-ნაგვაზუ და საჩიქვანოშ ნაგვაზუ. ამდენად, სოფლის სახელწოდების რამდენიმე ვარიანტიდან (ნაგვაზაური, ნაგვაზაურები, ნაგვაზუ(უ), ნაგვაზავო) სწორი ფორმაა ზეპირ მეტყველებაში დამკვიდრებული ნაგვაზუ(უ).

ვახუშტის რუკაზე, ცხენისწყლის მარჯვენა ნაპირას, ბანძასა და ნაგვაზუს შუა, აღნიშნულია პუნქტი ლეხაინას სახელწოდებით. **„ლეხაინა“** ფორმითაც და რუკაზე მოცემული ადგილმდებარეობითაც დღევანდელ ლეხაინდრეს //ლეხაინდრავოს შეესაბამება.

ლეხაინდრავოს თემი სამ სოფელს აერთიანებს: ლეხაინდრავოს, ნოჯიხევს და სტეფას და ბალს. სახელწოდების ადგილობრივი არაოფიციალური ვარიანტია (ლ)ეხაინდრე. სოფელი მდებარეობს ნოღელისა და ცხენისწყლის ხეობებში. შ. ჯღარკავა ლამბერტის რუკაზე, ცხენისწყლის ნაპირას აღნიშნულ პუნქტს – ლეხორს, დღევანდელ ლეხაინდრავოდ მიიჩნევდა (ჯღარკავა 1970: 230). კ. ბოროზდინი ცხენის წყლის პირას მდებარე ფალავების საყმო სოფლად ასახელებს ლეხაინდროს (ბოროზდინი 1934: 250). (ლ)ეხაინდრე უწინ სოფლის ერთ პატარა უბანს ერქვა, სადაც ხაინდრავები მოსახლეობდნენ. კომლთა რაოდენობით დღეს ხაინდრავებს ამ სოფელში დანელიები ბევრად ჭარბობენ, მაგრამ სოფლის ტრადიციული სახელწოდება ლეხაინდრე მაინც უცვლელი დარჩა (ცხადაია 2000: 167).

**იგორ კეკელია**

*(გაგრძელება შემდეგ ნომერში)*

# ვეხმაურებით ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს

**გაზეთ "ილორის" წინა ნომერში (289, 21-28 ოქტომბერი 2014 წელი) გამოქვეყნდა ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას ინტერვიუ სათაურით "ორი წელი გავიდა. სად არის პროგრესი?", რომელმაც მკითხველთა დიდი ინტერესი გამოიწვია. ვაქვეყნებთ რამდენიმე გამოხმაურებას.**

## რეგრესი ნაციონალების წისქვილზე ასხამს წყალს

დიდი სიხარული გამოიწვია სრულიად საქართველოში 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში **"ქართული ოცნების"** გამარჯვებამ, რადგან ყველასათვის ნათელი იყო, რომ ავადსახსენებელ **"ნაციონალურ მოძრაობას"**, გაუწონასწორებელი და პოლიტიკური ავანტურისტის სააკაშვილის თავკაცობით საქართველო დაშლა-დანაწევრებისა და სრული განადგურებისაკენ მიჰყავდა. მიუხედავად იმისა, რომ თავშივე არ მოგვწონდა **"ქართული ოცნების"** კოალიციაში პოლიტიკურად გაკოტრებული **"რესპუბლიკელებისა"** და სხვა მარგინალი პოლიტიკოსების თავმოყრა, კრიტიკული შენიშვნების გაჟღერებას ვერიდებოდით, რათა სახელმწიფო მართვის სადავეებს ჩამოშორებულ ნაციონალებს რევანშის ხიბლი არ ჩასახვოდათ, მაგრამ უკვე გავიდა ორი წელიწადი და უამრავი პოლიტიკური თუ სოციალური საკითხი ჯერ კიდევ მოუგვარებელია, რითაც სარგებლობენ დანაშაულებრივი პოლიტიკური ძალა **"ნაციონალების"** მესვეურები და კვლავ ყბედობენ მათი ხელისუფლებაში დაბრუნების აუცილებლობაზე. ერთადერთი, რისი იმედიც გვაქვს, არის ის, რომ ქართველი ხალხი მხარს არ დაუჭერს ძირგამპომპალ ნაციონალურ ძალას, მაგრამ მათ ღიად უცხადებენ თანაგრძნობას ქრთამს დახარბებული ევროამერიკელი დამქაშები, რაც არ გამორიცხავს მათი მხრიდან ბინძურ პროვოკაციებს.

სწორედ ამიტომ გახლავთ პოლიტიკურად ღირებული ბატონი ალექსანდრე ჭაჭიას ობიექტური შეფასება **"ქართული ოცნების"** მიერ განვლილ ორწლიან გზაზე, რამაც ბევრი სიკეთე მოუტანა ქართულ საზოგადოებას, მაგრამ გარკვეულ ასპექტებში იმედიც დიდად გაუცრუა. ბატონი ალექსანდრეს მიერ განხილული ასპექტები გახლავთ არა ნიშნის მოგება **"ოცნებისტებისადმი"**, არამედ განვლილი გზის ობიექტური პოლიტიკური შეფასება, უტყუარი მინიშნებები წარმატებებსა და ჩავარდნებზე და ფასეული რჩევები ამ ჩავარდნების დროულად გამოსასწორებლად, რომლის გათვალისწინებაც დიდად სასარგებლო იქნება ჩვენი სამშობლოს მომავალი წინსვლისათვის. აღნიშნულ წერილში გამოთქმული მოსაზრებები ასევე ყურადსაღებია ჩვენი უკრაინელი მეგობრებისათვის, რომელთა შესახებ ბატონი ალექსანდრე ჭაჭია ხაზგასმით აღნიშნავს: **"ჩვენ, ქართველებს, ყველაზე უკეთ უნდა გვესმოდეს უკრაინის ტრაგედიის არსი იმიტომ, რომ 90-იანი წლების დასაწყისში იგივე გადავიტანეთ. სამწუხაროდ, საქართველოს მწარე გამოცდილება ჩვენი უკრაინელი მეგობრებისთვის გაკვეთილად არ იქცა. ფორმალური თვალსაზრისით, კიეველი პოლიტიკოსების ჯგუფმა დასავლეთ უკრაინული დაჯგუფებების დახმარებით განახორციელა სახელმწიფო გადატრიალება – განდევნა კანონიერად არჩეული პრეზიდენტი და მიიტაცა ძალაუფლება დედაქალაქში. მოსახლეობის ნაწილმა მხარი დაუჭირა ამ გადატრიალებას და ლოიალურად მოეკიდა პუტჩისტებს, მაგრამ მნიშვნელოვანმა ნაწილმა, უმთავრესად ქვეყნის აღმოსავლეთში, უარი თქვა ახალი ხელისუფლების აღიარებაზე. მაშინ კიევმა გადაწყვიტა, ძალით დაემყარებინა თავისი იურისდიქცია და ამ რეგიონებს სადამსჯელო რაზმები შეუსია. დაიწყო სამოქალაქო ომი..."**

უკრაინელთა შეცდომა ის გახლავთ, რომ მათ გაითვალისწინეს არა რაფინირებული პოლიტიკოსის ალექსანდრე ჭაჭიას შეხედულებები, არამედ ავანტიურისტ სააკაშვილისა და მისი პოლიტიკურად გაკოტრებული ხროვის რჩევები, რამაც დააყენა კიდეც უკრაინა გარდაუვალი დაშლის საფრთხის წინაშე.

სამწუხაროდ, ჩვენმა **"დიდმა პოლიტიკოსებმა"** შევარდნაძემ და სააკაშვილმა ბევრ რამეში არ გაითვალისწინეს ბატონი ალექსანდრეს რჩევები, რაც ძვირად დაუჯდა საქართველოს. ამიტომ, იქნებ ახალმა ხელისუფლებამ მაინც გაისიგრძეგანოს წარსულის საბედისწერო შეცდომები და ყური უგდოს ბრძენი პოლიტიკოსის რჩევებს.

პატივისცემით,

**გოგიტა ჯალაღანია,**
**თბილისი**

## კიდევ ერთხელ არ უნდა დავაბიჯოთ ფეხი ფოცხს

"ჭკვიანი სხვის შეცდომებზე სწავლობს ჭკუას, სულელი კი – საკუთარზეო", – გვასწავლის ქართული სიბრძნე.

არ მინდა წყევლა-დათარსვა გამომივიდეს, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენ ჯერ კიდევ ვერ ვისწავლეთ ჭკუა, მიუხედავად ჩვენს მიერ დაშვებული უამრავი შეცდომისა.

თუ ობიექტურები ვიქნებით, არ შეიძლება იმის არაღნიშვნა, რომ "ქართულმა ოცნებამ" ხელი ხელს რომ არ დააკაროს ერისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ, სამადლობლად ისიც ეყოფა, რომ აშკარად არაქართული პოლიტიკური ძალა – "ნაციონალური მოძრაობა" და მისი დორბლიანი, ჭკუანაღრძობი და მექალთანე ბელადი მიხეილ სააკაშვილი მოგვაშორა, მაგრამ, ჯერჯერობით, ყველაფერია წყალშია ჩაყრილი იმიტომ, რომ ჯერ კიდევ ვერ აღადგინა სამართლიანობა და გაბანდიტებული ნაციონალები, ნაცვლად იმისა, რომ ციხის კედლებს ხეხავდნენ, კიდევ აქეთ გვასწავლიან ჭკუას, საბოტაჟს საბოტაჟზე აწყობენ და სახელმწიფო გადატრიალებისათვის ემზადებიან.

ვერც ქართული საზოგადოება იჩენს პოლიტიკურ გამჭრიახობას, რათა ქვეყნის სათავეში კვლავ არ მოვიდნენ ქვეყნის დამანგრეველი ძალები. "...საქართველოს ყოველ ხელისუფლებას მოსახლეობა ისეთ მდგომარეობამდე მიჰყავს, რომ ხალხი მზადაა, ხმა მისცეს ნებისმიერს, ვინც მოაშორებს ამ ხელისუფლებას. ასე იყო სააკაშვილის მიმართ..." – აღნიშნავს ბატონი ალექსანდრე ჭაჭია თავის წერილში, რაც ერთგვარი გაფრთხილებაა საიმისოდ, რომ მომავალში გადაწყვეტილება მივიღოთ ცივი გონებით, მხოლოდ ერისა და ქვეყნისათვის სასარგებლოდ, და არა ემოციაზე დაყრდნობით. ოპტიმალური საარჩევნო კანონმდებლობის შექმნაში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს საზოგადოებამ და იგი არ უნდა იგეგმებოდეს დაინტერესებული ჩინოვნიკების ბნელ კაბინეტებში.

ვერა და ვერ ხერხდება ურთიერთობების მოწესრიგება რუსებთან, რათა უშუალოდ მათთან მოლაპარაკებებით გადაწყდეს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის მომავალი. რაც შეეხება, ზოგადად, ქვეყნის საგარეო პოლიტიკას, სადავო არ გახლავთ ის ამბავი, რომ "ნაციონალების" საგარეო პოლიტიკა ქვეყნის საზიანოდ იყო მიმართული, რომელსაც ჩვეული ენამოქარგულობით "ბრძნულ ქმედებებად" გვასაღებდნენ ნაციონალების მიერ მილიონებად ნაყიდი ევროამერიკული ლობისტური კომპანიები. "ქართული ოცნების" საგარეო პოლიტიკა კი, შეიძლება ითქვას, რომ საერთოდ უმოქმედოა, რაც ნაკლებ საზიანო არ გახლავთ ჩვენი ქვეყნისათვის. ასეთ შემთხვევაში კი ჩვენი წინაპრები ამბობდნენ: "ალია და ოსმანა ორივე თათრები არიანო". იქნებ სწორედ ალექსანდრე ჭაჭიასთანა გამოცდილმა და ავტორიტეტულმა პოლიტიკოსებმა მოახერხონ გარღვევა ამ მიმართულებით, რათა ერთხელ და სამუდამოდ გაიფანტოს ჯანღი საქართველოს სამომავლო პოლიტიკურ გზაზე. განა სწორედ ბატონი ალექსანდრეს მიერ ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში ნაწინასწარმეტყველები პროგნოზები არ აგვიხდა ავად? ეჭვი არ მეპარება, რომ უკრაინასაც იგივე მოელის, რასაც ამ ქვეყნის მიმართ ბატონი ალექსანდრე წინასწარმეტყველებს. მაგრამ, ჩვენ ჩვენი გზა გვაქვს, უკრაინელებს კი თავისი და ამიტომაც მინდა ვთხოვო "ქართული ოცნების" ხელისუფლებას, რომ ხშირად გაითვალისწინოს შეუმცდარ ქართველ პოლიტიკოსთა რჩევები. ასეთები კი, ღვთის მადლით, ჯერ კიდევ გვყავანან!

დაგვიანება, ახლა, ახალი უბედურების მომტანი იქნება ჩვენთვის.

ღრმა პატივისცემით,

**გივი სომხიშვილი,**
**სიღნაღი**

## არ გათეთრდების ყორანი...

**"არ გასწორდების კუდი ძაღლისა, ვერცა კირჩხიბი მართლად ვლის"** – ამბობს დიდი სულხანი იმ კატეგორიის ხალხზე, რომელთა სიჯიუტეც ყოველგვარ ზღვარს სცდება და მიუხედავად მათ მიმართ დავანებული უარყოფითი საზოგადოებრივი აზრისა, მაინც თავდაუზოგავად ცდილობენ საკუთარი მრუდე გზით სიარულს. მართლაც რომ **"ნაციონალურ მოძრაობასა"** და მათ ლიდერ – ცხვირმოუხოცავ, თავქარქაშა ნიხეილ სააკაშვილზეა ზედგამოჭრილად ნათქვამი.

ფაქტია, რომ მოსახლეობის გამოკითხვის შედეგების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ხალხის 75 პროცენტი მხარს უჭერს რუსეთთან ნორმალური ურთიერთობების აღდგენას, რათა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხი მოლაპარაკებების გზით მოგვარდეს და არა კონფრონტაციით. სამწუხაროა, რომ **"ნაციონალთა"** მოღალატეობრივ პოლიტიკას სათანადოდ ვერ ეწინააღმდეგებიან **"ოცნებისტები"** და დამსახურებულ კრიტიკულ შეფასებას ვერ აძლევენ უკრაინაში მიმდინარე მოვლენებს, რაც დაშლას უქადის ერთ დროს ძლიერ სახელმწიფოს. განა სწორედ ამგვარმა ავადსახსენებელმა **"ფერადმა"** რევოლუციამ (შევარდნაძის მიერ იყო იგი მოწყობილი თუ სააკაშვილის მიერ) არ მიიყვანა საქართველო ტერიტორიის დაკარგვასა და ლამის სახელმწიფოებრიობის მოშლამდე?! ნუთუ კიდევ ვერ დავრწმუნდით იმაში, რომ **"ნაციონალური მოძრაობა"** არის არა შეცდომაში შეყვანილი და ამერიკელთა ილუზიებს ბრმად აყოფილი პარტია, არამედ მოღალატე, სომხეთის რეაქციული წრეების წარმომადგენელ დაშნაკთა მიერ დაგეშილი პოლიტიკური ძალა, რომელსაც საქართველოს დედაქალაქის ქუთაისში გადატანით სურს, რომ აღმოსავლეთ საქართველო მათი თანამემამულეებისა და სხვა უჯიშო გადამთიელთა საჯიჯგნად აქციოს. ამიტომ გადაიტანეს მათ საკონსტიტუციო სასამართლო ბათუმში, პარლამენტი კი – ქუთაისში, და რომ დასცლოდათ, თბილისიდან საქართველოს მთავრობასაც **"გააძევებდნენ"**. ნუთუ მართლა იმდენად ბრიყვები ვართ ქართველები, რომ მტერ-მოყვარე ვერ გაგვირჩევია ერთმანეთისაგან?

ნუთუ ვერ ვხედავთ, რომ **"ნაციონალები"** ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ ნებისმიერ ფორმატში მოწყობილი, აფხაზებთან და ოსებთან დაახლოება-შერიგების პროცესი ჩაშლილიყო. გაიხსენეთ – 2008 წლის აგვისტოში ნაციონალების მიერ მოწყობილ პროვოკაციულ ომამდე უკვე თითქმის აღარ არსებობდა გაუცხოება ქართველებსა და ოსებს შორის, ხოლო ნდობის ფაქტორი იმდენად მაღალი იყო, რომ ერგნეთის ბაზრობაზე ქართველები და ოსები ერთმანეთს ასიათასობით დოლარის ღირებულების მქონე საქონელს კონსიგნაციით (ნისიად) აძლევდნენ, რაჭის ავტობუსები კი კვაისას გავლით დადიოდნენ და ოსები და ქართველები ერთმანეთს სუფრას უშლიდნენ. იმის მომიზეზებით, რომ ერგნეთის ბაზრობა ბიუჯეტს შემოსავალს უმალავდა (საუბარი იყო სულ 20 მილიონ ლარზე), სააკაშვილის ბანდიტებმა მოშალეს ერგნეთის ბაზრობა, მაგრამ როცა ნახეს, რომ ამით ერთმანეთს ვერ დააშორებდნენ ქართველებსა და ოსებს, 2008 წლის აგვისტოში ომი დაიწყეს ცხინვალის წინააღმდეგ და ჭურვები დააყარეს მძინარე ქალაქს.

და ამის შემდეგ, ჩვენ – ქართველი ხალხი, საზიზღარ დაშნაკურ ძალა – **"ნაციონალებს"** უფლებას ვაძლევთ რომ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობაზე ილაპარაკონ...

მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ **"არ გასწორდების კუდი ძაღლისა, ვერცა კირჩხიბი მართლად ვლის"**, რაც იმას ნიშნავს, რომ "ნაციონალური მოძრაობა" უნდა აიკრძალოს, როგორც კრიმინალური ორგანიზაცია!

**რომან შალამბერიძე,**
**ზუგდიდი**

## ღმერთო, ნუ გაგვხდი საომარ ველად!

დიდი ინტერესით გავეცანი გაზეთ **"ილორში"** დასტამბულ ცნობილი პოლიტოლოგის, პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ალექსანდრე ჭაჭიას სტატიას: **„ორი წელიწადი. სად არის პროგრესი?"**

ბატონი ალექსანდრე ძალზე სიღრმისეულად აანალიზებს და დიდი დამაჯერებლობით გვესაუბრება საქართველოსა და მსოფლიოში მიმდინარე ბევრ პროცესთან დაკავშირებით და ამან შთამაგონა, რომ მკითხველისა და განმკითხველის ყურადღება განსაკუთრებით მიმეპყრო იმ აშკარად დანაშაულებრივ ქმედებებზე, რომელმაც ქვეყანაში მასობრივი უმუშევრობა, აუტანელი სიღატაკე და ქვეყნის განადგურების რეალური საფრთხე გამოიწვია, მით უფრო, რომ განვლილ ორ წელიწადში პროგრესი ჯერ კიდევ ვერ არის იმ დონისა, რომ საფიქრალი და საწუხარი აღარაფერი გვქონდეს.

ჩემი ცხოვრება ისე აეწყო, რომ 1958 წელს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე ჟურნალისტური ცხოვრება 21 წლით სწორედ იმ დღეებში ახალგამოსულ საქართველოს პირველ საღამოს გაზეთ **„თბილისს"** დავუკავშირე და კარგა ხნის მანძილზე მისი მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილების წამყვან მუშაკად ვითვლებოდი. შემდეგ, 9 წლის მანძილზე, ტელემაუწყებლობაში ვმუშაობდი, მომდევნო 12 წლის მანძილზე კი – გაზეთ **„ქუთაისის"** მთავარ რედაქტორად. ამან საშუალება მომცა, რომ წლების განმავლობაში გულდასმით მომესმინა არა მარტო დედაქალაქის, არამედ სრულიად საქართველოს ინდუსტრიის მაჯისცემა. ამიტომ თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ ბევრი რამ გვქონდა ჭეშმარიტად

საამაყო, თანაც არა მარტო გიგანტების, არამედ თუნდაც ისეთი მომცრო საწარმოს პროდუქციითაც, როგორიც იყო თუნდაც პლეხანოვის პროსპექტზე, ობსერვატორიის გვერდით მდებარე ჰიდრომეტეოროლოგიურ ხელსაწყოთა ქარხანა, იგი სხვა ნაწარმთან ერთად უშვებდა ჰიდრომეტეოროლოგიურ ტრიალას, რომელსაც მდინარე ამაზონზეც კი იყენებდნენ და, ისევე, როგორც მრავალი სხვა ქვეყნიდან, ვალუტა ბრაზილიიდანაც შემოდიოდა. აღარაფერს ვამბობ ელმავალმშენებელ, ჩარხმშენებელ და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლების საყოველთაოდ აღიარებულ მანქანებსა და დანადგარებზე.

გამორჩეული იყო სოფლის მეურნეობაც. სხვას რომ თავი დავანებოთ, ჩვენი რესპუბლიკის სეგმენტი იმდენად დიდი იყო მსოფლიოს ჩაის მრეწველობაში, რომ მხოლოდ ეს რომ შეგვენარჩუნებინა, საქართველოში დღეს გაცილებით ნაკლები იქნებოდა უმუშევართა და შიმშილის ზღვარს ქვემოთ მყოფთა რაოდენობა. სამწუხაროდ ამჟამად ყველა საწარმო განადგურებულია და ჯართადაა გაყიდული.

* * *

წლეულს ძალზე ცხელი და უნალექო ზაფხული გადავიტანეთ და გვალვამ უდიდესი ზიანი მოგვაყენა, თუმცა, საქართველოში ბარი სადაც უნდა დაარტყა, სულ რაღაც ორიოდე მეტრია საჭირო და წყალი უხვადაა. გვქონდა დიდებული ტუმბოებიც, რომლებსაც ქუთაისის ელექტრომექანიკური ქარხანა ამზადებდა, მაგრამ დღეს ეს საწარმო, ისევე, როგორც თითქმის ყველა სხვა, აგურ-აგურ არის დაშლილი და მიწის პირისაგან აღგვილი. არადა, რომ მოგვენდომებინა და ამ ტუმბოების დახმარებით მასობრივად დაგვენერგა წვეთოვანი მორწყვისა და დაწვიმების ის მეთოდი, რომლის ხორცშესხმა მრავალი წლის წინათ მხოლოდ ორგან – სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის საცდელ ნაკვეთსა და სამგორის მეურნეობაში, თანაც დროებით მოახერხა მისმა ავტორმა, საქართველოს სოფლის მეურნეობის აკადემიის წევრმა, სულგანათლებულმა ბორის ჩიკვაშვილმა, შედეგი თუ უკეთესი არა, ისეთი მაინც გვექნებოდა, როგორიც ისრაელს, რომელსაც წყალი ძალზე ცოტა აქვს, წვეთოვანი მორწყვისა და დაწვიმების რაციონალური გამოყენებით კი სტაბილურად იღებს სამ-ოთხჯერ მეტ მოსავალს, ვიდრე ჩვენზე რამდენიმე მილიონით აღმატებულ მის მოსახლეობას ესაჭიროება.

რატომ ვამახვილებ ყურადღებას ზემოთ მოყვანილ უბედურებაზე, იმ დანაშაულზე, რომელმაც ქვეყანა გააღატაკა და მისი მოსახლეობა ლუკმა პურის მოსაპოვებლად მსოფლიოში მიმოფანტა?

იგივე ხალხმა, ვინც ჩვენი მრეწველობა და სოფლის მეურნეობა ჩააგდო სავალალო მდგომარეობაში, ნებსითა თუ უნებლიედ, მტრობითა თუ უვიცობით იგივე დამართა მეცნიერებას, კულტურას და, საერთოდ, ყველაფერს, რითაც თავი მოგვქონდა და სამართლიანად ვამაყობდით, მათ შორის მეზობელ ქვეყნებთან უზუსტესად გაწონასწორებულ იმ დამოკიდებულებასაც მოუღო ბოლო, რომელიც ფაქტობრივად ყოველთვის ჩვენი ეროვნული რაობის შენარჩუნების ერთადერთი გარანტიაა.

არადა, თუ ეს სათანადოდ არ გავიცნობიერეთ და ბოლომდე არ ვუერთგულეთ ნეიტრალიტეტის იმ იდეას, რომელიც ჯერ თავისუფლების აქტსა და შემდგომ, რუსული ზარბაზნების ქუხილის დროს მიღებული დემოკრატიული საქართველოს პირველ კონსტიტუციაში მესამე მუხლად სასოებით ჩასწერეს ჩვენი ქვეყნის თავისუფლების პირველმა საჭეთმპყრობელებმა, ისევ და ისევ **„საომარ ლელოდ"** ვიქცევით, ეს კი დაღუპვაა, როგორც საქართველოსთვის, ისე სამშობლოში დარჩენილი მისი ისედაც გამესამედებული მოსახლეობისათვის. ამიტომ უნდა შევნატროთ ღმერთს, რომ საქართველო აღარასდროს იქცეს ბრძოლის ველად.

ამ მოსალოდნელი უბედურებისაგან გვიხსნის ნეიტრალიტეტი, მხოლოდ ნეიტრალიტეტი და ის მესაჭე, რომელიც სისხლისგან დაცლილ ქვეყანას სიცოცხლის ნიშატს დაუბრუნებს, რათა უხიფათოდ გაატაროს როგორც სქილასა და ქარიბდას, ისე მრავალ სხვა ურჩხულსა და გველეშაპს შორის და სამშვიდობოზე უვნებლად გაიყვანოს.

**ალექსანდრე შენგელია**
**ქუთაისი**

# შეაყარე კედელს ცერცვი – ნაცი მაინც ნაცია

***ადრე ადამიანი დიდად არ განსხვავდებოდა ცხოველებისაგან, პირველყოფილობა ნადირის დონეზე რომ აცხოვრებდა. მხეცებში დომინირობდნენ ძლიერი ბრჭყალის და ეშვის მფლობელნი. ადამიანი კი კურდღელივით იმალებოდა, ან ჯგუფურად იცავდა თავს. იღრინებოდნენ, იკბინებოდნენ, სუსტს თავს ესხმოდნენ, ძლიერს გაურბოდნენ. ადამიანს ბრჭყალის და ეშვის ბატონობის პირობებში, რადგან არც ბრჭყალი და არც ეშვი ისე არ უჭრიდა, როგორც სხვას, შედეგად ხშირად ქცეულა ძლიერბრჭყალიანთა სადილად. ასე იყო, სანამ განგებას მისი ასე შეშინებული და დამფრთხალი ყოფნა არ მოსწყინდა. ბრჭყალი და ეშვი კი არ გაუძლიერა, ტვინს დაავალა, უშველე რამეო.***

დავალებაც უფლისმიერი სიბრძნის ნაყოფი იყო, თორემ ზოგიერთი ახლანდელი ბღენძი აუცილებლად კუჭს დაავალებდა, ისაც სადმე უსაფრთხო გამოქვაბულში დააბინავებდა, მაძღრად ამყოფებდა და ამგვარად ვაშლიდან თავამოყოფილ მატლს დაამსგავსებდა. ტვინმა კი დინჯად და აუჩქარებლად დაიწყო ადამიანის გაადამიანება. ჯერ ხიდან ჩამოიყვანა, უკანა ფეხებზე სიარული დააწყებინა, წინა კიდევ ხელებად გადაუგვარა, რის საშუალებით კეტი დააჭერინა და ქვის სროლის უნრი შესძინა. კეტმომარჯვებული და ქვასროლია არსება კი მხეცებისთვის იოლი ნადავლი აღარ იყო, პირიქით, ისინი ხდებოდნენ ადამიანთა მსხვერპლი. მერე ცეცხლის მოხმარება ასწავლა და უმის მაგიერ, შემწვარი ხორცის ჭამით ეცადა ცივილიზაციის ურდულის გახსნას. ტვინმა მოცდა ურჩია, ჯერ ისევ ნადირი და მხეცი ხარ და მარტო შემწვარი ხორცის ჭამით ადამიანად ვერ იქცევიო, კანიბალიზმს უნდა გადაეჩვიო და სისხლის აღრევით აღარ უნდა დააკნინო შთამომავლობა, თორე ისე გადაჯიშდები, იმ ხეზე ისევ ასვლა და ცხოვრება სანატრელი გაგიხდებაო. ამრიგად, სისხლის აღრევა და ყოველგვარი სქესობრივი სიბილწე შეაძულა. ასე ნაბიჯ-ნაბიჯ ტვინმა ადამიანი პლანეტის გიგანტურ არსებად აქცია.

რა ხდება დღეს? ნუთუ ევროატლანტიკური განცხრომის ნებიერნი უფლის მიერ ადამიანის გასაადამიანებლად, შერჩეული ტვინის მაგიერ, კუჭის ხუშტურებზე როკავენ? თუ ტვინის კარნახს ყურს არ დაუგდებენ, სქესობრივი, ზნეობრივი და ადამიანური მორალის სიწმინდის გზას არ დაადგებიან, პირველყოფილი მაიმუნობის დროინდელი ყოფით იმავე მაიმუნობამდე მივლენ. ადრე თუ გვიან ამას მიხვდებიან და მომავალ თაობას სირცხვილის ოფლს მოგვრის მათი ახლანდელი ერთსქესიანთა თავხედობის და სიბილწისადმი თაყვანისცემა და მისი საქართველოს მსგავს ქვეყნებში ექსპორტის მცდელობა.

კათოლიკურ ევროპას კაცობრიობის წინაშე სირცხვილის ლაქად ატყვია ინკვიზიციის საზარელი ცოდვები, ინდულგენციებით თაღლითობანი, ჯვაროსნული ლაშქრობების ძალადობით, სადიზმით და სიცრუით შერცხვენილი ავკაცობანი.

ნურც ის დაავიწყდებათ, რომ კაცობრიობის საზარელმა ჭირმა – ფაშიზმმა დასავლეთ ევროპაში აიღო სათავე და თუ არა მაშინდელი საბჭოთა კავშირის ხალხთა თავდადება, რომელთა უწმინდეს ობელისკებს ნაციონალებმა ბჟარაბჟური აუტეხეს, კაცობრიობას ფაშისტური სატანის ბოროტება დაეუფლებოდა. რამხელა საფრთხის წინაშე იდგა მთელი მსოფლიო, ახლა რომ გველის მომთვინიერებლებივით ერთობიან ნეოფაშიზმით, რომელიც ხშირად მომთვინიერებელს კბენს, რამეთუ იმას გესლავს, ვისაც სწვდება; ისე, როგორც საბჭოთა კავშირის მოსასპობად გამოზრდილი ფაშიზმი თვითონ მათ მიუბრუნდა.

დღევანდელ მსოფლიოში ამერიკა თავისი **ნატო**-თი იმაზე ძლიერი არ არის, ვიდრე რომის იმპერია იყო მაშინდელ მსოფლიოში, მაგრამ გათავხედებამ, უზნეობამ, მოხვეჭის გაუმაძღრობამ და სექსუალურმა სიბილწემ იქ მიიყვანა, სადაც ამგვარ მანკიერებათა აყოლილის ადგილია.

სოციალისტური ბანაკი დაიშალა, რუსეთი ისეთივე კაპიტალისტურია, როგორიც ყველა საბაზრო ეკონომიკის პრანჭვაში პუდრმოყრილი ქვეყნები. **ნატო**-ს ფუნქცია აღარ დარჩა, მაგრამ დაშლის მაგიერ, გაფართოება დაიწყო რუსეთის ყოფილ მოკავშირე სოციალისტური ქვეყნების ხარჯზე. საბჭოთა კავშირმა 1956 წელს დასავლეთ ევროპის ცენტრში უნგრეთი რომ დააუთოა, ხმა ვერ ამოიღო; ვერც ჩეხოსლოვაკიის მოთვინიერების ოპერაციის დროს გაფაჩუნებულა. ახლა ძალა იგრძნო და რუსეთის ისტორიულად მოძმე სერბიის საზარელი დაბომბვის შემდეგ, ძირძველი ტერიტორია – კოსოვო ჩამოაჭრა და დამოუკიდებლად გამოაცხადა. ამგვარი თვითნებობით მთელი მსოფლიო გააკვირვა, რადგან ხელის შემშლელი არავინ დარჩა, საქათმის გაზულუქებული მამალივით ვინც არ აწყობს უნისკარტებს. ახლა საბჭოთა კავშირის ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების შეყვანა მოისურვა თავისთან და რუსეთის ღრენას უმატა. რუსეთმა კი ნელ-ნელა ძალა მოიკრიბა, დასავლეთის ერთგულ საქართველოს ორი რეგიონი ჩამოაჭრა და დამოუკიდებლად გამოაცხადა იმავე ევროატლანტიკის მეთოდით. მათ კი თანდათან ახსენდებათ, რომ რუსეთს შეიძლება უღრინო, მაგრამ კბენა კბილების ჩამტვრევად დაუჯდებათ. საქართველოს კი იმ თვითაღიარებული ნაწილების არცნობით ამშვიდებენ, რამეთუ თავიანთი მიზნებისათვის დარჩენილი საქარველოც ჰყოფნით.

საბჭოთა კავშირმა მძლავრი წყალბადის ბომბის აფეთქებით დედამიწა რომ შეაზანზარა, მაშინ მიხვდნენ, რომ ამგვარი მცდელობით პლანეტაზე სიცოცხლის მოსპობამდე მივიდოდნენ და ატომური შეიარაღების შემცირებაზე მოლაპარაკებები დაიწყეს. რუსეთმა იმდენი ატომური მუხტი დააგროვა, მხოლოდ თავის ტერიტორიაზე რომ ააფეთქოს, პლანეტის არსებობას შეექმნება საფრთხე. რატომ ვერ მოგისვენია, დამთავრდა ცივი ომი, კაცობრიობამ შვებით ამოისუნთქა. ხალხს მშვიდობიანი თანაარსებობა ენატრება, შენ რატომ აღვიძებ ამ მიძინებულ მონსტრს?! ამერიკამ ესტონეთში მძიმე საბრძოლო ტექნიკა შეიტანა; გერმანიამ უკრაინაში ორასი ბუნდესვერელი გააგზავნა; ესტონეთში ფაშისტები აღლუმებს აწყობენ და უკრაინაში ფაშისტი სამთავრობო ბოევიკები დონეცკელთა მოჭრილ თავებს მათ მშობლებს უგზავნიან და ფაშისტური მეთოდებით დახოცილ მშვიდობიან მოქალაქეებს ერთად მიწაში ფლავენ.

უკრაინა და რუსეთი ერთი დედის ორი ღვიძლი ძმაა. უკრაინის შექმნაც რუსეთის დამსახურებაა, რომლისთვისაც თავისი ტერიტორიებიც არ დაიშურა. გამოდის რომ დასავლეთს რუსეთზე მეტად შესტკივა გული უკრაინაზე? ყოველივე ეს უბედურება როგორ დაიწყო მაიდანით და რა ბნელი ძალები მართავდნენ მთელმა მსოფლიომ იცის. **ნატო** კიდევ მაინც მიხოხავს რუსეთისაკენ და ავიწყდებათ, ამგვარი ხოხიალით სადამდე მივიდნენ ნაპოლეონი და ჰიტლერი.

აქ კი შეიძლება ჩემი გულახდილი აღიარება პრორუსულობად ჩამითვალონ, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ ყველა ჭეშმარიტი ქართველის ოცნებაა ქვეყნის გამთლიანება, რომლის გარეშე საქართველოს სიკეთე არ უწერია; ეს კი რუსეთთან მეგობრული ურთიერთობის აღდგენის გარეშე შეუძლებელია, მის საწინააღმდეგო ყოველი სიტყვა და მოქმედება საქართველოს გაერთიანებას გვაშორებს და, თუ ასე დიდხანს გაგრძელდება, გაერთიანება კი არა, რაც დავრჩით, იმასაც საფრთხე შეექმნება. დასავლეთს კი სულაც არ სჭირდება გაერთიანებული და დამოუკიდებლად მოაზროვნე საქართველო, რაშიც ერთგული ძაღლივით ემსახურებათ **"ნაციონალური მოძრაობა"**.

მოკლედ, ეს მომაკვდავი რეპტილია დასავლეთმა კოჰაბიტაციის ვაქცინის შეშხაპუნებით გამოაცოცხლა და ახლა, იმავ მფარველთა ხელშეწყობით, ენერგიულად უშლის ხელს **"ქართულ ოცნებას"**, მათ მიერ ქვეყნისათვის მიყენებული მძიმე ჭრილობების მოშუშებაში.

მთელი ნაციონალური ბანდა, ვინც ზის, ვინც მოასწრო გაქცევა, ვინც ჯერ კიდევ გარეთაა, საქართველოში ნორმალური ცხოვრების დასაგესლად შხამს არ ზოგავს. მათი ღვარძლი კი პირველ რიგში ბიძინა ივანიშვილისკენ არის მიმართული, რამეთუ ქვეყნის დამაქცევართ სამშობლოს და ერისთვის თავდადებული ადამიანისადმი შურისძიება არ ასვენებთ.

ბიძინა ივანიშვილს კი სამშობლოს კეთილდღეობისათვის უთანასწორო ბრძოლაში უანგარო განარჯვება ეროვნული გმირის ავტორიტეტით მოსავს; ამიტომ ასე უღრენენ სიძულვილის დორბლით დასვრილი ნაციონალები. თურმე ირაკლი ღარიბაშვილს მასთან კარგი ურთიერთობა დანაშაულად ეთვლება; ხვდება და რჩევას ღებულობს. ამ საცოდავებს კეთილშობილი ერისკაცის თვისებები ნაკლი ჰგონიათ. დასაგმობი კი ის იქნებოდა, ამ მტკიცე ხასიათის მქონე პრემიერს მარგველაშვილივით უარეყო ივანიშვილის რჩევები, რომელიც ხალხის ნებას ემთხვევა და ქართველი ერის ნდობა მისი მტრების ქილიკზე გადაეცვალა.

ესენი ერის საამაყო მამულიშვილების დასაცოფად არიან დაგეშილები, რამეთუ კარგად იციან ერისთვის თავდადებულ კეთილშობილთა ძალა. ამ ბოროტების გზაზე შემდგართა ღრენის და ყეფის მიხედვით შეიძლება გაარკვიოთ ერის ღირსეული შვილი ვინ არის.

წუნკალი ძაღლის ბოროტი ღრენით სასაცილო პრეტენზიებით შეირცხვინეს ისედაც შერცხვენილი არსებობა ზვიად ჯანყარაშვილის მიმართ. ეს ის ახალგაზრდაა სიკეთეს, სითბოს და კაცთმოყვარეობის შარავანდედი რომ ამშვენებს. დაელაპარაკები ამგვარ ერის სიამაყედ გაზრდილს და გიხარია რომ ადამიანი ხარ, რომ მრავალტანჯულ ქართველ ერს შესწევს უნარი ამგვარი დედის ძუძუნაწოვი ვაჟკაცების გამოზრდის, რომელთა ერისკაცობით საქართველო უეჭველად გაბრწყინდება.

ნაცბანდის ზეობის დროს, ცა ქუდად რომ მიაჩნდათ და დედამიწა გადასაყლაპად ეცოტავებოდათ, ქუჩაში ნაცნობი კაცი შემხვდა, ხელების ქნევით მოდიოდა. შევეკითხე, რა გჭირს-მეთქი. ამ მხეცების და ყაჩაღებს სამთავროში ყველამ გამანებოს თავი, ადამიანი ნადირზე უარესია! – საწყალი აღრიალდა. ძლივს დავამშვიდე და თანაგრძნობით ვკითხე, რა სჭირდა?

ჩემი პატარა ბიზნესი მქონდა, დიდი თანხა შემაწერეს და არგადახდის შემთხვევაში, შვილების გაუბედურებით დამემუქრნენ. ყველაფერი გავყიდ-გამოვყიდე, ვისესხე, კვნესით და ოხვრით მივიტანე. ფული გამომართვეს და წადიო, მითხრეს. რამე საბუთი მაინც მომეცით, ამხელა ფული რომ ჩაგაბარეთ-მეთქი. დაბლა, სარდაფში ჩადი, საბუთს იქ მოგცემენო; მეც ჩაველი. რა ვიცოდი ყაჩაღები, ბანდიტები და კაციჭამიები რომ იყვნენ. როდის იყო შარაგზის ყაჩაღები გაძარცვის საბუთს იძლეოდნენ? ისევ აღრიალდა. სიგიჟის ზღვარზე მისულ ადამიანს ყველა შემხვედრი მხეცი ეგონა და წყევლაკრულვით ერიდებოდა.

სად იყო მაშინ ევროპის სახალხო პარტია, თუნდაც ევროკავშირი – განუკითხავი ძარცვა-რბევა, კაცის კვლა, საზარელი წამება და ადამიანთა დანაშაულებრივი დამცირება ცოფიანი აფთარივით რომ დაშლიგინებდა ქვეყანაში და მრავალნატანჯ ქართველ ერს მოსპობით ემუქრებოდა?! დაიჭერდნენ და მთვარიდან ტყემლის მოპარვას აკისრებინებდნენ; ასე იოლად ხსნიდნენ საქმეს. ქუჩის ტაკიმასხარა ცირკის ოინბაზობად აქციეს ბრალდების წაყენება და უდანაშაულოთა მიერ მისი აღიარება; ახლა ხომ მთელმა ქვეყანამ გაიგო რა ბუაც ეჯდათ ციხეში.

ძნელი იყო ქვეყნისათვის თავდადებულ, პატიოსან, მართალ მამულიშვილებისათვის ამ საშინელებაში გაძლება, რადგან მათზე სადისტური ნადირობა მძვინვარებდა.

მთელ საქართველოში დაძრწოდა ბლუქუნა ვანოს ადამიანში ადამიანობის მოძულე დემონი და ცხედრებს ამრავლებდა – ვინ იცის, მინოტავრად ქცეულ შინაგან საქმეთა მინისტრს როდის დასჭირდებოდა ორი **"ტრუპი"**. ასე ამუნჯებდნენ, აწამებდნენ და სპობდნენ ქართველი ერის საამაყო, დედის ძუძუნაწოვ ვაჟკაცებს ეს ტურის შრატნაწოვი არამზადები. ქვეყნის იმედად შობილ მამულიშვილთა სისხლით მორწყეს მრავალ ცოდვათა მომსწრე ქართული მიწა; ეს არ ეყოთ და შავი ზღვის ფსკერზე მოაწყეს მათი სასაფლაო.

შეუპოვრობით, ვაჟკაცობით, კაცთმოყვარეობით და სამართლიანობით ცნობილმა, მამაცი წინაპრების ღირსეულმა შთამომავალმა – თამაზ თამაზაშვილმაც შეაშფოთა მათი ბოროტი დემონი, სასაცილოდ შეთითხნილი ბრალდებით დააპატიმრეს; ფიზიკურად მოსპობის მცდელობა კი ხალხის გამარჯვებამ გაუქარწყლა. მიუხედავად ნაგემნი მძლავრი პანღურისა მაინც ქართლის დედის საამაყო ყველა მამულიშვილის მიმართ ბოღმის პარკუჭის ნთხევით მიძვრებიან ქვეყნის მოძულეთათვის მოწყობილ სანაგვისაკენ.

გერმანელები ახლაც დიდი გულისტკივილით ინანიებენ ფაშისტების მიერ კაცობრიობისათვის თავსდატეხილი უბედურების ცოდვას. ჩვენთან კი ვერაფრით ვერ მოვახერხეთ მისი ნამსხვრევების ამოძირკვა. არადა, მათგან ნაკორტნ საქართველოდან ხალხის რისხვის შიშით გასაქცევად სტარტზე მდგომებს შინაურმა და გარეულმა მოამაგეებმა მაშველი რგოლივით შეაშველეს კოჰაბიტაცია. ამრიგად, დახრჩობას გადარჩენილი ნადირივით შემოიფერთხეს შიშის ბარტყები და ახალი ძალით ცდილობენ საქართველოს დაკნინებას; ქვეყნის გასაერთიანებლად და ასაღორძინებლად მებრძოლ ყველა ჯანსაღი ძალის დასაგესლად შხამს უხვად ანთხევენ.

ნაციონალთა თავქარიანი, ცრუპენტელა და მხდალი კერპი, დამნაშავე და პასუხისგებაში მიცემული, საქართველოდან გამფრთხალი, ძებნილი მიხეილ სააკაშვილი, რომლის პრეზიდენტობის პერიოდის მაღალჩინოსან ნაციონალთაგან ზოგი ციხეში ზის, ზოგი სამართალს ელოდება, გარეთ დარჩენილებიც ცოდვების დათხევის მოლოდინში კუთხეში მიმწყვდეულ ვირთხებივით კბილებს აღრჭენენ, ამ გაწბილებულ თანამოაზრეებთან სატელევიზიო თათბირს მართავს, დესტაბილიზაციით იმუქრება და ისევ გარბის. იმის მაგიერ, რომ დაპატიმრებულ ნაციონალებს გვერდით მიუჯდეს და სასჯელის სიმძიმე მათთან ერთად იტვირთოს, პატრონის ცხვარზე გამგელების გამო ნაცემი ძაღლივით დარბის და წკავწკავებს; რა ცოტნე დადიანობა მოეთხოვება მაგ მუხთლის კვერცხიდან გამოჩეკილ არარაობას.

ციხიდან ბაჩო ახალაია უკრაინელი ნაცისტების მხარდასაჭერად ქართველი ნაცების გაგზავნაზე ბოდავს. მთელი ძალითაა ამოქმედებული მათი დემაგოგია, სიცრუე, ცილისწამება და ერისთვის თავდადებულ მამულიშვილებზე სასაცილო ბრალდებების შეთხზვა.

ახლა დაავიწყდათ, მათი ტერორის შიშით ორჯერ ორი ხუთი რომ იყო. **"მარშრუტკა"** თუ ოპოზიციას მოემსახურებოდა საჯარიმო მოედანზე აყენებდნენ, მძღოლს გულის შემაღონებელ ჯარიმას ადებდნენ და მართვის უფლებას უკრძალავდნენ. ციხეში რაც ხდებოდა დღევანდელობა ხომ გაოგნებულია, მომავალს კი მისი გახსენება საზარელ ჟრჟოლვას მოჰგვრის.

რა საშინელი დანაშაულობანი აქვთ ჩადენილი ყველა ბოროტების წუმპეში ნაფორთხ ადეიშვილზე უკეთ ვინ იცოდა. ამიტომ ნაციონალებს ხელისუფლების სავარძლებიდან საჯდომები არ აეწივნათ, რომ საქართველოდან მოცოცხა. უგულავა გვიან მიხვდა, რომ მის დანაშაულით გალუმპულ ყოფას კოჰაბიტაციის ბუხარი ვერ გააშრობდა, დაუგვიანდა, ვეღარ გაასწრო მათგან დარბეულ საქართველოდან. ბაჩო ახალაია და ვანო მერაბიშვილი ისე მოსხდნენ მატროსოვის ციხეში, რომ მათი მონახულებით შეწუხებული ევროატლანტიკური დემოკრატიის თვალთმაქცი მამინაცვლები თავიანთ გერ დემოკრატიას სთხოვენ შველას, რომლისაც ისე სწამთ, როგორც თაღლითს სახარების.

**"ქართულ ოცნებაში"** შიშით ვერ დაუცემინებიათ, ევროპის სახალხო პარტიამ პოლიტიკურ ზეწოლაში არ ჩაგვითვალოსო. არადა, ხალხმა შვებით ძლივს ამოისუნთქა. ნაციონალი მსტოვრების დასმენის შიშით მართალი სიტყვის თქმის აღარ ეშინიათ; ერთმანეთს ენდობიან. განუკითხავი ძარცვა, დარბევა-დაპატიმრება და საზარელი წამება ნაციონალთა თავხედურ მმართველობას ჩაბარდა; ხალხი **"ქართულ ოცნებასთანაა"**. თუ რამე ისე არ ხდება, როგორც ქვეყანას წაადგება საგარეო და საშინაო საქმიანობაში, ნაციონალთა მუხთლობის და დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგია.

ნამდვილ ოპოზიციაში საქართველოს კეთილდღეობისათვის თავდადებულ მამულიშვილებს რა დათვლის. სწორედ ასეთი ოპოზიცია სჭირდება **"ქართულ ოცნება"**-ს და საქართველოს ნათელი მომავლისათვის ბრძოლას.

ნაციონალური მოძრაობა ოპოზიცია კი არა, ქართული სახელმწიფოებრიობის და ქართველი ერის უბედურებად ღვარძლით და ბოროტებით გატენილი მტერია.

უხსენებელი ყველგანაა, მაგრამ ნაფერებ ბოსტანში თუ შემოგეჭრა და მისი გავერანების მიზნით დამუშავების საშუალებას არ გაძლევს, თავი უნდა გაუჭეჭყო.

**გივი სომხიშვილი,**
**მწერალი, დავით აღმაშენებლის სახელობის პრემიის ლაურეატი, აკადემია "აია"-ს წევრი**

# ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი

თქვენ კი, მღვდელებო, მეცნიერებო და წიგნიერო მრევლო, არ გწამთ და არ გჯერათ ქრისტეს მეორედ მოსვლისა, რომ გწამდეთ და გჯეროდეთ მისი მოსვლის, იოანე ზოსიმეს **„ქემაის“** წინასწარმეტყველებასაც დაიჯერებდით და ტელევიზიით ქართველ ქრისტიანებს და სხვებსაც ეტყოდით სიმართლეს. თქვენ ქრისტე და სამშობლო კი არ გაინტერესებთ, არამედ გაინტერესებთ ფული, იუდას ყულაბა (ბანკი), მთავრობის, პარლამენტის, სიცრულის საინფორმაციო სამსახურებისა და სამღვდელოების ერთიანი **„სამართლიანობის“** თამაში (ავყიათა საკრებულო გიყვართ თქვენ). ამიტომ ხართ სიმართლის (ქრისტეს) მოძულენი და სიცრულის მონობის (იუდას) მოყვარულნი და, რომ ეს ასე არ იყოს, იუდეველ შევარდნაძეს კი არა, იუდეველ სააკაშვილსაც არ აირჩევდით საქართველოს მეფედ

ღვთაებრივი იოანე ზოსიმეს „ქებაის“ საიდუმლო ტექსტი გვეუბნება: **რათა ყოველსა ენასა, ღმერთმან ამხილოს ამით ენითა“.** სამება ქართული დამწერლობისა და სამება ენის გარდა არსებობს აგარი, მდაბიო დამწერლობები და ენები. ისინიც ქართული ენისა და დამწერლობის შვილები არიან, რადგან მისგან გამოვიდნენ. ქართველმა არიელმა ქურუმებმა მისცეს (გაატანეს) მსოფლიო ხალხებს დამწერლობები და რჯულის წიგნები, რითაც მათ შექმნეს სასულიერო და პრაგმატულ-მატერიალური ინსტიტუტები, სახელმწიფო ინსტიტუტები, ხელოვნება და კულტურა, სოფლის მეურნეობა, არქიტექტურა და მშენებლობა და ყველაფერი ის, რაც კი გააჩნია თანამედროვე კაცობრიობას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გამოაშკარავება მოხდება იესო ქრისტეს მეორედ მოსვლის შემდეგ. ამიტომ გვეუბნება ბრძენი იოანე ზოსიმე: **„ყოველსა ენასა, ღმერთმან** (იესო ქრისტემ) **ამხილოს ამით ენითა“**, ანუ ქართული ენითაო. იესო გაამხელს ანუ სააშკარაოზე გამოიტანს ქართული ენის ამაგსა და დანარჩენი ენების (ხალხების) უმადურობას, რომელსაც მსოფლიოს ხალხთა წინამძღოლი სასულიერო პირები (პაპები და პატრიარქები), მეცნიერები და პოლიტიკოსები სჩადიან ქართული ენის მიმართ. სხვებს თავი რომ დავანებოთ, სააშკარაოზე გამოვა საქართველოს პატრიარქის, სინოდის, სამღვდელოების, მეცნიერებათა აკადემიის, პოლიტიკოსებისა და სხვათა ბობოტი საქმეები, რადგან ისინი ცდილობენ გაასაიდუმლონ, მიჩქმალონ, დაამცირონ, დააკნინონ ქართველ ქურუმთა ღვაწლი კაცობრიობის წინაშე. ისინი ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ წინ წამოწიონ რელიგიური პლაგიატები, ქურდები და ავაზაკები – მცირეაზიელი იუდეველები, რომლებმაც მოკლეს ქართველ არიელ ქურუმთა მეფე, მართალი იესო ქრისტე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თანამედროვე მსოფლიოში რელიგიური, მეცნიერული, პოლიტიკური ინსტიტუტები და ყოველი ჩამდენი სიცრუისა, მზაკვრობისა და ყოველგვარი ბოროტებისა დაინტერესებულია ქართული სამება დამწერლობისა და სამება ენის დამსახურების დამცირებით, დაწუნებით, ჩაწიხლვითა და გაბითურებით. პარალელურად, ყოველ ღონეს ხმარობენ დედამიწაზე სიმართლის განმცხადებელი არსაიდან არ შემოუშვან, მით უმეტეს ქრისტეს მოსვლას, თუკი შეძლებენ, ყოველგვარი ხერხებით წინ აღუდგებიან. აი, რა იცოდა გენიოსმა იოანე ზოსიმემ.

*და ესე ენაი,*
*მძინარე არს დღესამომდე*
*და სახარებასა შინა ამას ენასა,*
*ლაზარე ჰქვიან“.*

ქართული დამწერლობა და ენა მძინარეა იმ გაგებით, რომ წიგნიერ კაცობრიობას მთავარ დამწერლობად და ენად მიაჩნია ივრითი, ბერძნული და ლათინური. შესაბამისად, ძველი და ახალი აღთქმის ავტორებად მიაჩნიათ ქრისტეს მკვლელი ურია-იუდეველები. ღვთაებრივი იოანე ზოსიმეს **„ქებაის“** მიხედვით, სახარებაში მოცემული ქრისტეს მეგობარი ლაზარე ქართული დამწერლობაა, ქართული ენაა და ქრისტეს წარმომშობი ქართველი ერია. შესაბამისად სახარების მიხედვით, ქრისტეს წარმომშობი აბრაამი, დავითი და ყველა, ვისგანაც ქრისტე წარმოიშვა გენიოლოგიური ხაზით, არის ქართველი ჯიშისა და ჯილაგის: **„პავლე, იესო ქრისტეს მონა, მოწოდებული მოციქული, ამორჩეული ღვთის სახარებისათვის, რომელიც წინასწარ აღთქმული ჰქონდა თავის წინასწარმეტყველთა მიერ წმიდა წერილებში. თავი ძეზე, რომელიც დავითის თესლისაგან იშვა ხორციელად, და განწესებულ იქნა ღვთის ძედ ძალაში სიწმინდის სულით, მკვდრეთით აღდგომისათვის ჩვენს უფალ იესო ქრისტეზე“.** (რომ. 1, 1-4).

თქვენ წარმოიდგინეთ, თუ რა მოყვება იესო ქრისტეს მეორედ მოსვლას დედამიწაზე. თავდაყირა დადგება მსოფლიო სიცრუის მანქანა და იუდას ყულაბა, მსოფლიო ბანკი, სამხედრო კომპლექსები და, მით უმეტეს, სასულიეროდა პოლიტიკური ინსტიტუტები გაოგნდებიან თავიანთი ცოდვების გამოაშკარავების გამო. ისინი, ვისაც ახლა მრევლი (ხალხი) ხელზე კოცნის, სოროებში შეძვრებიან და სიკვდილს ინატრებენ, მაგრამ სიკვდილი არ მივა მათთან.

საღვთო დამწერლობა და ენა რომ იყოს ივრითი, ბერძნული, ლათინური, არმენული და სხვა, მახარებლები და მოციქულები სახარებასა შინა ქრისტეს მეგობრად ქართულ ენას – ლაზარეს რატომ ჩაწერდნენ? მით უმეტეს, თუ მახარებლები და მოციქულები მცირეაზიული ურია-იუდევლები არიან, ვიღაც ველურ ლაზურ-ქართულს ივრითის (მშობლიური ენის) წინ რატომ დააყენებდნენ?

*„და ახლამა ნინომ მოაქცია,*
*და ჰელენე დედოფალმან,*
*და ესე არიან ორნი დანი*
*ვითარცა მარიამ და მართაი“.*

მამრობითი სქესი არის თესლის მშობელი, მდედრობითი სქესი არის ამ თესლის გამსახიერებელი – აღმდგენი – გამცოცხლებელი. წმიდა სამების დოგმატიდან გამომდინარე, მამა ღმერთი (პირველი იპოსტასი) შობს თესლს, სიტყვას, ძეს (მეორე იპოსტას), ხოლო სულიწმიდა ამ თესლს (ძეს) აძლევს მარადიულ სიცოცხლეს. მოცემულ საღვთო უზენაესი კანონიდან გამომდინარე, რელიგიური თვალსაზრისით, დამწერლობა არის პირველი იპოსტასი (მამა), დამწერლობით შექმნილი სიტყვა კი თესლი (ძე) მეორე იპოსტასი, რჯულის წიგნია დედა (სულიწმიდას იპოსტასი). ამიტომაც ჰქვია სამლოცველო ტაძარს (სახლს) **დედა ეკლესია.** ძველად, შორეულ წარსულში საქართველოს დედოფალი ითვლებოდა ეკლესიების, სამღვდელოებისა და მრევლის ქომაგად და პატრონად.

კოდი, სიტყვა ნინ-ო სვანურ ენაზე გულისხმობს საიდუმლო ენას **ნინ** (ენა), ხოლო **ო-ბეთს** და ძლიერს = **ლემი** ანუ **ბეთ-ლემი** გულისხმობს საიდუმლო ძლიერ ღვთის სიტყვას, რომელსაც ინახავს სვანური, მეგრული და იბერიული ენა. სვეტიცხოვლის აღმოსავლეთის ფასადზე ქრისტე ზის ლომზე და კოსმოსში მიფრინავს, რომელიც გულისხმობს საიდუმლო ქართულ სამება დამწერლობასა და სამება ენას, იგი არის ღვთის სიტყვის შემოქმედი ბეთ-ლემი (ლომი).

წმიდა ნინო არის კაბადოკიელი ბაგრატიონი (ბა-გრა-ტი-ონი გულისხმობს მამასა და ძეს (ბა), გრა-ალს, ტი = ტ-გასაღები, ისიმართლისა და „ონი“ გულისხმობს საქართველოს პირველ სასულიერო ცენტრს). წმიდა ნინო ნაზიარები იყო ქართული სამება დამწერლობისა და სამება ენის საიდუმლოს, ის იყო უნიჭიერესი ქართველი, სულიწმიდით ცხებული ქალი. ჯვარზე შემოხვეული „თმა“ ქართული 50 კოდური დამწერლობის მატრიცის საიდუმლო გასაღებს გულისხმობს, რომელიც მარადიული სიცოცხლის ძალით ეკუთვნის მაცხოვარ იესო ქრისტეს: **„მკვდარი ვიყავი და, აჰა, ცოცხალი ვარ უკუნითი უკუნისამდე, მიპყრია სიკვდილისა და ჯოჯოხეთის გასაღები“.** (გამოც. 1, 18).

წმიდა ნინომ მოსეს VI ეკლესიის საფეხურზე მოღვაწე სამღვდელოებას ამცნო, რომ უნდა გადასულიყვნენ ქრისტეს VII ეკლესიის საფეხურის რიტუალზე. სამღვდელოებას ნინომ ჩამოუტანა საეკლესიო წესდებები, სარიტუალო საკითხავი ტექსტები, ახალი აღთქმის ლოცვანები და ა.შ. ანალოგიურად მოიქცა ჰელენე დედოფალი ბერძნული სამყაროს გაქრისტიანების მიზნით. სადღაც წამიკითხავს, რომ ჰელენე დედოფალი პელაზ-გი (ქართველი) იყო წარმოშობით.

მარიამი არის ქრისტეს ხორციელი დედა, ასევე მარადიული სიცოცხლის პროგრამის წიგნი, რომელიც მამა ღმერთთანაა, იგივ ქრისტეს სულიერად დამბადებელი დედა, მოსეს მოაზროვნე სულს, რომელმაც შვა ღვთის სჯულის წიგნი, ეწოდება მართა (მართალი). აქვე გეტყვით: ქრისტე დედის მუცელშივე იყო სულით შობილი, ანუ უცოდველი აზროვნების მქონე, ხოლო დანარჩენი კაცობრიობა არის ღვთის მიერ შექმნილი, მაგრამ არ არის მამისგან სულიერად შობილი, ამიტომ არის ცოდვილი. შესაბამისად, მას ესმარება ქრისტე, რათა მამისაგან (ზეციდან) იშვას ცოდვილი კაცობრიობა.

*„და მეგობრობაი,*
*ამისთვის თქვა,*
*რამეთუ ყოველი საიდუმლოი,*
*ამას ენასა შინა დამარხულ არს“.*

ძველი აღთქმის მიხედვით, სისხლით ნათესავი დგას წინა პლანზე, ხოლო ამხანაგი და სულიერი თანამოაზრე უკანა პლანზე. სიტყვა, საიდუმლო კოდი **„მეგობარი“** ქრისტემ უწოდა მოციქულებს, თავის სულისმიერ თანამოაზრეებს და თან უთხრა, დამოძღვრა ისინი: „**ყოველი საიდუმლო ამას ენასა** ქართულსა) **შინა დამარხულ არს“.**

**„ესაა ჩემი მცნება: გიყვარდეთ ერთმანეთი, როგორც მე შეგიყვარეთ თქვენ, იმაზე დიდი სიყვარული არ არსებობს, როცა ვინმე თავის სულსსწირავს თავისი მეგობრისათვის. თქვენ ჩემი მეგობრები ხართ, თუ გააკეთებთ, რასაც მცნებად გიდებთ. მე აღარ გიწოდებთ მონებს, ვინაიდან მონამ არ იცის რას აკეთებს მისი ბატონი, არამედ მეგობრები გიწოდეთ, რადგან ყველაფერი გამცნეთ, რაც მამაჩემისაგან მსმენია“.** (იოანე 15, 12-15).

მაცხოვარი იესო ეუბნება მოციქულებს: ყველაფერი გამცნეთ საიდუმლო ქართულ სამება დამწერლობასა და ენაზე, რომელიც მამა ღმერთისაგან მსმენიაო, ანუ მამა ღმერთი მარადიული სიცოცხლის წიგნს კითხულობს ქართულ ენაზე, რომლის ტექსტი შედგენილია ქართული დამწერლობით. კოდი **„მე-გობ-არი“** გულისხმობს ადამიანს, სულიერ თანამოაზრეს, რომელსაც ანდობენ, აბარებენ დიდ საიდუმლოს. მეგრული ქართულით მეგობარი ითქმება **მეგობარი** (ჩაგაბარე), ამიტომ წერია სახარებაში: **„ღამით მოარული კი წაიბორძიკებს, რადგან ნათელი არ არის მასში. ეს თქვა და შემდეგ უთხრა მათ:** (ქართველ იუდეველებს): **„ლაზარემ, ჩვენმა მეგობარმა (**საიდუმლო ინფორმაციის შემნახველმა დამწერლობამ და ენამ), **დაიძინა, მაგრამ მე მის გასაღვიძებლად მივდივარ“.** (იოანე 11,10-12).

**მურმან ხუბულავა**

*(გაგრძელება შემდეგ ნომერში)*

## პოეზიის კუთხე

მალას სუას ქიჩანუანს
ჩქინი ნინა მარგალური,
ვემიოტალენს ფურინუას –
მელუღიე მალაღური!
ნტერეფ ნინას მოლიმუნა,
მირაგადნა – ღური, ღური!
კინოხონეფ მირკიანა –
არქა ბოშეფ, არქა, გური!
ნინაშ გურშენ ბხანდულენდ დო
ღობერძგასგ ქალაბღური.
მუსხანს ვორდათ შხვაშ გაძიცალ
ვამბაღნანო თეზმა ლური,
გაგშაბკურცხათ, ქინიბკაშათ –
წკონდა ნინაშ ჰამო შური.

### მანგარინე

გუთმოთანდუ დო ისერუ,
ისერუ დო გუთმოთანდუ,
დღალეფ გინძას მისერგელუ,
მოფერაფას მითინს ვანდუ
ბორჯ მეურს, მა ეკოფთხოზგქ,
მუჭოთ ქირი მალაღურსგ,
ქიფცხვანტალგქ, მარა იშენ,
ირფელ ჭუა ჩქიმდა მურსგ
მეძობელიშ ცუდეს ვორდი,
სუმარ ცუნდუ აბაშაშე,
ჩქინობურო ვაჩიებედ,
მუქ მოძირუ, მუ დუაშე?
მუ მოსქიდნა თე ქიანას,
ღურაშა მის აწარინე,
მარა ნინა მიღურნა დო
ათეშ გურშენ მანგარინე
საქვარ თინა რენო ხვალე,
შვე, ჭკუმე დო რძღაფილი რდე?
სამარგალოს ქიდებად-და –
მარგალურო ოკო მირდე!
ნინა სქანი გიჯორდასგ,
დღასგ ვაგიჭყოლიდუა,
კოჩის ვარაგადაფუა –
სოვრე მორთ დო სო ირდუა!

### მუზეფწკგმა

დღალეფ ხესგ მიკინებუ,
გინმოფაფჩუნქ კარტიცალო,
ბაღანობას მირკინებუნ,
გუმაშინე მა თი ცალო –
ითამ ასე მოხვადუკო,
ბორჯიშ გინიბრთ გაძიცალო
ღურას ვიშო აფხვადუქო,
ნარღის გურიშ ცელით ბცალუ!
სო რე ასე ჩქიმ ცოროფილ,
ჩქიმდა კარკაცითგ მალუ
სერიშ ვითოჟირი რენ დო
გალე მითინ ვეგლევალუ.
მის გაგინე ჩქიმი ჭუა,
თეცალ ნიტე მი მაპალუ,
გოკონ მიბლე თელ ქიანა –
ბჟაეიოლ დო ბჟადაალუ
ლიმას ვორექ მუზეფწკუმა,
ქაშმოფორჩეს შურიშმალუ –
არძოს დინა მელუნია,
მით მუშ ნინას ვანინალუ!
თაშ მიწის დო დუმორთინეს,
გომგინძორეს რინაშ ღალუ,
მა თინეფიშ ეკნაჩინა,
ამარ, თქვანდა ქუმომღალუ

* * *

მიმენარტი ჩქიმ სქვამ ცირა
გურ მაფ ცოროფათგ ეფშა.
მუშენი რე მუშმოცირანს –
ქგდებლახი სქანი გეშა?
მიჯორს მა სქან თოლეფ გვირა,
ჯუნა მოკო სქანი ხეში,
სქან მასქვამა მეტ სო ბძირა,
მოჭყუდუ რექ სამონთხეში.

### ზოთონჯი რე

ზოთონჯი რე, ცინუნს, ბეჯგუნს,
დუდი ვემგაჭოფე გალე,
გინოთილ რე შონეშ გვალა,
თირს მიშახე ომარგალე.
აკოსერე ჩქიმი ხვიმა –
მუკოჭორჭუ ზესქვეფ უჩა,
მიდგა გალე ალეპალუ,
მინმირულე არძო ცუჩა.
მუ უჯგ მუჟამც გალე თუნცგ,
სი ეკოხექ ყებურს ტიბას
მინ დირფას დო მინ ღვინს
შუნცგ,
ვაშვენ მუ გურ ოკო გიღდას!

**ბიგა ქავთარაძე**

# ამბები სამეგრელოდან

## ხამისკურში წყლის მაგისტრალის სარეაბილიტაციო სამუშაოები იწყება

ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი გოჩა ქაჯაია, გამგებლის მოადგილე ვარაზ გაბედავა, არასამთავრობო ორგანიზაცია „სოფლად თემთა განვითარების სააგენტოს“ დირექტორი როსტომ გამისონია და ამავე ორგანიზაციის დასავლეთ რეგიონის კოორდინატორი როსტომ დარახველიძე ხამისკურის მოსახლეობას შეხვდნენ. ბოლო წლების განმავლობაშიმოუწესრიგებელი წყალსადენი სისტემების გამო მოსახლეობას არ მიეწოდება უსაფრთხო სასმელი წყალი. ხამისკურის მოსახლეობის მიერ გაკეთდა სათაო ნაგებობა, საიდანაც გამგეობისა და არასამთავრობო ორგანიზაცია „სოფლად თემთა განვითარების სააგენტოს“ ერთობლივი თანამშრომლობით შეიცვლება მილები და ძველს ახალი მაგისტრალი ჩაანაცვლებს.

პროექტის განხორციელების შემდეგ ხამისკურის 110 ოჯახი, საჯარო სკოლა, საბავშვო ბაღი და კერძო საწარმოები სასმელი წყალით იქნება უზრუნველყოფილი. წყალს ჩაუტარდება ქიმია-ბიოლოგიური ანალიზი. გამგებელი მოსახლეობას სხვა პრობლემურ საკითხებთან დაკავშირებით თანადგომას დაჰპირდა.

## „რა? სად? როდის?“ ფინალი

ოქტომბრის მიწურულს ქ. ხობის კულტურის სახლის დიდ დარბაზში ინტელექტუალური თამაშის **„რა? სად? როდის?“** ფინალური ტური გაიმართა. ფინალში ერთმანეთს ხობის – **„ლაზიერი“**, ქვემო ქვალონის – **„ჭყონდიდი“**, პირველი ხორგის – **„ხორგა“**, ახალი ხიბულა – **„ჰელადოსი“** და ხამისკურის – **„ჯიხა“** შეხვდნენ. დაძაბული თამაშისას გამოვლინდნენ გამარჯვებული გუნდები. პირველი ადგილი დამსახურებულად მოიპოვა ხამისკურის – **„ჯიხამ“**, მეორე ადგილზე გავიდა ახალი ხიბულის გუნდი **„ჰელადოსი“**, ხოლო მესამე ადგილი წილად ხვდა ქვემო ქვალონის გუნდ **„ჭყონდიდს“**. პროექტი ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურმა განახორციელა.

ინტელექტუალური თამაშის გამარჯვებული გუნდები ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა ქაჯაიამ, საკრებულოს თავმჯდომარემ ედიშერ ჯობავამ და გამგებლის მოადგილემ მახარე ჩოკორაიამ სიგელებითა და წიგნებით დააჯილდოვეს.

## ეგრისობის დღესასწაული

სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოქალაქევში, ოცწლიანი პაუზის შემდეგ ეგრისობის დღესასწაული აღნიშნეს (დაწვრილებითი ანგარიში იხ. ჩვენი გაზეთის მომდევნო ნომერში). დღესასწაულზე, რომელსაც საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი დაესწრო, სამეგრელო-ზემო სვანეთის ცხრავე მუნიციპალიტეტმა მათი კუთხეებისთვის დამახასიათებელი სამზარეულო და ეთნოგრაფიის ნიმუშები წარმოადგინეს. ხობის მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახურმა სადემონსტრაციო კუთხე მოაწყო, რომელიც სტუმრებს უყურადღებოდ არ დარჩენიათ. დღესასწაულს ესწრებოდნენ ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი გოჩა ქაჯაია, საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა და ხობის მუნიციპალიტის წარმომადგენლები. გაიმართა კონცერტი, სადაც ირაკლი ღარიბაშვილმა სიტყვით მიმართა დამსწრე საზოგადოებას და ეგრისობის დღესასწაული მიულოცა.

# იერუსალიმური მალხა და ხევის მალხები

ჟურნალ **“ისტორიანის”** კითხვისას (**“ისტორიანი”**, ისტორიულ-შემეცნებითი ჟურნალი, 10 (46), 2014 ოქტომბერი, გვ.54) წავაწყდი სტატიას, – **“მაცხოვრის წმინდა საფლავის ტაძრის ქართული “ავტოგრაფები”**. მოვიტანოთ ამონარიდი ამ სტატიიდან (გვ.55):

**“მიუხედავად ამ ყველაფრისა, ქართული კვალი ადგილზე სრულიად მაინც არ წარხოცილა, იქ ალაგ-ალაგ დღესაც გვხვდება ჩინებული თუ უჩინო ქართველთა “ავტოგრაფები”. აღსანიშნავია ის ხსოვნაც წარსულში იერუსალიმის ქართული თემის ძლიერებისა, რომელიც ადგილობრივი არაბების მეხსიერებას დღემდე შემოუნახავს. ამ ხსოვნის მდგრადობის ერთ-ერთი მიზეზები შესაძლოა ისიც იყოს, რომ სხვადასხვა გადმოცემის თანახამად, წმინდა ქალაქის მისადგომებთან უკვე მე-5 საუკუნიდან მოყოლებული არსებობდა ქართველთა დასახლება-მალხა. “მცველნი ქალაქისა იერუსალიმისანი და მხედარნი, რომელიც ვახტანგს განუწესებია მუნ, მუნ დასახლებულან, ენა შეცვლიათ არაბულად და იგინი ქართველნი არიან გარემოს იერუსალიმისა და არაბნი და ევფრატის არაბნიცა, აწ არაბნი იერუსალიმენნი ქართველნი არიან“ – წერდა 1757-1758 წლებში წმინდა მიწაზე მყოფი საეკლესიო მოღვაწე ტიმოთე გაბაშვილი. გასულ საუკუნეში ისრაელ-პალესტინის ომის შედეგად სოფელი მალხა მკვიდრთაგან სრულიად დაიცალა და ნასოფლარის ადგილზე ახლა ისრაელის დედაქალაქის თანამედროვე უბანია გაშენებული”.**

როგორც კი შევამჩნიე სიტყვა (ტოპონიმი) მალხა, მაშინათვე გამახსენდა ამ ოციოდე წლის წინ წაკითხული და შენახული გაზეთები (თვალთაი, 1996, 26, 26), რომლებშიც იბეჭდებოდა ვალერიან ფირანიშვილის სტატია. **“შეხვედრები კონსტანტინე გამსახურდიასთან”**, სადაც ლაპარაკია სწორედ მალხების, ამ საინტერესო ხალხის შესახებ, მაგრამ სანამ ამას განვიხილავდეთ მოვუბრუნდეთ ისევე ჟურნალ **“ისტორიანი”**-დან მოტანილ ამონარიდს.

პირველ რიგში ვიტყვი, რომ არც მალხა და არც მალხები არცერთ ენციკლოპედიაში არ არის შეტანილი, რაც ძალზედ დამაფიქრებელია, ავტორი შეწუხებულია თუ თითქმის როგორ დაიკარგა ქართული კვალი იერუსალიმში და არაფერს ამბობს თუ რა მდგომარეობა იყო მანამდის იქ.

მოვიტანოთ ამონარიდი ივ. ჯავახიშვილის წიგნიდან **“ქართველი ერის ისტორია”**, ტ.1, 1951წ., გვ.191

**“მარტო იმ საბუთით, რომ ეგრისი და მეგრელი მისი (ნ.მარრის – ნ.კ.) აზრით ძველი სატომო სახელის “ჰიბერ”- ისაგან უნდა იყოს წარმოდგარი, ნ.მარრი ამტკიცებდა, რომ იბერიად უნდა აღმოსავლეთ საქართველო კი არა, არამედ დასავლეთი საქართველო, სახელდობრ სამეგრელო და მეგრელები. გამოდის რომ წმინდა ნინოს აღმოსავლეთ საქრთველო კი არ ვიგულისხმოთ, როგორც ჩვეულებრივ მიღებული იყო, არამედ მეგრელები და დასავლეთ საქართველო მოუქცევია. განთქმული საეკლესიო მოღვაწე, იბერიის უფლისწული პეტრე ქართველიც, იბერად წოდებულიც (? – ნ.კ), ალბათ სამეგრელოდან უნდა ყოფილიყო და იერუსალიმში არსებული იბერთა და ლაზთა მონასტრებიც ალბათ ამავე მეგრელებისა და ლაზების სავანეები უნდა ყოფილიყო. ამ მეგრელთა ტომის სახელი ბერძნებმა და სომხებმა აღმოსავლეთ საქართველოს ქართველებსაც უწოდესო”.**

ეს კი ჩვენს ოპონენტებს არ მოეწონებათ. პეტრეს ქართველს უწოდებენ, რაც ნონსენსია და შემდეგ **“იბერად წოდებულიც?”** პეტრეს ეპოქაში არ არსებობდა არც ქართველი და არც საქართველო. აქ ისეთ რამეებზე გვიხდება საუბარი, რაც სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს.

მოვიტანოთ ამონარიდი ვასილ ჩაჩანიძის წიგნიდან **“პეტრე იბერიელი და ქართული მონასტრის არქეოლოგიური გათხრები იერუსალიმში”**. (მეცნიერება, 1974, გვ.32): “მონასტერი ამ სახით როგორითაც ის დღეს არის გათხრილი, არსებობდა კეისარ იუსტინიანეს დროს. იგი ინახულა ჩვენმა სახელოვანმა თანამემამულემ – იოანე მესხმა მაშინ. როცა ეს ადგილები ჯერ კიდევ არ იყო აოხრებული და ტაძარი იწოდებოდა **“ლაზთა მონასტრად”**.

იქვე შემდეგ გვერდზე (გვ.33) ვკითხულობთ: **“პეტრე იბერიელის ცხოვრების ქართული ტექსტის ვრცელ ვარიანტში ნათქვამია, რომ პეტრე იბერიელს პალესტინასა და ეგვიპტეში, გარდა იორდანის უდაბნოს მონასტრისა სხვა ეკლესიებიც და სასტუმრონიც უშენებია ქართველთა და სხვათა ძმათათვის!!!”**

და ისევ ქართველთა. ბატონი ვასილ ჩაჩანიძე მართალია როცა პეტრეს უწოდებს იბერიელს, მაგრამ სცდება, როცა ლაზთა მონასტერს უწოდებს ქართულს. ელემენტარული საკითხია, როცა შენ პატივს არ სცემ შენს წინაპარს, არც შენ დარჩები სხვებისაგან პატივცემული. სწორედ ეს იყო მიზეზი პალესტინაში ჯერ იბერიული-ლაზური ცივილიზაციის **“შეცვლისა”** ქართულით, ხოლო შემდგომ ამ ქართულის შეცვლა სხვადასხვა რჯულის მიმდევართაგან.

ახლა გადავინაცვლოთ პალესტინიდან ხევში და მოვიყვანოთ ამონარიდი გაზეთიდან **“თვალთაი”** (1996, 25, გვ.4), ვალერიან ფირანიშვილი, **“შეხვედრები კონსტანტინე გამსახურდიასთან”**:

“როცა საუბარი დიდ მწერალზე ყაზბეგზე ჩამოვარდა, მოხუცმა (მიხეილ სუჯაშვილი – ნ.კ.) ბატონ კონსტანტნეს უთხრა, “მე თვითონ ერთი-ორი წლით უფროსი ვარ ბატონიშვილზეო (ე.ი. ყაზბეგზეო – ნ.კ.). გუშინდელივით ცხადად მახსოვს – ამბობდა მოხუცი მიხეილი – როგორ ამოვიდნენ მასთან ფრანგები სოფელ მნაში ყველისა და მატყლის შესასყიდად, როგორ წავიდნენ ჩვენი წინაპრების მალხების მოსანახულებლად”. სიტყვა მალხის გაგონებაზე ბატონი კონსტანტინე დიდად დაინტერესდა. “– ადრე – განაგრძო მიხეილმა – ამ ხალხს დაბა გველეთშიც (ეს სიტყვა “გველეთი” არავითარ კავშირში არა სიტყვა “გველთან” და ის უნდა მომდინარეობდეს სიტყვიდან გვალა-მთა, ხოლო “გვალათი” უნდა ნიშნავდეს მთიანეთს-ნ.კ) უცხოვრია, ძირითადად კი უთუნკალესა და მაისტის რაიონებში, ხევსურეთის საზღვრებზე ყოფილან განლაგებულნი. ბატონიშვილს ძალზედ უყვარდა ისინი, მათი ენაც ძალზედ კარგად იცოდა, მათს დღეობას და მწუხარებას არ აკლდებოდა. ხშირად ამბობდა, მალხები დიდი საქართველოდან, კოლხეთიდან არაიან მოსულებიო და იცით, რომ მეც იმ მალხების ჩამომავალი ვარო, – დასძინა მოხუცმა. – ქართველ მეფებს ყველაზე ერთგული ხალხი საზღვრებზე, განსაკუთრებით კი საქართველოს ჩრდილოეთ საზღვრებზე, ჰყავდათ დასახლებული და მართლაც თუ კარგად არ დაუკვირდით, ვერ შეატყობთ, ღმერთმანი, რომ ისინი სხვა ტომსა და ჯიშს ეკუთვნიან, მალხები გამორჩეულები არიან თავისი ხასიათით; არიან გაჭირვებულთა დამხმარენი. აკვნიდანვე თან მოსდევთ ზრდილობა, სტუმრის განსაკუთრებული მიღება, როგორც ჩევნს მეგრელებსო.”

როგორც ამ ნაწყვეტიდან სჩანს აღმოსავლეთის მთიანეთში ძალზედ დაფასებულნი ყოფილან მალხები, იგივე კოლხები, იგივე მეგრელები. როგორც ვნახეთ თვით ალექსანდრე ყაზბეგი თავისთავს მალხად, ანუ კოლხად მიიჩნევდა და მეგრულიც კარგად სცოდნია, მაგრამ ყველაფერი ეს გასაიდუმლოებულია და თითქოს აუკრძალია ყველაფერ ამაზე ლაპარაკი.

სხვა საკითხია თუ როდიდან განსახლდნენ მალხები აღმოსავლეთის მთაში. ამის შესახებ აი რას წერს შემდგომ ვალერიან ფირანიშვილი: “ჩვენმა დიდმა მეფემ გიორგი ბრწყინვალემ (აგრძელებს მიხეილ სუჯაშვილი – ნ.კ.), მას შემდეგ, რაც შეძლო მონღოლების ნაოხარი სამშობლოს ოდნავ ფეხზე წამოყენება, იმიერკავკასიის ხალხებისთვისაც მოიცალა და ამ მხარეში სპეციალური მისიით მოავლინა საქართველოს პატრიარქი ეფიმი, რომ შეესწავლა რა დღეში იყო იქაური ქრისტიანობა. სწორედ რომ იმ დიდებული ადამიანის რჩევით სახელოვანმა მეფემ მონღოლებისაგან შევიწროვებული ქრისტიანი ქართველებისათვის სალოცავად მთელი ათი წლის მანძილზე აშენა ეს დიდებული ტაძარი, მისი დაცვა და მოვლა ქისტეთიდან აქ გადმოხვეწილ ძველ ქართველს – კოლხს, ვინმე სუჯს მიანდო, რომლის სახელზეც ჩვენი გვარი მოდის და ეს სოფელიც მაშინ დაარსებულა. გერგეთი მათ ენაზე მშობლიურს ნიშნავს და ამიტომ სამშობლო მიწა რომ მოძებნეს, სახელიც ასეთი შეარჩიეს”.

შეიძლება ძველ კოლხურად გერგეტი მშობლიურსაც ნიშნავდეს, მაგრამ რაც დანამდვილებით ვიცი “გერგე” მეგრულად წმინდა გიორგის ნიშნავს, ხოლო “გერგეტი” (“გერგეთი”) წმინდა გიორგის მოდგმას. ასე, რომ გერგეტელები იგივე გეორგიანელები არიან. ის, რომ კოლხური (მეგრული) ელემენტი აღმოსავლეთის მთიანეთში უცხო არ არის, აშკარაა ტოპონიმ “ბეთლემიდან”. მოვიყვანოთ ბეთლემის განმარტება ენციკლოპედია “საქართველო”-დან – 1 ტომი.გვ..391-392:

“ბეთლემი-ბერების სამყოფელი, გამოქვაბული ხევში (ყაზბეგის რ-ნ), მყინვარწვერის მასივზე, მწვერვალიდან სამხ-აღმ-კენ განშტოებულ ბეთლემის ქედზე (გერგეტისა და აბანოს მყინვარების აუზთა გამყოფი). ბეთლემი გამოკვეთილია ციცაბო მოწითალო ანდეზიტის კლდეში (კლდის ძირიდან 300მ. სიმაღლეზე) თქმულების თანახმად, რომელიც წერილობით პირველად ვახუშტი ბატონიშვილის (მე-18 ს.) თხზულებაში “აღწერა სამეფოსა საქართველოსა” არის ფიქსირებული, ბეთლემის გამოქვაბულში დაცულია ძველი და ახალი აღთქმის რელიგიების ფუძემდებლური სიმბოლური ნივთები. “მყინვარის კლდესა შინა არიან ქუაბნი გამოკვეთილნი ფრიად მაღალსა და უწოდებენ ბეთლემს, გარნა საჭირო ასავალი არს ჯაჭვი რკინისა, გადმოკიდებულნი ქუაბიდან და მით აღვლენ. იტყვიან უფლის აკვანსა მუნ და აბრაამის კარავსა, მდგომსა უსვეტოდ, უსახლოდ და სხვათაცა საკვირველთა, არამედ მე ვდუმებ ”. სხვათა გადმოცემით, ამ ნივთებს ემატება ციური მანანა და ის ძღვენი (ოქრო, გუნდრუკი და მური), რომელიც ახალშობილ მაცხოვარს მიართვეს მოგვებმა. ხევსურული ანდრეზით, “ბეთლემის სახლი” ჯვართა ანუ ღვთის შვილთა სამყოფელი, სადაც მტრედების სახით არიან; აქვეა ოქროს აკვანი ყრმით, რომელსაც მტრედები კვებავენ ხორბლის მარცვლით. იგივე ანდრეზი ხევსურეთის მთავარ სალოცავს-გუდა-ნის ჯვარს “ბეთლემის სახლიდან” წარმომავლად თვლის, როგორც კვრივი საკრალური ადგილი. ბეთლემი მიუწვდომელია უბრალო მოკვდავთათვის. თქმულება ასახელებს ერთადერთ წმინდა ბერს რომელსაც თავისი სიწმინდის ჯილდოდ წილად რგებია ბეთლემის საიდუმლოთა ხილვა, ოღონდ გამხელა მისი აკრძალული ჰქონია. ხევსურული თქმულებით, ეს არის გუდანის ჯვრის მკადრე – გახუა მეგრელაური.”

დავიწყეთ მალხებით და მოვედით გახუა მეგრელაურამდე, მაგრამ ნამდვილად გიორგი ბრწყინვალის დროს იწყება მალხების ისტორია ხევში, თუ ის გაცილებით ადრეულ საუკუნეებს მიეკუთვნება? სხვა რომ არაფერი ვთქვათ გახუა წმინდა წყლის კოლხური სახელია, ხოლო გვარი თავისთავად კოლხურობაზე მიუთითებს.

ის, რომ მალხები ავტოქტონები უნდა ყოფილიყვნენ მთიანეთში, ამაზე მრავალი ტოპონიმიც მეტყველებს. გარდა ამისა, როგორც სტატიის დასაწყისში აღვნიშნავდით V საუკუნიდან მოყოლებული იერუსალიმის მისადგომებთან არსებობდა იბერთა დასახლება-მალხა. რა თქმა უნდა გასგებია, რომ კოლხურ-იბერიული ტომები მიმოფანტულნი იყვნენ მთელს წინა აზიაში, მაგრამ თუ ისინი არსებობდნენ იერუსალიმში ჯერ კიდევ V საუკუნეში, ლოგიკურად საფიქრებელია, რომ საქართველოს მთიანეთში ისინი იარსებებდნენ უფრო ადრეული პერიოდიდან, თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ კოლხეთი იყო კავკასიის უძველესი სახელი და კოლხეთიდან (კავკასიიდან) მოხდა ხალხთა განსახლება მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებში.

დაბოლოს მოვიყვანთ კიდევ ამონარიდს ფირანიშვილის სტატიიდან: “ლელთ ღუნია ანუ ხულელთ ჯღუნა. ბატონმა კონსტანტინემ (კ.გამსახურდია – ნ.კ) ისტორიული არშის ციხის მიდამოები დაათვალიერა. იქ შეხვდა მალხების კიდევ ერთ ჩამომავალს, სოფელ არმაში მცხოვრებ ვანო ხულულიძეს და მათ შორის საინტერესო საუბარი გაიმართა”.

მის სტუმარს რომ უსმენდა, ბატონ კონსტანტინეს სახეზე ღიმილი არ მოსცილებია – ბრძენი ილია ჭავჭავაძე როცა პეტერბურგიდან მოდიოდა – უამბობდა ბატონ კონსტანტინეს მოხევე – პირველად ჩემს უმცროს ბიძას – ჯღუნა ხულულიძეს შეახვედრეს თურმე. ხევში მას ხულულჯღუნას ეძახდნენ და დღესაც ჩვენს მოხევეებში რომელ გამვლელსაც გინდა შეეკითხო, ვინ იყო ლელთ-ღუნიაო, გეტყვიან, ხულულთჯღუნა იყოო... რუსულად განსწავლულსა და განათლებულს, ჩვენს სასიქადულო მწერალს, ალბათ, ეუხერხულებოდა სიტყვები – ხულელთი ან ხულელიძე ეხმარა, სახელი ჯღუნაც, მართალია ხევში გავრცელებული სახელი იყო, მაგრამ ძალზე უხეშად გამოითქმებოდა. ჩემი უშვილო ბიძა ხევის ისტორიისა და კავკასიური ენების კარგი მცოდნე ყოფილა. ამიტომ ვწუხვარ, რომ მისი ნამდვილი სახელი და გვარი ისტორიას არ შემორჩა და მხოლოდ ლელთ ღუნიად იცნობენო, – ბატონი ვანო, არ მიწყინოთ – უთხრა ბატონმა კონსტანტინემ – მთავარი ის არის, რომ დიდმა ილიამ სამშობლოს გასაჭირი მოხევე კაცის პირით ილაპარაკა, ეს კი საამაყო თქვენთვის. იქნებ თავისუფლებაც მაშინ იწინასწარმეტყველა?...”

ჩვენც ვწუხვართ იმაზე, რომ ისტორიას არ შემორჩა ლელთღუნიას ნამდვილი სახელი და გვარი, რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, რომ ისიც მალხური (კოლხური) წარმომავლობის მოხევე ყოფილა. ბატონი კონსტანტინე მიმართავს ვანო ხულულიძეს, რომ მთავარია დიდი ილია სამშობლოს გასაჭირს მოხევე კაცის პირით ლაპარაკობსო. ჩვენ კი ჩვენი მხრიდან კვალავაც დავამატებდით, რომ მალხური (კოლხური) წარმომავლობის მოხევე კაცის პირით ლაპარაკობს, რაც საამაყოა, როგორც მოხევეთათვის, ასევე მალხ-კოლხთათვის.

**ნუგზარ კვაშილავა**
**“ფაზისი”-ს აკადემიის ნამდვილი წევრი**

*სტუმარ-მასპინძლობის თურქული ხიბლი*

# ძალადობა კვიპროსის ციხეში უსამართლოდ გამომწყვდეულ ქართველზე და თავისუფლების ფასი!

ნიუ იორკი-მაიამის მოგზაურობიდან ერთი კვირა იყო გასული, როცა გადავწყვიტე შვებულების დარჩენილი ერთი კვირა გამომეყენებინა და ტრადიციულად, როგორც ყოველ წელს, დედასთან ერთადაც მემოგზაურა.

ყველაზე მაგარი თანამგზავრია, უპრობლემო, დადის ბევრს და ერთობა ისე, რომ ჩემზე ახალგაზრდა მგონია ხოლმე. რაკი მხოლოდ ერთი კვირა გვქონდა, გადავწყვიტე უვიზო ქვეყანაში წავსულიყავით, სტამბული საუკეთესო ვარიანტი აღმოჩნდა. წასვლამდე 3-4 დღით ადრე, ვნახე სტამბული-ჩრდილოეთ კვიპროსის ბილეთები ძალიან იაფად, გადავწყვიტე სამი დღით იქ ჩავსულიყავი, დედა კი – დეიდასთან დამეტოვებინა, რომელიც იმ წუთას ასევე სტამბულში იმყოფებოდა.

ჩრდილოეთ კვიპროსზე რა გინდა ეს ოკუპირებული ტერიტორიაა, რა აფხაზეთში გიმოგზაურია და რა მანდ – მაფრთხილებდნენ მეგობრები.

კარგი რა, სწორად მაგაშია **"მუღამი"** – ვარწმუნებდი და გადაწყვეტილი მქონდა წასვლა.

როგორც კი ჩახვალ მომწერე! – გამაფრთხილეს დედამ და დეიდამ, რომლებმაც აეროპორტის ავტობუსამდე მომაცილეს, ავედი და ჩემ საყვარელ ადგილას, მარცხნივ მეოთხე სკამზე მოვკალათდი.

ფრენა ზუსტად 55 წუთს გაგრძელდა, უკვე ჩრდილოეთ კვიპროსის თურქულ რესპუბლიკაში ვიყავი. აეროპორტის **Wifi**-ც მაშინვე დავიჭირე და ფეისბუქზე, ჩემი კვიპროსელი მეგობრისთვის მისაწერად მოვემზადე.

პასპორტების კონტროლთან ცოტა დიდ ხანს გამიგრძელდა ყოფნა, მერე ცალკე გამიყვანეს და სხვა ოთახში მოცდა მთხოვეს. ნახევარი საათი უხმოდ ვიჯექი, მერე გავედი:

უამრავი ადამიანი გაატარეთ, მე კრიმინალს ვგავარ?! – ვკითხე უკმაყოფილოდ

მოიცადეთ თუ შეიძლება! – მითხრა გოგონამ კატეგორიული ტონით.

კიდევ ნახევარი საათი მომიწია ლოდინი, როცა ვიღაც 35-40 წლის კაცი შემოვიდა.

მგონი არანაირ ლოგიკაში არ ჯდება ჩემი შეყოვნება, აშშ-ს 10 წლიანი და ევროპის 2 წლიანი ვიზები მაქვს, შესაბამისად თქვენ ბოლო ქვეყანა იქნებით, სადაც არალეგალად დარჩენას გადავწყვეტ – ავუხსენი ირონიანარევი თავაზიანობით.

მოიცადეთ! – დამიყვირა კაცმა და გამიჩნდა ეჭვი, რომ ვერაფერი ვერ გაიგო.

შეგიძლიათ ვინმეს დაუძახოთ, ვინც მინიმუმ საშუალო ინგლისურით მაინც საუბრობს? – ვითხოვე ასევე თავაზიანად. – თქვენთან საუბრის აზრს ვერ ვხვდები.

კაცი სადღაც გავარდა.

კიდევ 2 წუთის მოცდის შემდეგ, უკვე საკმაოდ გაბრაზებული მივადექი პასპორტის კონტროლის გოგონებს, აწ უკვე უკანა მხრიდან და მოვითხოვე დოკუმენტის ჩვენება, რის საფუძველზეც მე აქ მაყოვნებდნენ, გარეთ ხალხი მელოდებოდა მანქანით.

ისევ ის უხეში კაცი მომვარდა და მომახალა, რომ **"წავთრეულიყავი უკან, სახლში"**, მერე მამცნო, რომ "ახლავე მომხედავდნენ" – დამტვრეული ინგლისურით.

ველოდი თავაზიან გოგონას, რომელიც მომიხდიდა ბოდიშს და გამაცილებდა გასასვლელისკენ, მაგრამ ჩემდა გასაოცრად ორი პოლიციელი დამადგა თავზე, რომლებმაც ხელი ჩამავლეს და ამ ოთახის გვერდით, ვიწრო მართკუთხა ოთახში შემიყვანეს, შემდეგ სია **"დეპორტ დეფთერი"** გადაშალეს.

აი აქ უკვე მივხვდი, რომ მთლად კარგად ვერ იყო ჩემი საქმე

მართკუთხა, ვიწრო ოთახის გვერდით რკინის კარი იყო, რომლის სარკმლიდან შავი თავი შეშინებული მზერით მათვალიერებდა!

აქ უნდა ჩამსვათ?! – გავიშვირე ხელი და ისტერიულად მეცინებოდა.

დიახ, დაპატიმრებული ხართ – მომახალა პოლიციელმა, – ამოალაგეთ ყველაფერი!

დავდე ყველაფერი, ტელეფონების გარდა (საბედნიეროდ ორი ტელეფონით: ბლექბერით და გალაქსით ვმოძრაობ, ანუ ინტერნეტთან წვდომა ორივეს აქვს)

ტელეფონიც!

ჯიბიდან ბლექბერი ამოვიღე და დავდე, გალაქსი კი შარვალში ჩავმალე, წინა მხრიდან.

პოლიციელმა გამჩხრიკა და საკანში შესვლა მიბრძანა! – არ შევალ – ვუთხარი ხმადაბლა, გაღიზიანებული ტონით. ხელი ჩამავლეს და გამათრიეს. – ეს ძალადობაა! – ვუყვირე და ხელები გავაშვებინე. ერთ-ერთმა პოლიციელმა უკნიდან ძლიერად მკრა ხელი, მე საკანში აღმოვჩნდი.

აი აქ უკვე სრული შოკი მივიღე!

სტანდარტული საძინებლის ზომის ოთახში, ან ოდნავ დიდში ორ სართულებად იდგა 6 საწოლი, ანუ 12 ადგილი, ხოლო ერთერთზე სწორედ ის შავი ახალგაზრდა იჯდა, რომელიც ცოტა ხნის წინ სარკმლიდან მიყურებდა.

რა ხდება აქ, რატომ დაგიჭირეს? – ვკითხე სწრაფად

პრობლემ, პრობლემ – გაიქნია ხელები, ერთადერთი, რაც გამაგებინა იყო ის, რომ ერაყიდან იყო.

მერე ტუალეტში შევიხედე და ლამის გული ამერია, სიბინძურისგან ყვითელ-ყავისფერი იყო ყველაფერი, შესვლაც კი ამაზრზენი იყო, აღარაფერს ვამბობ მის გამოყენებაზე. ტუალეტის მოპირდაპირედ კიდევ ერთი ოთახი იყო, ბნელი და პატარა, როგორც მივხვდი ყოფილი აბაზანა, ახლა კი – სრული ანტისანიტარია. ამას დაემატა ისიც, რომ ერაყელი ტიროდა შიგადაშიგ და რაღაცას თავის ენაზე ბუტბუტებდა, ამან კიდევ უფრო შემაშფოთა. მის გვერდით საწოლთან ცოცხი დავლანდე **"როგორი თემატური და დროული იყო აქ ცოცხის პოვნა"** – გავიფიქრე და ისტერიულად გამეცინა. უკვე ღამდებოდა, როგორც დროის მიხედვით ვხვდებოდი, ღამით კი არავინ იცოდა რა მოხდებოდა, ოკუპირებული ქვეყნის ციხეში, რომელსაც საკონსულოც კი არ გააჩნია!

სასწრაფოდ შევედი ინტერნეტში და ფეისბუქზე მოვყევი ჩემი ისტორია მოკლედ, გადავიღე ფოტოები, ზედ დავურთე, რასაც მხიარული წერილები მოჰყვა, ყველამ ხუმრობად აღიქვა.

მერე უცებ დედას მივწერე: ჩავედი, მაგარი ქალაქია, ახლა დავიძინებ, ხვალ მოგწერ.

დედას სტამბულში ფეისბუქთან წვდომა არ ჰქონდა, შესაბამისად ამაღამ მშვიდად დაიძინებდა.

ფეისბუქზე კიდევ ერთხელ გავუსვი ხაზი, რომ არ ვხუმრობდი და სასწრაფო შველას ვსაჭიროებდი! ამან უკვე გამოიღო შედეგი, წამოვიდა კომენტარების და პიემ წერილების ზღვა, რამაც ოდნავ დამაიმედა.

რეკავდნენ საკონსულოებში, ნაცნობებთან, ჩემი კვიპროსელი მეგობრები აეროპორტშიც, თუმცა ამაოდ. ჯერ კიდევ მქონდა იმედი, რომ რამე მეშველებოდა.

ტელეფონი თითქმის დამიჯდა, ინტერნეტიც დაიკარგა თითქოს, რის გამოც – სარკმელში მქონდა გაყოფილი ტელეფონიანი ხელი, რომ უფრო კარგად დამეჭირა.

ვერც კი მივხვდი, როგორ შემოვიდა პატარა ოთახში პოლიციელი და შეჰყვირა: ტელეფონი!

კარი გააღეს და გარეთ გამათრიეს, კიდევ ერთი პოლიციელიც დაგვადგა.

ტელეფონი რომ გითხარი, რატომ არ მომეცი?! – მითხრა ხმამაღალი ტონით.

ტელეფონი მითხარით და არა ტელეფონ-ები, მე კიდევ მოგეცით ტელეფონი, აშკარად ისევ ინგლისურის პრობლემის ბრალია, იქნებ უკეთ გესწავლათ? – ავუხსენი მშვიდი ტონით.

შედი ფოტოებში!

შევედი სხვა ალბომში. მეორე პოლიციელი მიხვდა, თავისი ხელით გახსნა გალერეა და ფოტოებს გადააწყდა.

ფოტოებს იღებდი? – მიყვირა ახლა ამან.

ჩემ პასუხის აღარ დაელოდა, ყველა ფოტო წამიშალა და მობილური მაგიდაზე დააგდო: დაემშვიდობე ფოტოებს! – მომაძახა გამარჯვებული სახით, რაზეც ხმამაღლა გადავიხარხარე: ყველა ფოტო უკვე ფეისბუქზეა ატვირთული და უკვე ყველამ იცის, როგორ ლახავთ ჩემ უფლებებს – მივახალე ხმამაღლა.

გაჩუმდი, ჩემმა უფროსმა არ გაიგოს – მოლბა უზრდელი პოლიციელი, რაზეც ხმამაღლა დავიყვირე, რომ ფოტოები გადავიღე და გავაგზავნე, რაზეც ვიღაც შემოვარდა, სავარაუდოდ ეგ იყო **"უფროსი"** და ყვირილით, თურქულ ენაზე სადღაც წაიყვანა ერთერთი, მერე მეორეს დაუძახა.

შენს გამო შეიძლება სამსახური დავკარგო, იცი? – მიყვირა გამწარებულმა პოლიციელმა;

მე თქვენს გამო მოგზაურობის ერთი სრული დღე დავკარგე – მივახალე ცივად და ჩემი ფეხით შევედი საკანში. ამ წუთას მაქსიმალურად ვიწვევდი, რომ დაერტყათ და მეტი კომპრომატი მქონიდა საჩივლელად! მეორე პოლიციელიც გავიდა. ჩემი ტელეფონი მაგიდაზე იდო. მეორე კარიც ჩაკეტეს.

ით, ით – მოვიდა ერაყელი და ხელი გაიშვირა მაგიდისკენ. მაგიდაზე ძველი, ნახევრად ობმოკიდებული პური და წყალი იდო.

არა, მადლობა – გავუღიმე და ბოლთის ცემა გავაგრძელე ოთახში, საწოლზე ცოცხალი თავით არ ვჯდებოდი.

ზუსტად ნახევარ საათში რეკვა ატყდა ჩემ მობილურზე, სადაც ეწერა "დედა". წესით ახლა უნდა ეძინოს – გავიფიქრე და მივხვდი, რომ ვიღაც მიუხვედრელმა იდიოტმა საქართველოდან დაურეკა და ჩემი ამბავი უთხრა, ამას ის მოწმობდა, რომ 15 წუთი შეუჩერებლად რეკავდა, კიდევ უფრო დავისტრესე.

თუ აქამდე მეცინებოდა, ახლა გული ამიჩუყდა, როცა გამახსენდა რა ამბავი ატყდა ფეისბუქზე. გავიფიქრე, რომ არჩევანის საშუალება რომ მქონოდა, ისევ ციხეს ავირჩევდი, რომ მძიმე წუთებში ასე მძაფრად მეგრძნო ის პოზიტივი და მხარდაჭერა, რაც ჩემ გარშემო ხდებოდა. და მაინც, მე მინიმუმ ერთი და მაქსიმუმ სამი ღამე მელოდა კვიპროსის ციხეში.

ღამით კიდევ ორი სირიელი შემოაგდეს, ერთი 40-45 წლამდე დარბაისელი კაცი იყო, ექიმი, მეორე 30-35 წლის ბიჭი – ექიმი. გამიხარდა და გამოველაპარაკე.

გავიგე, რომ სირიაში ჯერაც არ დასრულებულა სამოქალაქო ომი, ისიც, რომ ყოველდღე ფეთქდება მარკეტები, სკოლები და სხვა დასახლებული პუნქტები, რომ არავინ იცის იცოცხლებენ თუ არა მეორე დღეს, რომ ამ ციხეში ყოფნა ურჩევნიათ, თავის ქვეყანაში – სასიკვდილოდ დაბრუნებას.

გული ჩამეწვა. მივხვდი, რომ ტყუილად ვწუწუნებთ ქართველები და ჩვენზე გაცილებით უარეს მდგომარეობაში მყოფი ქვეყნებიც არსებობენ. ექიმმა თავისი ჰამბურგერიც გამიყო, ოფიციალურად შიმშილობა მქონდა გამოცხადებული და ჩუმად ვჭამდი.

ხმა მომესმა, სარკმელს მივვარდი.

ვიცი, არ ვიმსახურებ, მაგრამ ახლავე უნდა დამარეკინო, დედაჩემი ნერვიულობს და ერთი სიტყვით ვეტყვი, რომ ცოცხალი ვარ.

არა!

ძალიან გთხოვთ, შეიძლება მოკვდეს ნერვიულობით, დამარეკინეთ! – ავუწიე ტონს

არ შემიძლია – გამიმეორე პოლიციელმა.

დედა გყაააავს? – ვუყვირე მთელი ხმით და როგორც ჩანს ისეთი შეშლილი სახე მქონდა, რომ სასწრაფოდ მომცა ტელეფონი და იქვე დამიზუსტა, რომ მხოლოდ ხუთი წუთი მქონდა. დავრეკე, ფეისბუქზეც შევიხედე და მივხვდი, რომ ამ ღამით აქ ყოფნა გარდაუვალი იყო. შევეგუე ბედს, ახალი თეთრეული მოვითხოვე, მერე შხაპი, რაზეც დამცინეს, გრძელსახელოებიანი პერანგი ჩავიცვი, რომ მინიმალური შეხება მქონოდა ბინძურ საწოლთან და დავწექი. და რაც მთავარია, მე ყველაზე ღირსეული და ამაყი პატიმარი ვიყავი, რომელიც თავაზიანად, მაგრამ კატეგორიუად ითხოვდა, ყოველ ნახევარ საათში: წყალს, სიგარეტს, ამბავს, ამიხსნიდა თუ არა ვინმე რამეს, თეთრეულს, წყლის ახალ ჭიქას, საკუთარ კბილის ჯაგრისს და პასტას, ოთახის გამოგვას – ბოლოს მივხვდი, რომ იმათ ჩემზე მეტად უნდოდათ ჩემი მოშორება, რაკი ფაქტიურად მონებივით დავარბენინებდი, ვიყენებდი რა ჩემ ერთადერთ და მაინც შელახულ უფლებას.

დილის 8-ზე გამეღვიძა, როცა ორმა სირიელმა ფული გადაიხადა და წავიდა. მე კიდევ მთხოვდნენ თანხას, 300 ევროს (როცა ორი გზა 50 ევროდ ვიყიდე), რომ დღესვე გავეფრინეთ უკან, წინააღმდეგ შემთხვევაშ, ჩემი გაფრენის თარიღამდე აქ უნდა ვყოფილიყავი, ანუ კიდევ სამი დღე. აი ახლა კი სრული ისტერიკა დამეწყო!

წარმოიდგინეთ თავი ოთხ კედელში, წინ 72 საათი და საერთოდ არაფერი გასაკეთებელი. არც გეძინება, არც ტელეფონი გაქვს, არც ტელევიზორი, კალამი და ფურცელი მოვითხოვე, რომ რამე დამეწერა და უარი მივიღე, მოკლედ წარმოვიდგინე სამი დღე და მივხვდი, რომ მოთმინებას ვკარგავდი, როგორმე გარეთ უნდა გამეღწია. კედლების მოხატვაც, უფრო სწორად გამოსახულებების ამოკაწრვა – ჩანგლით – მომბეზრდა

შემდეგი სვლა ასეთი იყო: კანი დავიკაწრე, რომ ავწითლებულიყავი და ალერგიის ეფექტი შემექმნა, დავიწყე ცახცახი, ჩავიწითლე თვალები და ავტეხე ყვირილი. ახალი, 55 წლამდე პოლიციელი, ტაჰირი გვყავდა მეორე დღეს, რომელიც შეშფოთდა და სასწრაფო გამოიძახა. ნემსის გაკეთებაზე უარი ვთქვი (წამალს ენის ქვეშ შევინახავდი და მერე გადავაგდებდი, ნემსს უმიზეზოდ ვერ გავაკეთებინებდი), რის შემდეგაც ისევ ოთახში მომაბრძანეს.

მომდევნო 1 საათი მთელი ძალით ვურტყამდი მუშტებს და ფეხებს, ვყვიროდი, მაგრამ არავის არაფერი ესმოდა.

და მე გავუგე ყველა პატიმარს, ყველა უდანაშაულოდ დასჯილს ადამიანს, როცა იცი, რომ არაფერი დაგიშავებია, თვითონაც ამასვე გეუბნებიან და ამაყობენ თავისი **"ბეზპრედელით"**, შენ კიდევ ერთი უმწეო არსება ხარ, რომელსაც საერთოდ არაფრის გაკეთება არ შეგიძლია. სამაგიეროდ, დავრწმუნდი კიდევ ერთხელ, რომ ძლიერი ვარ, გაყინული მზერით საწოლზე წამოვწექი.

რა პროფესიის ხარ? – მოვიდა სარკმელთან უცებ ტაჰირი.

ლექტორი და თქვენ რომ ჩემი სტუდენტები ყოფილიყავით, თუნდაც 1 კვირით, ასეთი გაუნათლებლები არ იქნებოდით, ასევე მარკეტინგის მენეჯერი და გარწმუნებთ, რომ ამ ასეთი ქმედებებით ძალიან ბევრს ტურისტს კარგავთ და ვერც კი ხვდებით და კიდევ ჟურნალისტი, რომელიც აუცილებლად დაწერს თქვენზე!!! – მივვარდი სარკმელთან და კბილებში გამოვცერი.

ვწუხვარ – ტაჰირის მზერაში სიბრალული იგრძნობოდა. – ორი დღეა არაფერი გიჭამია, აჰა – შუაზე გამიყო თავისი ბურგერი და ხელში ჩამიდო. ხელი გავშალე, ბურგერი ბინძურ იატაკზე მრავალ ინგრედიენტად დაიშალა.

ეს რატომ გააკეთე – შეჰყვირა ტაჰირმა, რატომ?! მე არ მიხარია შენი აქ გამომწყვდევა, მე მხოლოდ ჩემ მოვალეობას ვასრულებ, გესმის?

მე საწოლზე წამოვწექი და თავი საშინლად ვიგრძენი, ამ წუთას შურისძიებას ვცდილობდი ადამიანზე, რომელიც მართლა არაფერ შუაში იყო, როცა მე თვითონ ვერ ვიტან უსამართლობას. – მაპატიე, მივედი ფანჯარასთან. ტაჰირმა მამაშვილურად გამიღიმა, ყველაზე მეტად ახლა მეტკინა. უხეშობა ყოველთვის მმატებს ენერგიას და ბრძოლის უნარს, აი სიბრალულზე კი – ვტყდები, განსაკუთრებით – როცა მართლა საცოდავი ვარ.

მოვიდა მეორე საღამო, პოლიციელმა ჩამსვა თვითმფრინავში და სტამბულში გამომაძევეს. ორი ჯოჯოხეთური დღე დასრულდა, მაგრამ იმდენად საშინლად ჩამრჩა მეხსიერებაში, რომ ღამის 3 საათი იქნებოდა, როცა სტამბულის აეროპორტიდან ცენტრში, ტაქსიმზე ჩავაღწიე.

სახლში არ წავსულვარ, იმდენად მენატრებოდა სივრცე და იმდენად მეზიზღებოდა ოთხი კედელი. მთელი ღამე ქუჩაში ხეტიალში გავატარე, ვეწეოდი, ვსვამდი ბარებში, მერე ისევ გამოვდიოდი, ვეკონტაქტებოდი ქუჩაში მოხეტიალე მთვრალ ადამიანებს და ბედნიერი ვიყავი

ბედნიერი თავისუფლებით, იმით, რომ ეს ყველაფერი დასრულდა, ამავე დროს პოზიტივით სავსე იმ ადამიანების მიმართ, ვინც მთელი ორი დღე გვერდში მედგა დავეხეტებოდი უმიზნოთ, ვუყურებდი ვარსკვლავებით მოჭედილ ცას, განათებულ ტაქსიმს, ბედნიერ ხალხს და მეც ბედნიერი ვიყავი!

რაც მთავარია თავისუფალი და კიდევ ერთხელ – უზომოდ ბედნიერი!

**გურამ შეროზია**

# ლავრენტი ბერია: მტერი თუ მოყვარე

*„წიგნი კარგი სასიამოვნო მოსაუბრეა, გულახდილი მეგობარი და მოუსყიდველი მრჩეველია“*
**ალფონ სელსაბიო**

ქართველი საზოგადოება ათეული წლების მანძილზე მოკლებული იყო დემოკრატიულად აზროვნებას, დღეს კი იგი თავისუფალ სიტყვას, სახელმწიფოებრივი პასუხისმგებლობით ეკიდება და წინა პლანზე აყენებს ადამიანის პიროვნულ როლს – ვაშენოთ მაღალ ზნეობრივ ღირებულებაზე დამყარებული ახალი დემოკრატიული სახელმწიფო.

ახალი დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობა მოითხოვს გამოცდილ, უნარიან, მაღალი ცოდნით შეიარაღებულ თაობას. დღევანდელი ნახევარ სიმართლეზე აგებული სახელმწიფო პოლიტიკა ვერ უზრუნველყოფს ზნეობრივ საფუძველზე დამოკიდებულ, სამშობლოს ერთგული აქტიური მოქალაქეების აღზრდას, რომლებიც მზად იქნებიან მონაწილეობა მიიღონ ქვეყნის ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების პროცესებში. ამის ერთ-ერთი მიზეზია განათლების სისტემის მოშლა – გაუთავებელი რეფორმების ქადაგება, წარსული გამოცდილების უარყოფა, ძველი თაობის **„ჩარეცხილებად“** გამოცხადება. ნიჭსა და უნარს გზა გადაეკეტა, ფართო ასპარეზი დაეთმო უცოდინარობას, რაც ყველა სფეროში იგრძნობა. უფროსი თაობისათვის კარგად არის ცნობილი, რომ საბჭოთა კავშირმა ჩამოყალიბებისთანავე ფართო ასპარეზი დაუთმო ნიჭიერ და შრომისმოყვარე ახალგაზრდობას. როგორც ლიონ ფოიხტვანგერი ამბობდა **„წინ წამოსწია დღემდე დამალული ტალანტების უმრავლესობა“.**

ტალანტების დიდი არმიიდან ერთადერთი იყო ლავრენტი ბერია, რომლის ცხოვრებასა და მოღვაწეობას ენციკლოპედიური გამოკვლევა მიუძღვნა შესანიშნავმა რუსმა მწერალმა და პუბლიცისტმა სერგეი ბრეზკუნმა (კრემლიოვი მისი ფსევდონიმია – ლ.ბ.) – **„ბერია მე-20 საუკუნის საუკეთესო მენეჯერი“.** წიგნის სათაურიდან ჩანს თუ რა განზრახვა ამოძრავებს ავტორს – შექმნას სწორუპოვარი ტალანტის უშიშარი სახე, რომლის ბუნებაში სახელმწიფოებრივი აზროვნება და მართვის ხელოვნება ერთ ასპექტშია წარმოდგენილი, რაც მას საშუალებას აძლევს იფიქროს და მიიღოს მართებული გადაწყვეტილებები საზოგადოებისა და ქვეყნის სასარგებლოდ. ქართველი მწერლებისა და ისტორიკოსების მიერ შექმნილი ნაშრომები თითქმის ყველა ტენდენციურია და აგებულია ლაზღანდარა ნიკიტა ხრუშჩოვის მონაჩმახზე. ჩვენ უამრავ მეცნიერ და პუბლიცისტს ელამი თვალებით აქვთ დანახული ამ უძლიერესი პიროვნების განვლილი ცხოვრების გზა და საქმიანობა. ყველა ნაშრომის ძირითადი შინაარსი აგებულია ნიკიტა ხრუშხოვის ნაბოდვარზე, რომელიც შესანიშნავად გამოიყენეს სტალინისა და ბერიას მტრებმა – როგორც საქართველოში, ისე ის ფარგლებს გარეთ. დღეს გამოჩნდა უშიშარი რუსი კაცი, მწერალ სერგეი კრემლიოვის სახით, რომელმაც შეასრულა უზარმაზარი სამუშაო და მსოფლიოს ფართო მკითხველ საზოგადოებას მიაწოდა ენციკლოპედიური ნაშრომი, სადაც კაცური სიმართლით აღწერილია ლავრენტი ბერიას მთელი ცხოვრების გზა – მისი დიდი დამსახურება მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფოს – საბჭოთა კავშირის მშენებლობის საქმეში. აღნიშნული წიგნის გაცნობა დიდად წაადგება ჩვენ ახალგაზრდობას პოლიტიკური და ზნეობრივი აზროვნების განვითარების მხრივ. ჩვენი ახალგაზრდობა მოკლებულია ისტორიულ სინამდვილეზე აგებულ ნაშრომებს. პედაგოგიური **„ელიტა“** ისევ ხრუშჩოვისა და ხრუშჩოველების **„ნააზრევებით“** კვებავენ ჩვენ ახალგაზრდობას, რაც უარყოფითად მოქმედებს მათ აზროვნებაზე. სტუდენტი რომ იტყვის **„კარგი იქნებოდა კავკასიასთან მოსული გერმანელები რომ შემოსულიყვნენ საქართველოში, ეხლა ევროპული ქვეყანა ვიქნებოდით“-ო,** ვისი ბრალია ეს? ეს იმის ბრალია, რომ ჩვენი ახალგაზრდობის აღზრდა ჩავაბარეთ ყველა რჯულის პედაგოგს, რამაც გამოიწვია ახალგაზრდების წიგნთან გაუცხოება, რის გამოც შედეგი სახეზეა – შოთა რუსთაველი მეფე ჰგონიათ, ივანე ჯავახიშვილი შოუმენი. დღევანდელ ახალგაზრდობას უარყოფითი წარმოდგენა აქვს მსოფლიო მნიშვნელობის ისეთ დიდი ადამიანებზე, როგორებიც იყვნენ იოსებ სტალინი და ლავრენტი ბერია. ჩვენ მუდამ უნდა ვიცოდეთ **„საქართველოვ, სად გყავს შვილი დასაკარგავი“!**

მკითხველო! – შევთანხმდეთ ფუნდამენტურ არგუმენტზე – შეცდომა მოსდის მას, ვინც მუშაობს, განსაკუთრებით სახელმწიფო იერარქიის მაღალ ეშელონებში.

## მაშ ასე, ლავრენტი ბერია მტერი თუ მოყვარე?

ლავრენტი ბერია საქართველოში დაიბადა, აქვე მიიღო პირველი რევოლუციური ნათლობა. ბაქოს საამშენებლო ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ ლავრენტი ბერია, სრულიად ახალგაზრდა (33 წლის) საქართველოში ინიშნება სხვადასხვა მაღალ თანამდებობებზე; – მისდამი დაკისრებულ ყველა საქმეს წარმატებით ასრულებს მაღალპროფესიულ დონეზე. ერთ-ერთ არქივების მქქავი ქართველი მეზღაპრე წერს – ბერიას **„ფენომენალური მეხსიერება ჰქონდა“**. დავაზუსტებ: ბერიას ფენომენალური ნიჭი ჰქონდა, რისი ნაყოფიც იყო ფენომენალური მეხსიერება. ადამიანში ეს ორი სიმდიდრე ერთმანეთის გარეშე არ არსებობს, სწორედ ფენომენალურმა ნიჭმა და ფენომენალურმა მეხსიერებამ განსაზღვრა ბერიას დიდი მომავალი და დაუმკვიდრა ნიჭიერი, ენერგიული, სახელმწიფოს ერთგული მშენებლის უკვდავი სახელი, რომელიც ათეული წლების განმავლობაში ქუხდა დედამიწის ერთ მეექვსედ ნაწილზე და მთელ მსოფლიოში. დიახ, დიდ ბელადს ი. სტალინს მხედველობიდან არ გამოპარვია ბერიას ნიჭი და უნარი კაგანოვიჩისადმი მიწერილ წერილში აღნიშნავს **„ბერია დადებით შთაბეჭდილებას ტოვებს, კარგი ორგანიზატორია, საქმიანი, უნარიანი მუშაკია... მიუხედავად იმისა, რომ ბერია არ არის არც ცეკას წევრი და არც კანდიდატი, მაინც აუცილებლად მიმაჩნია, იგი დაინიშნოს ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პირველ მდივნად.“** (ს. კრემლიოვი **„ბერია მე-20 საუკუნის საუკეთესო მენეჯერი**, ტ. I, გვ. 99, 2012). ბელადის ასეთ დიდ ნდობას და შეფასებას ვერ იმსახურებდნენ მაშინდელი ამიერკავკასიაში მოღვაწე პარტიული ამხანაგები, რომელთა უმრავლესობას თანამდებობა სავარძლისათვის უნდოდათ და არა საქმის კეთებისათვის. ი. სტალინის ბერიასადმი ასეთმა ნდობამ ძველ პარტიულ მუშაკებში ეჭვი და შური დაბადა, რასაც ყველა ხელსაყრელ მომენტში ავლენდნენ. ბერია კი მუშაობდა ენერგიულად და დაკისრებულ მოვალეობას, როგორც ყოველთვის, პირნათლად ასრულებდა. ამ უთანასწორო ჭიდილში ყალიბდებოდა მაღალი რანგის ხელმძღვანელად, რაც კაგანოვიჩსაც არ გამორჩენია მხედველობიდან და მან ბელადს შემდეგი სიტყვებით მიმართა: **„ბერია იყო ჩემთან, ნამდვილად დიდი შესაძლებლობის მქონე მუშაკის შთაბეჭდილებას ტოვებს“** (ტომი I, გვ. 99). როგორც ყოველთვის, ბერიას საკუთარმა ნიჭმა და ტალანტმა ბევრი მოწინააღმდეგე და მტერი გაუჩინა, როგორც საქართველოში, ისე მოსკოვში. საერთოდ კი მოწინააღმდეგეთა დიდი ბირთვი საქართველოში არსებობდა. დაპირისპირება პოლიტიკურ ჭრილში მიმდინარეობდა. დასეირნობდა უამრავი ჭორები, რომელსაც იმდროინდელი საკმაოდ მომზადებული პოლიტიკოსები მართლად აღიქვამდნენ და დაუფიქრებლად ებმებოდნენ პოლიტიკურ ბრძოლებში, რაც მათი მარცხით მთავრდებოდა. როგორც ისტორიულად ცნობილია ს. კრემლიოვის წიგნშიც დადასტურებულია, რომ ამ ბრძოლაში ბერიამ გაიმარჯვა. დამარცხებულმა მხარემ სხვადასხვა ჯგუფები შექმნეს და გააგრძელეს ფარული ბრძოლა, რაც მხედველობიდან არ ეპარებოდათ სამართალდამცავ ორგანოებს და მიდიოდა მათი იზოლირება, რაც სახელმწიფოს დაძაბულ მშენებლობის პროცესში კანონზომიერია. როცა სახელმწიფოში იქმნება მძიმე მდგომარეობა, ხელმძღვანელი პირები რომლებიც დაჯილდოვებული არიან ფენომენალური ნიჭით ზოგიერთ შემთხვევაში კანონსაწინააღმდეგო ღონისძიების გატარებაც უხდებათ. მათ კარგად იციან, რომ შემდეგი თაობა ამისათვის მას პასუხს მოთხოვს, მაგრამ იმ მომენტში სახელმწიფოსა და ერის გადარჩენისათვის კანონსაწინააღმდეგო ღონისძიების გატარება აუცილებლობით არის გამოწვეული. სწორედ ასე მიუდგა ლავრენტი ბერიას პიროვნებას რუსი მწერალი და პუბლიცისტი სერგეი კრემლიოვი, რომელმაც ამ დიდებულ ენციკლოპედიურ ნაწარმოების შექმნის დროს გამოავლინა უდიდესი ინტერესი და საქმისადმი სიყვარული **„რუსეთის საყვარელ შვილზე ლავრენტი ბერიაზე“** (ს. კრემლიოვის სიტყვებია ლ.ბ.). **„ნახევარი საუკუნის განმავლობაში ბერიაზე ან არაფერს ამბობდნენ ან და ცრუობდნენ ისე, რომ მეტნაკლებად სწორი წარმოდგენის შექმნა მასზე შეუძლებელი იყო. მსოფლიო ისტორიაში ალბათ კიდევ ერთი ფიგურის ამოშლას ლამობდნენ ასე დაჟინებით საზოგადოების მეხსიერებიდან“** (ტ. I, გვ. 13, 2012). **„... დრო, ადრე თუ გვიან ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენს. თუნდაც ვისიმე სახელი, ისევე, როგორც ბერიასი სამართებლით ამოკვეთონ“** (ტ. I გვ. 13).

ლავრენტი ბერიას საქართველოში მოღვაწეობის პერიოდში მძიმე მდგომარეობა იყო – ხდებოდა სხვადასხვა ტერორისტული აქტები, რაც დიდი დაძაბულობას ქმნიდა ქვეყანაში. ასეთ ნიადაგზე ლავრენტი ბერიას საკმაოდ მძიმე გადაწყვეტილებების მიღება უხდებოდა. რამაც იმ დროინდელი საზოგადოების განათლების დონე ვერ აღიქვამდა სათანადოდ, რითაც სარგებლობდნენ დესტრუქციული ძალები, რომლებიც იმართებოდა საზღვარგარეთიდან და ახდენდნენ არეულობებს. ასეთ პირობებში, რა თქმა უნდა, სახელმწიფოს მმართველი ხელისუფლება ვერ იქნებოდა მაყურებლის როლში – ღებულობდნენ მკაცრ გადაწყვეტილებებს, რომელიც დღევანდელი გადასახედიდან შეიძლება მკაცრად მოგვეჩვენოს, მაგრამ იმ პერიოდში სამართლიანი და აუცილებელი იყო. ეს პერიოდი ძალიან მტკივნეულად აისახა ქვეყნის ისტორიაში. მთავრობის მიერ გატარებულ მკაცრ ღონისძიებებს მოყვა მსხვერპლი – დაიღუპნენ უდანაშაულო ადამიანებიც. დაიხვრიტა ისეთი ხალხი, რომლებსაც ტერორისტული აქტის განხორციელება **„გმირობად“** მიაჩნდათ. გაუნათლებელმა და ლაზღანდარა ხრუშჩოვმა ამ ხალხს სტალინისა და ბერიას სიკვდილის შემდეგ რეაბილიტაცია გაუკეთა და სამშობლოსათვის წამებულის მანტია მოასხა. ყველა დანაშაული, რაც კი ხდებოდა ამ უზარმაზარ ქვეყანაში, სტალინს და ბერიას მიაწერეს. ისტორიულად დადასტურებულია, რომ 30-იან წლებში ქვეყანაში მძიმე მდგომარეობა იყო. ახალგაზრდა საბჭოთა ქვეყანას ყოველი მხრიდან უტევდა კაპიტალისტური სამყარო, რადგან მასში ხედავდა თავის მესაფლავეს. დივერსიული აქტები ზედიზედ ხდებოდა. იღუპებოდა უდანაშაულო ხალხი. რა უნდა გაეკეთებინა მთავრობას?! შერიგებოდნენ მდგომარეობას თუ მიეღოთ გადამჭრელი ზომები; პასუხი ცალსახაა – უნდა მიეღოთ გადამჭრელი ზომები, რომლებიც ხალხის მოთხოვნაც იყო. სხვანაირად ქვეყანა ვერ გადარჩებოდა. მიიღეს კიდეც! – რამაც შესაძლებელი გახადა აგვეშენებინა ახალი, თვისობრივად განსხვავებული ატომური ბომბით შეიარაღებული ზესახელმწიფო, რომელმაც გერმანული ფაშიზმი თავისავე ბუნაგში გაანადგურა. აღნიშნული ქვეყნის წარმატებით მშენებლობაში უდიდესი წვლილი შეიტანა ლავრენტი ბერიამ. არცერთი ღონისძიება არ მიღებულა და გატარებულა ქვეყნის აღმშენებლობაში, რომ ბერიას მონაწილეობა არ მიეღოს. თავისი გამჭრიახი და ფენომენალური ნიჭით. შეცდომებიც იყო და წარმატებებიც, მაგრამ იმ რეალურ მომენტში, როცა ქვეყანა იღუპებოდა, საათები და წუთები წყვეტდა ყველაფერს. აი, რას წერს ი. სტალინი კაგანოვიჩს: **„ამ დღეებში ჩემთან იყვნენ ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის და საქართველოს კომპარტიის ცეკას მდივნები... მე ისინი როგორღაც მოვარიგე. მაგრამ სიმშვიდემ დიდხანს არ გასტანა. არ ტყუიან ბერია, პოლინსკი და ორახელაშვილი. მაგრამ პოლინსკი უშვებს უტაქტობას. შეცდომებს. ყველაზე არასასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს მამულია (საქართველოს კომპარტიის ცეკას მდივანი). კომიკური ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებს საქართველოს სახკომსაბჭოს თავმჯდომარე სუხიშვილი. ...თუ საქმეში არ ჩართეთ, ეს ხალხი თავის სისულელით დაღუპავენ საქმეს“ (ტ. I. გვ. 96).** ეს მცირე ამონარიდი ი. სტალინის წერილიდან ნათელი დასტურია იმისა, თუ რა დონის ხელმძღვანელები იდგნენ სახელმწიფოს მართვის სათავეში. ბელადი მათ სულელის დონეზე მოიხსენიებს და მოითხოვს მათ განეიტრალებას. რის გამოც სახავს ღონისძიებებს.

**„1) დაინიშნოს სექტემბრის მიწურულს მოსმენები ორგბიუროში.**

**2) მკაცრად მიუთითოთ მათ და მამულიას ტიპის ადამიანებს განთავისუფლდნენ; ამ ღონისძიების გარეშე საქმე წინ ვერ წავა“ (ტ. I. გვ. 96).**

როგორც ცნობილია ცილისმწამებრივი ჭორები უამრავი დასეირნობდა და დასეირნობს დღესაც ლავრენტი ბერიას გარშემო. ავტორებმა უნდა იცოდნენ, აღთქმული უნდა ჰქონდეთ სახელმძღვანელო დოკუმენტების წესი, რომელიც იმ პერიოდში სახელმძღვანელოდ გამოდიოდა სამთავრობო ორგანიზაციებიდან,– ძირითადად ცენტრალური კომიტეტიდან. მაგალითად მოვიყვან რამდენიმეს – საქართველოს ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება – შექმნილიყო ნაშრომი ამიერკავკასიის ბოლშევიკურ ორგანიზაციებზე. აღნიშნული ნაშრომის მოსამზადებლად შეიქმნა 20 კაციანი კომისია, რომლის ხელმძღვანელობა დაევალა საქართველოს ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალის მაშინდელ დირექტორს ე. ბედიას. ამ დროს იგი გაზეთ **“კომუნისტის”** რედაქტორი იყო. მას ეხმარებოდა 100-მდე ძველი პარტიული მუშაკი. აღნიშნული კომისიის მუშაობას ხელმძღვანელობდა და კონტროლს უწევდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ლავრენტი ბერია. დაიწერა ნარკვევი **„ამიერკავკასიაში ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხებისათვის“.**

აღნიშნული ნარკვევი ლავრენტი ბერიას მიერ წაკითხული იქნა საქართველოს ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე, სადაც მოწვეული იყვნენ ამიერკავკასიის რესპუბლიკის ხელმძღვანელი ამხანაგები და სტუმრები. მოხსენება ბერიას სახელით გამოიცა ცალკე წიგნად. გავრცელდა ჭორები, რომ ბერიამ მიითვისა ბედიას ნაშრომი, რაც აბსურდი იყო. ნაშრომი იყო კოლექტივის მიერ შედგენილი და არა ბედიასი. აღნიშნული ნაშრომის შედგენაში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ მონაწილეობას ღებულობდა 120 კაცზე მეტი. მაშინდელი წესის მიხედვით (ეს წესი ახლაც მოქმედებს) ცეკას დავალებით შედგენილი მოხსენება, საჯაროდ წაკითხვის შემდეგ ხდება წამკითხველის კუთვნილება. ეს წესი საბჭოთა სივრცეში აპრობირებული იყო. მაგრამ საქართველო რისი საქართველოა... აქ განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. ბერიას მოძულეებმა გაავრცელეს ჭორი, რომ ნაშრომი რომელიც 120-ზე მეტმა კაცმა მოამზადა ბედიას ეკუთვნოდა. წყარო მომდინარეობდა იმდროინდელი ცეკას თანამშრომლის ორაგველიძის განცხადებიდან, რომ 1936 წელს მასთან ბინაზე იყო ბედია, რომელმაც განაცხადა – ბერიამ მიითვისა მისი ნაშრომი, **„ამიერკავკასიაში ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხებისათვის“.** გამომძიებლებმა ბედია მიიყვანეს ბერიასთან **„ბედიამ უარყო ადრე მიცემული ჩვენება“** (ბერიას სასამართლო პროცესი გვ. 18) ბერიასა და ბედიას პირისპირ შეხვედრის მასალები არ არსებობს.

საკავშირო ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება **“ლიტერატურისა და ხელოვნების პარტიულობის შესახებ“,** რომლითაც მოუწოდებდა ერსა და ბერს, მწერალსა და მსახიობს, მხატვარს და ისტორიკოსს ჩამდგარიყვნენ ახალი სახელმწიფოს მშენებლობის ფერხულში, ვინც ეს მოწოდება აღიქვა ხელი არავისთვის არ უხლიათ, ვინც ვერ დააღწია თავი ბურჟუაზიულ ქონებრივ ინტერესებს ცხადია დაისაჯნენ. **„უეჭველია, რომ მწერალი, რომელიც გენერალურ ხაზის გადახვევას გაბედავს, საქმეს გაირთულებს“** – ასე აღიქვა იმდროინდელი პერიოდი გერმანელმა მწერალმა და პუბლიცისტმა ლიონ ფოიხვტვანგერმა (ლ. ფოიხტვანგერი 1937 წელი).

*(გაგრძელება მე-9 გვერდზე)*

## არნო ხიდირბეგიშვილი: „უცხოელი მონადირეები გარემოს დაცვის მინისტრ ხოკრიშვილსა და ხელვაჩაურის, ყვარლისა და ქედის მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელებს ათობით ათას დოლარს უხდიან?!“



საქინფორმის მთავარი რედაქტორი არნო ხიდირბეგიშვილის ღია წერილი საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს:

**ბატონო პრემიერ-მინისტრო!**

**სკანდალურ გარემოებებს, რომელთა შესახებაც გასულ კვირას საქინფორმი წერდა სარედაქციო პუბლიკაციაში „შეაჩერეთ მკვლელი! გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრმა, სოროსელმა ელგუჯა ხოკრიშვილმა „წითელ წიგნში“ შეყვანილი და საქართველოში 200-მდე დარჩენილი მურა დათვის დახოცვის განკარგულება გასცა!“, მოულოდნელად კრიმინალური გაგრძელება მოჰყვა.**

**უწინ ჩვენ მიგვაჩნდა, რომ მინისტრი ხოკრიშვილი, რომელმაც ხელმოსაწერად მურა დათვების ლიკვიდაციის შესახებ განკარგულება შემოგაჩეჩათ, – უბრალო მესაბოტაჟე, სააკაშვილის მეგობარი და თანამოაზრეა, რომელიც „თავისუფალ ზონასთან“ ერთად, საგანგებოდ გიკეთებთ შავ პიარს. თუმცა, ახლა გვაქვს ეჭვი, რომ ხოკრიშვილი მსხვილი მექრთამეა, რომელიც ხელვაჩაურის, ყვარლისა და ქედის მუნიციპალიტეტების კორუმპირებულ გამგებლებთან წილშია. კიდევ ვიმეორებ – საქინფორმს აქვს ეს ეჭვი და ჩვენ არ ვაპირებთ ზემოხსენებული ჩინოვნიკების უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევას, თუმცა, ქვემოჩამოთვლილი ინფორმაცია პროკურატურამ უნდა გააკონტროლოს!**

**მაშ ასე: ხოკრიშვილი ოთხი (?!) მურა დათვის ლიკვიდაციას ხელვაჩაურის, ყვარლისა და ქედის მუნიციპალიტეტებში ვითომდა დათვებით „შეშინებული“ მოსახლეობის წერილობითი თხოვნით ხსნის. ამასთან დაკავშირებით იბადება ოთხი შეკითხვა:**

**კითხვა №1 – ნუთუ ეკოლოგიის მინისტრმა – გაუპარსავმა გერმანელმა პროფესორმა ხოკრიშვილმა არ იცის ის, რაც იცის საქართველოში ნებისმიერმა პირველკლასელმა, კერძოდ კი, ის, რომ დათვი ძუძუმწოვარია და ადამიანებს არ ჭამს?**

**კითხვა №2 – რატომ აცხადებს „აბლავას“ გაუპარსავი ხოკრიშვილი მხოლოდ ხელვაჩაურის, ყვარლისა და ქედის მუნიციპალიტეტებში? ნუთუ მიაჩნია, რომ ტყეში დათვის ჩაწერა, საზღვრები და სავიზო რეჟიმი არსებობს და რომ ეს ოთხი კონკრეტული დათვი ტყეში კი არ გადაადგილდება, არამედ „ჩაწერის ადგილას“ ცხოვრობს და მკაცრად იცავს მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ საზღვრებს?**

**კითხვა №3 – ნუთუ გაუპარსავმა პოტსდამელმა ეკონომისტმა ხოკრიშვილმა არ იცის, რომ დათვები მხოლოდ მაშინ მიდიან ადამიანებთან, როცა ძალიან დამშეული არიან? ნუთუ არ შეიძლება სამსახურიდან გაათავისუფლო ყავის, სიგარეტისა და უსაქმურობისგან გასიებული მისი სამინისტროს თანამშრომლების ნახევარი, რომლებსაც ტყე თავის სიცოცხლეში არ უნახავთ და გამოთავისუფლებული ფულით ოთხი დათვი გამოკვებო?**

**კითხვა №4 – ნუთუ გაუპარსავმა სოროსელმა ხოკრიშვილმა არ იცი ის, რაც იცის ნებისმიერმა ქართველმა მწყემსმა – კერძოდ ის, რომ დათვი ვერ იტანს ხმაურს და საქმეს არ იჭერს მყეფარა ძაღლებთან? ნუთუ იმ „შეშინებულ“ სოფლელებს ორი ძაღლიც არ ჰყავთ?! და ნუთუ საგადასახადო პოლიტიკის სპეციალისტსა და ფისკალ ხოკრიშვილს დაავიწყდა, რომ მის მშობლიურ გერმანიაში ბუნების წინააღმდეგ ჩადენილ გაცილებით პატარა დანაშაულზე შესაძლოა ციხეში ჩაგსვან?**

**მაგრამ საქმე ისაა, რომ სინამდვილეში არავითარი წერილები დათვებისგან „შეშინებული“ სოფლელებისგან არ ყოფილა! თუმცა, მათი დაწერა შესაძლოა ახლა აიძულონ უკანა რიცხვით – მას შემდეგ, რაც საქინფორმმა განგაში ატეხა, საიმედოობისთვის კი ვინმე მოკლან და ამაში დათვი დაადანაშაულონ!**

**არსებობენ მდიდარი უცხოელები – მილიონერები, რომლებიც დათვებზე ელიტური ნადირობისათვის საქართველოში მზად არიან ათობით ათასი დოლარი გადაიხადონ! თითო მოკლულ დათვში – 50 ათასი დოლარი, პლუს სასტუმროები, ბუნებაში მონადირული პიკნიკები, ტრანსპორტის – ცხენებისა და “ჯიპების“, ძაღლებისა და გამცილებლების დაქირავება, აგრეთვე ხარჯები სხვადასხვა გასართობებზე, საქართველოდან ძვირფასი საჩუქრების (ხანჯლები, ხალიჩები, ნახატები) ყიდვაზე, მთასა და ზღვაზე დამატებით ტურისტულ ტურებზე და ა.შ.**

**კიდევ, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრს, ასევე სამი ზემოჩამოთვილილი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებს შეეძლებათ სოლიდურად შეავსონ თავისი პირადი მატერიალური რესურსი ობლად დარჩენილი დათვის ბელების გაყიდვის ხარჯზე, რომლებსაც რესტორნებს, ცირკებს, ზოოპარკებსა და კერძო პირებს მიჰყიდიან – მათ ვილებზე შეზარხოშებული სტუმრების გასართობად.**

საქინფორმს აქვს ინფორმაცია, რომ საქართველოში ნადირობის მოსურნე უკვე ბევრია – მოცემულ მომენტში, ეს მდიდარი და მაღალი თანამდებობის პირები არიან რუსეთიდან და უკრაინიდან.

# ლავრენტი ბერია: მტერი თუ მოყვარე

*(გაგრძელება მე-8 გვერდიდან)*

სხვა გამოსავალი არ იყო, დრო აღარ ითმენდა. შინაურმა მტრებმა გარეული მტრები მოამრავლეს, რის გამოც ქვეყნის ყოფნა-არყოფნის საკითხი დგებოდა,. კაპიტალისტური ყბადაღებული სამყარო თავის მესაფლავეს ახალგაზრდა საბჭოთა ქვეყანას, რომელიც ახალი სისტემის მშენებლობის პროცესში იყო, გადაყლაპვას უპირებდა. **„ბერიას ესროდნენ მტრები და ეს მტრები საბჭოთა სისტემის კვალდაკვალ ცვლიდნენ ბრძოლის სტილს და მეთოდს და შეტევას სრულიადაც არ ასუსტებდნენ. ამიტომ დარჩა ბერია ჩეკისტად და ვერ გახდა არქიტექტორი“** (ტ. I. გვ. 82) დასახელებულ ნაშრომში ლავრენტი ბერია წარმოდგენილია მოაზროვნე, თავდადებულ, ნიჭიერ, სახელმწიფოს მართვის მცოდნე უბადლო პიროვნებად. **„თუ ადამიანს დიდი საქმეები ებარა და იგი სამშობლოს კეთილსინდისიერად ემსახურებოდა ვერავინ შეძლებს მისი სახელის მიფუჩეჩებას“** (ს. კრემლიოვი). როდესაც ლავრენტი ბერია საქართველოს მაღალ ეშელონებში მოვიდა, საქართველო იმართებოდა შიგა და გარეშე მტრებისაგან. ბრძოლის ყველა უხეში მეთოდები მიმართული იყო კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ მაგრამ არც ბერიას ეძინა. ის გეგმაზომიერად ანეიტრალებდა მათ ძალებს: აპატიმრებდა საეჭვო ხელმძღვანელ პირებს, რაც ლოგიკურად გამართლებული იყო. ერთ-ერთ დაპატიმრებულ ჩხიკვიშვილს ჯიბეში აღმოაჩნდა ნ. ჟორდანიას წერილი, სადაც ეწერა **„...ძნელი დასადგენი არ გახლავთ კავკასიის მთებს მიღმა უნდა გავმაგრდეთ, მაშინ გავიმარჯვებთ, მხოლოდ ამის შემდეგ მოგვაქცევს ევროპა სერიოზულ ყურადღებას“** ასე **„აიმედებდნენ“** საზღვარგარეთიდან ყოველგვარ გარანტიას მოკლებული ქართველი მენშევიკები თავის ემისრებს, რომელთა გაუთვლელ მოქმედებებს უამრავი უდანაშაულო ადამიანი ეწირებოდა. (დღეს საქართველოში ასეთივე მდგომარეობაა მიხეილ სააკაშვილის მიერ შექმნილი) ბერიამ გაატარა სიტუაციასთან შესაფერისი ღონისძიებები, რაც პირველი პირის სახელმწიფო მოვალეობა იყო, – გადაერჩინა ქართველი სახელმწიფო ყველა რჯულის მტრებისაგან – შედეგი სახეზეა გადაარჩინა სახელმწიფო და შეინარჩუნა სიმშვიდე, რაც საზოგადოების შრომითი საქმიანობისათვის აუცილებელი იყო. გატარებული ღონისძიების შედეგად დაპატიმრებული იქნა სომეხ **„დაშნაკთა“** კომიტეტის წევრები. ახალციხეში საიდუმლო სამალავში აღმოჩენილი იქნა 11 ტყვიამფრქვევი, 33 ყუთი ხელყუმბარა, 70 შაშხანა, 30 ტომარა საარტილერიო დენთი, 70 ფილა დინამიტი, 70 ყუთი (1 ყუთი 16 კგ ლ.ბ.) ვაზნა. ყველაფერი ეს ემსახურებოდა **„დაშნაკების“** მიერ საქართველოში დივერსიების მოწყობას. (ამას წინათ დასავლეთ საქართველოში აღმოჩენილი იარაღის სამალავები ასეთი მიზნისათვის იყო მომზადებული). ბედი ქართველი ერისა, რომ იმ მომენტში საქართველოს სათავეში ედგა დიდი ჩეკისტი, მოაზროვნე და სწორუპოვარი ხელმძღვანელი ლავრენტი ბერია. მისი მოღვაწეობის პერიოდში ღარიბი საქართველო მძლავრი ინდუსტრიული ქვეყანა გახდა. ათასობით კვადრატული მეტრი დაშრობილი ჭაობი ლამაზმა, ციტრუსების ბაღებმა შეცვალა.

გაყვანილი იქნა საავტომობილო გზები. თბილისში აშენდა მაღალი არქიტექტურული გემოვნებით დაპროექტებული სახლები, რომლებიც დღესაც ამშვენებს თბილისი პროსპექტებს და ქუჩებს. აშენდა ფუნიკულიორი, გაყვანილი იქნა თბილისი-კოჯრის გზა, **„იმელის“** ბრწყინვალე შენობა, რომელიც დღეს სამარცხვინოდ გამოიყურება მიხეილ სააკაშვილის უგნური და ბოროტი ქმედებების გამო.

სერგეი კრემოლიოვი დაგვპირდა და კიდეც შეასრულა თავის დანაპირები, რომ მას **„შეუძლია გააცამტვეროს ბერიას მიმართ ყველა ბრალდება – წაყენებული მისი უხეშობით და დამთავრებული მექალთანეობით. ეს ყველაფერი უგვანო პარტოკრატებისა და „დემოკრატების“ ანტისაბჭოთა ელემენტების მონაჩმახია“** (ტ. 3, გვ. 26, 2014 წ.).

ლავრენტი ბერიამ უდიდესი წვლილი შეიტანა ატომური ბომბის შექმნის საქმეში. ეს იყო **„ამერიკის შეერთებული შტატების ატომური მონოპოლიის ლიკვიდაცია, მაშინ მართლაც რუსეთის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი გახლდათ!“** (ტ. 3, გვ. 32, 2014 წ.).

ამაყი და მოაზროვნე მწერალი, პუბლიცისტი სერგეი კრემლიოვი ყველას გასაგონად ამბობს, **„მთელი ისტორიული პროცესების ფონზე – ერთადერთი ფაქტი იყო, რომ რუსეთს მართავდნენ ჭკუითა და გონებით“** (ტ. 3, გვ. 107, 2014 წ.) ეს სიტყვები მიმართულია სტალინისა და ბერიას მისამართით. თუ სერგეი კრემლიოვი ამბობს, რომ ბერია და სტალინი რუსი ხალხის შვილია, მე მივცემ თავს უფლებას და ვაცხადებ – სერგეი კრემლიოვი ქართველი ხალხის შვილია! – რომელმაც განაჩენი გამოუტანა მე-20 საუკუნის მეორე ნახევრის და 21-ე საუკუნის პირველი ნახევრის **„ინტელიგენციას“**, რომლებიც დაავადებულია ხრუშჩოვისა და ხრუშჩოველთა ბაცილით. დიახ, ასეა – სიმართლე, რომელიც გადმოცემულია ამ ენციკლოპედიურ ნაშრომში, რომელიც უნდა გახდეს ყველა ოჯახის კუთვნილება – დიახ, **„ვინ მისცა საქართველოს შვილი დასაკარგავი?“** თუ აღმოსავლეთ საქართველომ მსოფლიოს მისცა ი. სტალინი, დასავლეთ საქართველომ მსოფლიოს მისცა ლავრენტი ბერია.

მკითხველო!

ამ ენციკლოპედიური ოთხტომეულის წაკითხვის დროს თქვენ გაეცნობით უამრავ საარქივო მასალას, რომელიც ტიტანური შრომით არის მოპოვებული. აღნიშნული მასალები ისე ნიჭიერად აქვს დალაგებული ავტორს, რომ მკითხველს გაუადვილდება გაერკვეს იმ პერიოდის დამახასიათებელ დახლართულ პოლიტიკურ პროცესებში. იმედია ქართველი საზოგადოება დადებითად შეხვდება ეროვნებით რუსი კაცის სერგეი კრემლიოვის მიუკერძოებელ და გულით აღთქმულ ისტორიული მოვლენების სწორ შეფასებას და რეალურ დასკვნას გააკეთებს იქედან, რომ ლავრენტი ბერია მტერი არ ყოფილა. მის მიმართ წაყენებული ავანტიურა ხრუშჩოვის ჩანაფიქრი და მოგონილი იყო ბერიას დისკრედიტაციის შესაქმნელად, რაც სისრულეში მოიყვანა, და რაშიც მას გვერდში ედგნენ ზოგიერთი უღირსი ქართველები, რომელთაც ინტელიგენტებად მოაქვთ თავი, რომელთა წინაპრებმაც მეოცე საუკუნის 30-იან წლებში თბილი სავარძლები დაკარგეს.

ხრუშჩოვის ავანტიურამ მიზანს მიაღწია – ბერიას განადგურებით მან საკუთარი თავი გადაარჩინა და ბერია იდეურად გააქრო საზოგადოებრივ ცნობიერებიდან. ხრუშჩოვს ეგონა სამუდამოდ შეიძულებდა ბერიას ხალხი, მაგრამ პირიქით მოხდა. დედამიწის ზურგზე ხრუშჩოვის მაქებარი ორი კაციც არ მოიძებნება. მის მშობლიურ რუსეთში მას იცნობენ როგორც უნიჭო, ლაზღანდარა ხელმძღვანელს ხოლო როგორც ს. კრემლიოვი წერს **„სტალინი და ბერია რუსი ხალხის საყვარელი შვილია, რომ არ ყოფილიყო სტალინი და ბერია რუსეთი დღესაც მეფისდროინდელი განვითარების დონეზე იქნებოდა“.**

მკითხველო!

კარგად დავფიქრდეთ და ცივი გონებით განვსაჯოთ, თუ რამდენად ამაღლებულად ჟღერს ფრაზა **„რუსი ხალხის საყვარელი შვილი“**, იმ ღირსეული ქართველების (იგულისხმება სტალინი და ბერია) მიმართ, რომლებსაც 60 წელია ტალახს ესვრიან, განსჯის უნარს მოკლებული უმეცრები და უგნურები, **„ჯალათსა“** და **„სატანას“** უწოდებენ სამშობლოს შეწირულ დიდ ადამიანებს. მადლობა იმ რუს კაცს რომელმაც გაბედა და უშიშრად მართალი სიტყვა თქვა და ჩაუყარა საფუძველი სამართლიანობის სიცოცხლეს. ბერია ცოცხალია, ისტორია გაასუფთავებს მის უსახელო საკლავს და სამზეოზე გამოიტანს ტიტანური ბრძოლის ამსახველ მასალებს, რომელიც დასტური იქნება იმ დიდი გამარჯვებისა, რომლის სათავეშიც იდგნენ ქართველი ერის საამაყო შვილები იოსებ სტალინი და ლავრენტი ბერია, რომლებმაც, როგორც ჩერჩილი ამბობდა **„ჩაიბარეს კავის რუსეთი და დატოვეს ატომით შეიარაღებული რუსეთი“.**

იწყება ლავრენტი ბერიას მეორე სიცოცხლე, რომლის დასტურია დიდი რუსი მწერლის სერგეი კრემლიოვის წიგნი **„ბერია მე-20 საუკუნის საუკეთესო მენეჯერი“**, რომელიც რუსულიდან თარგმნა და ოთხ ტომად გამოსცა ცნობილმა მწერალმა და პუბლიცისტმა, გაზეთ **„ილორის“** მთავარმა რედაქტორმა ბატ. როლანდ ჯალაღანიამ. მადლობა მას ამ დიდი შრომისათვის!

ძვირფასო მკითხველო!

სერგეი კრემლიოვის წიგნი **„ბერია მე-20 საუკუნის საუკეთესო მენეჯერი“** მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნის ტოლფასია, რადგან **„სიმართლე ის მახვილია, რომლითაც კეთილი იმარჯვებს ბოროტზე“** (აკადემიკოსი ა. ბიწაძე).

**ლეონტი ბიწაძე,**
**ინჟინერ ეკონომისტი**

# მეგრული ენა – ახალწარმოშობილი უმწერლობო ენა, თუ გლოტოგონიური ფენომენი?

არასოდეს გამიჩნდებოდა სურვილი ქ-ნი ნაზი ხანიაშვილისთვის მემტკიცებინა ჭეშმარიტებები, რამეთუ მისი მთავარი საყრდენი საკუთარი სიზმრისეული ზმანებებია, ხოლო ფუნდამენტალურ მეცნიერებებთან ის ძალზე მწყრალადაა და ყურმოკვრით მიღებულ წარმოდგენებზე ყურადღების გამახვილება უბრალოდ დროის დაკარგვაა. მაგრამ გულწრფელად მეცოდება **ფენომენის** მრავალრიცხოვანი მკითხველი, რომელთაგან უდიდესი უმრავლესობა ჭეშმარიტების სიღრმეში არ არის ჩამწვდარი და ესოდენ პოპულარულ ჟურნალში, როგორც **ფენომენია,** გამოქვეყნებული წერილები, თუნდაც, აშკარა სიცრუე, მათ ცნობიერებაში აღიქმება, როგორც ჭეშმარიტება, ამიტომ უყალიბდებათ ცრუ წარმოდგენები რეალობაზე, რაც გამანადგურებლად მოქმედებს ქართველი ერის გონებრივ განვითარებაზე.

ქ-ნი ნაზი აბსოლუტურად არ იცნობს ქართული მეცნიერების პატრიარქის – ივანე ჯავახიშვილის, აკად-ბის აკაკი შანიძის, შოთა ძიძიგურის და სხვათა შრომებს და, მიუხედავად იმისა, მან კარგად იცის ქართული ენა და გრამატიკა, მისთვის უცხოა ენათმეცნიერების ელემენტარული საფუძვლები; ვერ ერკვევა ქართული ენის ლექსიკოლოგიაში; მხოლოდ ყურმოკრული ხალხური ეტიმოლოგიით საზრდოობს და, რაც ყოვლად შეუწყნარებელია, სხვათა გონებასაც ამ ცრუ წარმოდგენებით კვებავს. ამიტომ იძულებული გავხდი ამეღო კალამი, რომ მცირეოდენი ნათელი მაინც შემეტანა ჟ-ლ **ფენომენის** მრავალრიცხოვან მკითხველთა ცნობიერებაში.

ქ-ნი ნაზი წერილში **„ქართველები დედამიწის პირველსაწყისი, მარადიული ჟამის და უკვდავი ხვთაებრივი გენის ხალხია“** (იხ. ჟ-ლი „ფენომენი“, 2014, №2) წერს, რომ **„ეს წერილი ქართველი ერის დიდმა სიყვარულმა და უდიდესმა გულისტკივილმა დამაწერინაო“.** გავარკვიოთ, ქ-ნ ნაზის სიყვარულმა დააწერინა ეს წერილი, თუ 30-მა ვერცხლმა. თუმცა, შესაძლებელია, ქ-ნი ნაზი გულწრფელია და სჯეროდეს თავისი სიზმრების და ჰგონია, მართლაც, დიდ ეროვნულ საქმეს აკეთებს, მაგრამ ქართული მეცნიერების კორიფეთა უგულებელყოფა და საკუთარი თავის მათზე მაღლა დაყენება, ფსიქიკურად შერყეულ ჯანმრთელობაზე მეტყველებს და, ვისაც კი შეუხედია მისთვის ახლო მანძილიდან თვალებში, ამაში ადვილად დარწმუნდება. ასეთი ადამიანის მოსასყიდად, ალბათ, 10 ვერცხლიც იკმარებდა. მაგრამ, ვიმეორებ, როცა ამას საკმაოდ პოპულარული ჟურნალი აქვეყნებს და გაუცნობიერებელი მკითხველი ეცნობა, ამპარტავნობა უნვითარდება და ძალაუნებურად ცრუ სიამაყის გრძნობა ეუფლება, რაც ყოველგვარი ცოდვისა და ბოროტების საფუძველია, ხოლო ოდესმე თუ შეიცნობს ჭეშმარიტებას და მიხვდება, რომ შეუბრალებლად მოატყუეს, კატასტროფულად ინგრევა მისი სულიერი სამყარო და უორკეცდება ცოდვებისა და ბოროტების ჩადენის სურვილი.

მთელი უბედურება, სწორედ ისაა, რომ გაუცნობიერებელი ქართველისათვის ნამდვილად არსებობს საერთო სალიტერატურო ქართულსა და მეგრულს შორის დიდი ენობრივი სხვაობა, ხოლო ვინც შეისწავლის მეგრულს, მისთვის ეს სხვაობა ქრება. ამ ჭეშმარიტებამაც მიბიძგა ამეღო კალამი.

უბედნიერესი ერი ვიქნებოდით, ქართები და ქართული ენა, როგორც ქ-ნ ნაზის სურს, თავიდანვე, მართლაც, პირველსაწყისი ენა და ხალხი ყოფილიყო, მაგრამ ეთნიკური სახელწოდება **ქართი** ეროვნულ ცნობიერებაში ახ.წ.აღ-ით მე-2 საუკუნემდე (როცა ქართები გამოეყვნენ იბერებს; ორმეფობის ხანა) და გარე სამყაროსთვის XIV საუკუნემდე (იხ. ივ. ჯავახიშვილი, ენციკლოპედიური ლექსიკონი, 2000, ტერმინი **აფხაზეთი**) უცნობია. ამასთან, ჩემამდე არავის შეუსწავლია საფუძვლიანად ეთნიკური სახელწოდებანი **იბერი, ქართი, მეგრელი** და ეთნიკურად მიჩნეული სახელწოდებანი მესხი, კოლხი, ლაზი, აფხაზი და ა.შ. (იხ. ისტორიული აფხაზებისა და სხვა იბერების ვინაობა-წარმომავლობის შესახებ, ჟ-ლი **„აია“,** №1 (16), 2013).

ქ-ნი ნაზი ყოველგვარი მტკიცებულებების გარეშე, ალბათ, ძილში ნახული ზმანებების საფუძველზე წერს, რომ „სამყაროში უფლის ნებით ყველაფერი ორ – **„ინ“** და **„იან“** პირველსაწყისადაა დაყოფილი. ასევე ადამიანებიც დედამიწაზე ორი საწყისის წარმომავლობისაა: 1. ქართლის – უაღრესად წმინდა ხვთაებრივი გენის ხალხი; 2. დანარჩენი ყველა – **„ნარევი ერი, ანუ ბაბილონის გოდოლის დანგრევის შემდეგ ენათა აღრევის შედეგად წარმოქმნილი ხალხი, რომელიც უფალმა შექმნა მოგვიანებით. ეს ცალსახად ნათელია და სადაო არ არის“** (იხ. „**ფენომენი**“, №2, 2014, გვ. 28).

ალბათ, თავისი სურვილის დამადასტურებელი ხილვები ნახა სიზმარში ქ-ნმა ნაზიმ, თორემ სადავო არ არის კი არა, ქართველების ანთროპოლოგიური სიჭრელისა და ქართული ენის ნარევობის გამო, ლამის საქართველოდან გაგვაძევონ ქართველები (იხ. პარიზის ეროვნული საბჭოს ჟ-ლი **„მებრძოლი საქართველო“,** მიხაილ სუსლოვის მოხსენება 1961 წლის პოლიტბიუროს საიდუმლო სხდომაზე, 26 მაისი, 2003 წელი).

რა აქვთ საფუძვლად?

ცნობილია და უცხოელმა ქართველოლოგებმაც ბრწყინვალედ იციან, რომ ჩვენი საერთო სალიტერატურო ენის ლექსიკა 66%-ზე მეტი უცხოური წარმოშობისაა (აკაკი შანიძის გაანგარიშებით), რომელშიც ადვილად დავრწმუნდებით ს.ს. ორბელიანის ქართული ლექსიკონის ორ ტომეულის საფუძვლიანი გაცნობითაც. ე.ი. ქართული ენის ლექსიკა მეტ-ნაკლები რაოდენობით შეიცავს სპარსულს, ელინურს, სომხურს, ლათინურს, არაბულსა და თურქულს და მხოლოდ 34%-მდე ეროვნულ იბერიულს. მართალია, უცხოური წარმოშობის ლექსიკა გატარებულია იბერიულ-ეროვნულ-გრამატიკულ ბრძმედში, რომლის წყალობით იბერიული ენის წილი ქართულ სალიტერატურო ენაში არანაკლებ 70%-ია, მაგრამ ეროვნული წარმოშობის ლექსიკის ძირისეული ფორმების ეტიმოლოგიას ქართული ენა ისევე ვერ არკვევს, როგორც უცხოური წარმოშობისას, ე.ი. ეროვნული, იბერიული ენის ლექსიკა იბერიული (ე.წ. მეგრული) ენის არმცოდნე ქართველისათვის ისევე უცხოა, როგორც სპარსული, ელინური, სომხური და ა.შ. ეთნიკური სახელწოდება **ქართი** (შეერიე, მეგრ.) სწორედ ამიტომ ეწოდა. ტერმინი **ქართული** კი ნაწარმოებია სიტყვისაგან **ქართური (ქართული),** რაც შერეულს ნიშნავს და კანონზომიერად მიიღო ეს სახელწოდება, რადგან ის უცხო ენათა და იბერიულის ნარევს წარმოადგენს და სჯობია ჭეშმარიტების აღიარება, რამეთუ საკუთარი თავისა და ხალხის მოტყუებით სხვებს ვერ მოვატყუებთ. ხოლო ე.წ. მეგრული ენა ეროვნული (იბერიული) წარმოშობის ლექსიკას ძირისძირამდე, სინქრონიულ-დიაქრონიულ, ანუ ჩასახვა-განვითარების დონეზე ხსნის. მაგრამ, თუ თვითონ ქართველები ამ ჭეშმარიტებას უგულებელყოფენ, ანუ ე.წ. მეგრულ (იბერიულ) და სვანურ ენებს ქართულის დიალექტად ჩათვლიან, ე.ი. იმ კომპონენტს (იბერიულს, იგივე ე.წ. მეგრულს), რომელიც ქართველი ერის წარმოშობას და ეროვნულობას განსაზღვრავს, ქართული ენიდან გვიან წარმოშობილ ენად, ანუ დიალექტად თვითონ ქართველები დააკანონებენ, მაშინ ისინი 100%-იანი კონგლომერატი, ანუ აბსოლუტურად **„ნარევი ერი“** გამოვა იმ უცხო ხალხთა, რომელთაც საქართველოს ფარგლებს გარეთ თავიანთი სამშობლოები გააჩნიათ; მეტი არაფერი უნდა ჩვენი სამოთხის სადარ მიწებზე კბილებაკაწკაწებულ აგრესორებს; ასეთი არგუმენტის მოპოვების შემდეგ არცაა გასაკვირი, ეფექტურად გამოიყენონ ქართველთა სიბრიყვე და თავიანთი შესაძლო აგრესია **„დაჩაგრულ აბორიგენთა“** (აფსუათა, ოსთა და სომეხთა) დაცვის მიზეზით გაამართლონ. აკი ისტორიულ სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები დაშნაკთა მემკვიდრე სომხებიც, უკვე, ამ ტერიტორიის წართმევით გვემუქრებიან.

აი, ასე უყვართ ნაზი ხანიაშვილს და მის წამქეზებელთ საქართველო.

გვაქვს თუ არა მტკიცებულებები იმისა, რომ ე.წ. მეგრული (იბერიული) ენა გლოტოგონიური ფენომენია, თუ ჩვენც, ხანიაშვილივით, სურვილი გვამოძრავებს?

– ე.წ. მეგრული ენა, განსხვავებით ყველა სხვა ენებისაგან, დღემდე ინახავს დედამიწაზე არსებულ ოთხივე ტიპის ენათა ნიშანთვისებებს (იხ. მ. ძაძამია, ც. ძაძამია, ვ. ვახანია, მეგრული ენის ლექსიკა და სიტყვათწარმომავლობა, შვიდტომეული, ტომი I, 2007, გვ. 170-180); მეგრულ ენას დღემდე შემონახული აქვს სამეტყველო ბგერების წარმოშობის მექანიზმები, რაც მეტყველების წარმოშობას განსაზღვრავს (იხ. გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, 1999, გვ. 390); მეგრული ენის ლექსიკური ფონდი შესაძლო გამოყენებადი ფორმებითურთ შეიცავს მილიარდ 410 მილიონზე მეტ სიტყვას (იხ. მ. ძაძამია, ც. ძაძამია, მეგრული ენის, სხვა ქართველური ენების, ზოგადად, ანუ საერთოდ ენისა და სხვადასხვა ენის ასაკის და მსოფლიოს ენების გენეტიკური კავშირურთიერთობის შესახებ, ჟ-ლი **„აია“,** №2 (17) 2013), მაშინ, როცა ინგლისური ენის ლექსიკურ ფონდში აღრიცხულია 490 ათასი სიტყვა და, როგორც რეკორდული მაჩვენებელი შეტანილია გინესის წიგნში.

ჩვენი საერთო სალიტერატურო ენა საკმაოდ გამარტივებული და სრულად გახმოვანებული, საოცრად დახვეწილი და გრამატიზირებული ენაა, მაგრამ იძულებული ვარ ქართული ენის ნაკლიც აღვნიშნო და ქ-ნი ნაზი ჭეშმარიტებაში ოდნავ გარკვეული, რომ იყოს და ქართველი ერის სიყვარული ამოძრავებდეს, არ მიბიძგებდა ქართული ენის **„ნაკლის“** აღნიშვნისკენ, რომლის გამოსწორების დიდი სურვილი მაქვს და შესაძლებლადაც მიმაჩნია ე.წ. მეგრულ (იბერიულ) ენაში არსებულ სპეციფიკურ ნიშანთვისებათა ქართულ სალიტერატურო ენაში დანერგვით.

მეგრული ენის ზემოხსენებული მონაცემები სიზმრებზე დაყრდნობით კი არ მოგვაქვს, არამედ ამას ადასტურებს ცოცხალი ე.წ. მეგრული ენა, რომლის ლექსიკური ფონდის 99,5% ზმნურია და, თითქმის, ყველა ზმნური ფორმა მეგრულში ირთავს ამ ენაში არსებულ 92-ვე ზმნისწინს და 326-მდე სუფიქსის უდიდეს უმრავლესობას, რომლის წყალობითაა მეგრული ენა ასე შეუდარებლად მდიდარი და შეუდარებელი გამომსახველობითი უნარის მქონე. ხოლო ქართული და სხვა აგლუტინაციური (გრამატიზირებული) ენების ზმნური ფორმების 20%-იც არ ირთავს მათში არსებულ 15-მდე ზმნისწინსაც. სუფიქსები კი ქართულში და სხვა აგლუტინაციურ ენებში თითზე ჩამოსათვლელია. ამიტომ ახლოს ვერ მიუვა სიმდიდრით მეგრულ ენას ვერცერთი სხვა ენა. ხოლო თავის ლექსიკურ ფონდში 200 ათასი სიტყვის შემცველ ქართულ ენას როგორ გამოეყოფოდა მილიარდ ნახევარი სიტყვის შემცველი მეგრული ენა მხოლოდ ნაზი ხანიაშვილმა **„იცის“** დედამიწაზე და, ალბათ, პასუხსაც გასცემს. მეტი არაა ჩემი მტერი!

ვინ ნორმალურს არ უნდა, რომ ჩვენი სალიტერატურო ენა ყველაზე უძველესი იყოს, მაგრამ სურვილი არ არის საკმარისი და რუის-ურბნისის საეპისკოპოსოს გარყვნილების ბუდედ ქცევისათვის 1104 წელს გაკრეჭილმა, რუის-ურბნისის ეპისკოპოსმა, გვარგადაკეთებულმა სომეხმა – ლეონტი მროველიმ, თუ **„ცხოვრება ქართველთა მეფეთა...“**-ს ყველაზე უძველესი ხელნაწერის (1270-1310 წ.წ.) შემქმნელმა, ტიგრან II-ის მემკვიდრე დაშნაკმა სომეხმა იმის საკომპენსაციოდ დაწერა **„ფარნავაზმა განავრცო ქართული ენა და სხვა ენა აღარ იზრახებოდა ქართლსა შინაო“,** რომ ქართველებს თვალი დაეხუჭა და შეეწყნარებინა მტკნარი სიცრუე: **„აქამომდის (ძვ. ძ. აღ. 550 წ.) ქართლოსიანთა ენა სომხური იყო“**-ო, ხოლო **„კავკასიის ნახევარი, უმჯობესი მიწები სომეხთა კუთვნილებაო“,** რითაც საფუძველი ჩაუყარა ქართველთათვის დღემდე გადაუჭრელ თავსატეხს, თორემ სინამდვილეში ქართლს მე-10 საუკუნემდე სახელმწიფოებრიობა არასოდეს ჰქონია (პირველი მეფეა ადარნასე II ბაგრატიონი) და, ბუნებრივია, ქართული ენა მანამდე სახელმწიფო ენა არასოდეს იქნებოდა, რასაც ადასტურებს ბოლოსიტყვაობა დედანში ჩვენამდე მოღწეული ყველაზე უძველესი წერილობითი ძეგლისა – იოანე პეტრიწი, „განმარტებანი პროკლე დიოდოხოსის **„ღმრთისმეტყველების საფუძვლებისა“** (იხ. იოანე პეტრიწი, შრომები II, გამოც. ს. ყაუხჩიშვილისა და შ. ნუცუბიძის მიერ, თბ. 1937, გვ. 220). რაც შეეხება დამწერლობებს, დღეს არსებული თოთხმეტი ორიგინალური დამწერლობიდან ქართულად წოდებული დამწერლობანი (მხედრული და ასომთავრული) კოლხურ-იბერიული წარმოშობისაა (იხ. ჩვენი, კოჩა კოლხის ფსევდონიმით, ძველკოლხური ენის საიდუმლოებანი, 2004) და კაცობრიობის პირველი დამწერლობებია, რაშიც არავინ მედავება.

ყოველგვარ ლოგიკას მოკლებული, რომ არ იყოს, უსირცხვილოდ და აბსოლუტურად უპასუხისმგებლოდ ტყუის ქ-ნი ნაზი, როცა წერს: **„მეგრელები მსოფლიოში ყველგან ეძებენ თავიანთ წინაპრებს. ისინი არიან ბერძნები, გალები, ლაზები, ქალდეველები, ებრაელები, ქურთები, აზერბაიჯანელები, ოსები. თავი დედამიწის პირველსაწყის ხალხად გამოაცხადეს. არადა აქ ჩამოთვლილთა გენეტიკური და ისტორიული წარმომავლობა 4000 წელს არ აღემატება“** (იხ. იგივე ჟ-ლი, გვ. 27). ასეთ სულელურ ფრაზას, ქაღალდზე დაფიქსირებულს, ვერსად იპოვით. ასეთის თქმა მხოლოდ ხანიაშვილს და მის მსგავს **„მეცნიერთ“** შეუძლია. ჩვენ პირველსაწყისობაზე გვაქვს პრეტენზია და სხვაგან არსად ვეძებთ წინაპარს. ჩვენი უძველესი წინაპარია პირველი კაცი დედამიწაზე – ადამი, რომელიც, როგორც ბიბლიიდანაა ცნობილი, საგნებს და მოვლენებს ხმაბაძვით არქმევდა სახელებს. ამიტომაცაა მეგრული ენის ლექსიკური ფონდის 75%-ზე მეტი ხმაბაძვითი წარმოშობისა, მაშინ, როცა მსოფლიოს სხვა ენებში ხმაბაძვითი წარმოშობის ლექსიკა ძალზე უმნიშვნელოა და ლექსიკური ფონდის უდიდესი ნაწილი შემთხვევით, პირობით და არამოტივირებულ ფორმებად მიაჩნიათ. ამიტომაც აკრძალა ოფიციალურად, 1866 წელს პარიზში საენათმეცნიერო საზოგადოებამ ენისა და მეტყველების წარმოშობაზე მოხსენებების განხილვა, რადგან ენისა და მეტყველების წარმოშობის საიდუმლოებებში წვდომა შეუძლებლად მიაჩნდათ. და არც შეიძლება რომელიმე სხვა ენით, გარდა მეგრული ენისა, აიხსნას მეტყველების წარმოშობის მექანიზმები, რამეთუ ყველა მათ ეს ნამდვილად დაკარგული აქვთ ენათა აღრევის გამო.

აი, რას წერს კიდევ ქ-ნი ხანიაშვილი: **„მეგრული ენა, რომ ახალი შექმნილია, ამის დასტურია ის, რომ მათ ენაში, ჯერ კიდევ, არის ერთბგერიანი სიტყვები, რაც მიგვანიშნებს იმაზე, რომ მათი ენა ჯერ ვერ ჩამოყალიბდა“** (იქვე, გვ. 27). აქ თავის აბსოლუტურ უმეცრებასააშკარავებს ქ-ნი ნაზი, მაგრამ ამაზე ის და მისი დამკვეთნი არც წუხან, მთავარია, მეგრელ მკვლევართა ყურადღება მიიპყრონ და ხელი შეუშალონ ჭეშმარიტების ძიებაში.

10-მდე თითო თანხმოვნით გამოხატული ბგერა-სიტყვა დღემდე ინტენსიურად იხმარება ე.წ. მეგრულ (იბერიულ) ენაში. ჩვენ, კიდევ, აღვადგინეთ დასაკარგად განწირული თითო თანხმოვნიანი სიტყვები ე.წ. მეგრულ ენაში არსებულ 30-ივე თანხმოვანზე, რომელთაგან უმრავლესობას გააჩნია სამი და მეტი ომონიმი, ხოლო ბგერა – სიტყვას **გ,** 15-მდე ომონიმი, ანუ მნიშვნელობა გააჩნია. ეს ჭეშმარიტება მეგრული ენის გვიანდელ წარმოშობას კი არა, მის გლოტოგონიურობას, პირველსაწყისობას ამტკიცებს, რადგან დადასტურდა, რომ ბგერები წარმოშობილია ბუნებაში არსებული თითო ბგერით გამოხატული სიტყვებისაგან და როგორც მსოფლიოში უძლიერესი ფონეტიკოსი – აკად. გიორგი ახვლედიანი ვარაუდობდა **„ბგერების წარმოშობის გადაჭრას შეუძლია, საერთოდ, გადამწყვეტი სიტყვა თქვას მეტყველების წარმოშობის საკითხში, რამეთუ არაფერი არ არსებობს ისეთი საერთო რამ ყველა ენისათვის, ვიდრე ფიზიკურ-ბიოლოგიური ბგერის გამოყენება სამეტყველო მასალად“** (იხ. გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, 1999, გვ. 390). და, რაც მთავარი და საოცარია, ამ 30-ივე ბგერა-სიტყვასა და მათ ომონიმებში ასახულია ადამიანის ყველა ის თვისება, რომელთა ჭეშმარიტად რაციონალურ მართვას შეუძლია განღმრთობამდე მიიყვანოს იგი. აღსანიშნავია, რომ ჩვენი საერთო სალიტერატურო ენის ეროვნული წარმოშობის ლექსიკური ფონდის მნიშვნელოვანი ნაწილი თითო თანხმოვნიანი სიტყვებისა და ბუნებაში არსებულ ბგერათა ჰარმონიულ კომპლექსთა კომპოზიტებიდანაა ნაწარმოები. ამ მიმართულებით შესწავლილი გვაქვს 500-ზე მეტი ძირისეული, ლექსიკური ფორმა, მაგრამ ყველაფრის აქ წარმოდგენის საშუალებას ჟ-ლის ფორმატი და სპეციფიკა არ იძლევა.

ამას გარდა, ხმელთაშუა ზღვის აუზის ენებში აღმოჩენილია 5000-მდე სიტყვა იდენტური იბერიული მოდგმის ენათა ლექსიკისა. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია, ქართველთაგან, აკად. რისმაგ გორდეზიანისა და მკვლევარის ვლადიმერ ალფენიძის შრომები, ხოლო უცხოელთაგან კი ყველა დროის უდიდესი გერმანელი მეცნიერის ვილჰელმ ჰუმბოლდტის, ჰოლანდიელი მეცნიერის – ფურნიეს და სხვათა. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული 5000 სიტყვიდან ვერცერთი სიტყვის ეტიმოლოგიას ვერ ხსნის, ე.წ. მეგრული ენის გარდა, ვერცერთი სხვა ენა, რაც იმას ნიშნავს, რომ უცხოელებს იმ დროიდან შემორჩათ ე.წ. მეგრულის (იბერიულის) იდენტური სიტყვები, რა დროიდანაც ის საერთაშორისო ენას წარმოადგენდა და არა პირიქით, რადგან უფუნქციო, ან ფუნქციადაკარგული ენისგან ნასესხობა გამორიცხულია.

*(გაგრძელება მე-11 გვერდზე)*

**სახალხო მოძრაობა**
**„სამეგრელოს“ ზუგდიდის**
**ორგანიზაცია სამძიმარს**
**უცხადებს ქალბატონ მაგული**
**მესხიას დედის**
**ფევდოსია ფიფია-მესხიას**
**გარდაცვალების გამო.**

# პოლემიკა ფრიად აქტუალურ საკითხებზე

**ფსიქოლოგი** – გამართული ადამიანის სადგომის ძირითადი ატრიბუტი ცეცხლია, თავად ცეცხლისა კი – კვამლი და სინათლე. კაცობრიობის ისტორიაში,ოდიდგანვე, ორივე მათგანი სასიგნალო და საორიენტაციო საშუალებად გამოიყენებოდა. ამიტომ, უეჭველია, ეს უკანასკნელნი და გამართული ადამიანის სადგომი თუ სამოსახლო ერთიან მოაზრებებში იქნებოდა. მ. ე. ფუძე ენაში კვამლისა და სინათლის სახელები ნათესაობას უნდა ავლენდნენ სამოსახლო-სადგომისასთან.

**ისტორიკოსი** – ასეცაა: ლაზ. ო-ფუტ-ე „ადგილი სახლის გარშემო,ეზო,რაიონი“ და ძვ. ქართ. ფუტი „ ავი კვამლი (ლ.ქ. ს.ს.ო. ); ქართ.კომლი > კვამლი და კომლი „ცალკე ოჯახი“; სლ. დიმ „კვამლი“ და დომ„ სახლი“; ლაზ. თე“სინათლე“ და მეგრ. თი იგივე თა „ოჯახი, სახლ-კარი, ადგილი.“ ეს უკანასკნელნი,ძველკოლხურის უშუალო მემკვიდრეთა — ლაზური და მეგრული ენის თ თანხმოვნიანი მარცვლები გვიჩვენებენ გამართული ადამიანის მეტყველებას იმ დროისა, როგორც ნიშანსვეტს,როცა ის აკუსტიკურ თვისებას მოკლებულ, მაგრამ თვალსაჩინოებით გამოხატულ სინათლეს და მასთან დაკავშირებულ იგივე თვისებების საგან-მოვლენების სახელდებას ახდენს ერთადერთი არახმაბაძვითი თ ბგერით. იგივეს გვიმტკიცებენ ფაქტები: ენათმეცნიერებაში სინათლისა და მისი ეტიმოლოგიური ამოსავლიანობით განპირობებულ რიგ სახელებში ძირად მიჩნეულია თ ბგერა (იხ.„გ.თ.“გვ.114). ავტორმა მნიშვნელოვნად გაზარდა ამგვარი ლექსიკა, მათ შორის უცხო ენათა ხარჯზეც. ანუ უცხო ენებშიც დააფიქსირა ქართვ. ელემენტი, ამ შემთხვევაში,თ ბგერა.

**ავტორი** – ჯერ ქართველური ლექსიკა დავასახელოთ. ესენია: ნა-თ-ება, სი-ნა-თ-ლე,მ-ნა-თ-ობი,მ-თ-ი-ები; მეგრ. ნო-თ-ე „მნათობი“,სი-ნ-თ-ე „სინათლე“,გო-თ-ე „განათებული ადგილი“; ლაზ. თ-ე „სინათლე“; ქართ. თ-ე-თ-რი (სხივ-შუქიანობის გამომხატველი თ ძირი გაორმაგებულია); მეგრ. თ-ო-ლი > თ-უა-ლი > თ-ვა-ლი (მხედველობის ორგანობასა და სინათლის კავშირი უცხადესია); ქართ. თ-ოვა, მეგრ. თ-უალა „თოვა“; მეგრ. თ2 + რე = სინათლის არსებობა > თ-ი-რი „თოვლი“ (თოვლის სითეთრე ნათებაა ამოსავალი)“; ქართ. თ-ოლია, მეგრ. მა-თირ-ია „თოლია“ (თოლია თეთრი ფერის ფრინველია); დედა-მ-თ-ილი, მამა-მ-თ-ი-ილი// მეგრ. დია-ნ-თ-ილი, მუა-ნ-თ-ილი: ამ სიტყვების თ-ილ ნაწილის ძირია თ და ამ ხანდაზმულ ადამიანთა თმების ფერზე – სითეთრეზე მიანიშნებს.

ქართ. ნ-თ-ებას მეგრ. შესატყვისი – მო-ნ-ტ-ება თ ბგერის ექვივალენტური ტ ძირითაა წარმოდგენილი.

თუ მეტრ ქართვ. ენათმეცნიერთა დასტურით,მ-თ-იებ-ის ძირია თ,იგივე იქნება – მ-თ-ვარ-ე და მ-თ-ა სიტყვებისა,რადგან მთვარეს და კავკასიის მარად თოვლიან მთებს სინათლის არანაკლები თვალსაჩინოება გააჩნიათ,ვინემ მთიებს.(შდრ. თოთი-ანი ”ს. მესტიის რ-ში;” თოთი ”მწვერვალი,მყინვარი და უღელტეხილი” სვ. კავკასიონი”).

ქართ. თ-ენებას მეგრ. შესატყვისი – თანაფა თენებააცაა და აღდგომაც. დამეთანხმეთ, თანაფა „თენება“ აღდგომის არც თუ ურიგო პოეტური აღმაფრენის მეტაფორა ყოფილა.

**ფსიქოლოგი** – ბატონებო,ავტორმა თ ბგერიდან წარმოქმნილი,საკმაოდ მდიდარი ლექსიკა წარმოადგინა: მასში ბევრია ზმნა და, ამიტომ, მისი სრული რაოდენობა აქ მოცემულზე შეუდარებლად მეტია. ყველა ესენი გვიმტკიცებენ თუ როგორ მოხდა მოვლენისა და ნიშნის ერთგვაროვნობაზე დაფუძნებული სახელდება: თ ბგერა არაა ხმაბაძვითი, ხოლო აღწერილ მოვლენებს ხმიანობა არ გააჩნია: თბგერის ადგილზე შეიძლება ყოფილიყო სხვა ნებისმიერი არახმაბაძვითი, რომელთა რაოდენობა მცირეა. ამიტომ, ნებისმიერობა შესღუდულია,თანაც მცირე ინტერვალში.

**ავტორი** – სწორია. უფრო მეტიც: წარმოთქმის მიხედვით ახლოსმდგომნი (ამ შემთხვევაში დენტალები),ვარიაციისთვის განკუთვნილი დროის ხანგრძლივობის გამო,კანონიერი იქნებოდა გაგვეიგივებინა. ამაზე მეტყველებს ქართვ. თ ელემენტის უცხოური ექვივალენტები:

თ ძირიდან ამომდინარეობა ქართ. თ-ვე, თ-თ-უე//მეგრ. თ-უ-თ-ა იტყვებისა,უეჭველია. მ. ე. ეგვ. თ-ო-თ-ი\\დ-ჰოვ-ტ-ი\\თ-უ-ტ-ი „მთვარის, ჟამთა სვლის“... ღმერთის ამ სახელებში თ ბგერაა ამოსავალი: თ > დ//ტ;

მეგრ. დ-ღ-ა „დღე ორ ძირიანი კომპოზიტია“ დ (<თ) სინათლეს აღნიშნავს,ღ = ქონებას (მიღ = მაქვს, უ-ღ = აქვს. ძირია ღ ). ჯამში: დ + ღ= სინათლის ქონებას.

თუ მეგრ. თ > დ სწორია, რატომ არ უნდა ვიგულისხმოთ იგივე პროცესი სლ. დ-ენ,ინგლ. დ-ეი) ლატვ. დ-იენ და ა.შ უცხოურ სიტყვებში; გერმ. ტ-ა-გ „დღე“მეგრ. დ-ღ-ას სრული ექვი ვალენტია: თ > დ, ღ > გ

ბოლოს – უმნიშვნელოვანესი ფაქტი: ლაზ. თე, მეგრ. თი//თა სიტყვები გვაქვს არამარტო, ზემოთქმულ მნიშვნელობებად, არამედ უხშირეს ქართვ. სუფიქსებადაც (კახე-თი, ფო-თი, ურ-თა და ა. შ.). მაშ, ეს მნიშვნელობებია მიზეზი ამ სიტყვების სუფიქსებად დაფუძვნებისა.

**ანთროპოლოგი** – ოღონდ. როგორცა ჩანს, ეს უკვე ეხება შელ, აშელის კულტურათა აქეთა პერიოდებს. თუმცა, უნდა აღინიშნოს,რომ სიტყვათა წარმოქმნის ავტორისეული ქრონოლოგიებიშეიძლება იყოს მხოლოდ მიახლოებითი

**ავტორი** – გეთანხმებით, მაგრამ უცხადესია: ერთეული ბ. და ბკ-ით მეტყველება უძველეს ეპოქებს განეკუთვნება: რაკი გამართულ ადამიანს სინათლის ძირად თ გააჩნია, რომელშიც კერია-საცხოვრისის მნიშვნელობა იყო განვრცობილი, შემდეგ პერიოდებში თ+ურსადაურობის სუფიქსი მოგვცემდა თურ სიტყვას საერთო კერიის თუ სანათესაო-საგვარეულოს გაგებით. მართლაც,მეგრულში დღესაც არის სიტყვები: თურ-ი „მოგვარე, ნათესავი, შენიანი და უ-თურ-ი „არმონათესავე, არმოგვარე, სხვისიანი“.

ბერძნულ ნასესხობად მიჩნეულ ( თემადან) თემ-ი აგებულებით თურ-ის აშკარა ექვივალენტია. პლიუს ამას, განხილული, თ ძირიან ლექსიკასთან ქართვ. ტერმინ თემ-ის შედარება მათთან,ამ უკანასკნელის ნათესაობას ღაღადებს, რაც ბერძნულში პოვნიერ თემ-ა ტერმინს ქართველურ ელემენტად წარმოაჩენს.

**ისტორიკოსი** – სესხება-უკუსესხების საკითხი კი,ჯერ-ჯერობით,უპრიანია ღიად დავტოვოთ.

**ავტორი** – თ ბგერასთან დაკავშირებით, დამატებით,აი,რა შეიძლება ითქვას: მეგრ. სიტყვა – თი მონაწილეობს – ა-რ-თი//ე-რ-თი, ხუ-თი, შვი-დი//შკვი-თი რიცხვითი სახელების წარმოქმნაში.

**ენათმეცნიერი** – ავტორი, ხშირად ასეთ ფანტასტიკურ „აღმოჩენებს“, რომ არ ჩაურთავდეს,ვფიქრობ ნაშრომი მეტს მოიგებდა.

**ავტორი** – პირიქით: ცხადად ვაჩვენებთ თუ რა სემანტიკური ამოსავლიანობა გააჩნიათ ქართვ. რიცხვით სახელებს: ოღონდ, მანამდე მკითხველს, უმორჩილესად, ვთხოვ, უშუალო თვალსაჩინოებაზე დაფუძნებულ მათემატიკური ტ-ის – მცირე და მატება (მიმატება)-სშესახებ კვლავ გადაიკითხოს გვ. 30,31,ხოლო – დია და დიდის შესახებ გვ.105.

**ისტორიკოსი** – დავიწყოთ ნოლი// ნული-დან, რომელიც ქართვ. თუ სხვა ენებში ყოველგვარი სიდიდის არარსებობას (არარაობას)აღნიშნავს. იგი ლათ. წარმომავლობისად მიაჩნიათ,სიტყვიდან ნულლუს „არავითარი.“

**ავტორი** – დავესესხოთ, კონკრეტული მნიშვნელობის აღმნიშვნელ,მაგრამ ლათ. ნულლუს-თან აგებულებით მსგავს მეგრ. სიტყვას – ნოლი „ ნუნა.“მას, როგორც კონკრეტული რაობის აღმნიშვნელს, თითქოს არარაობასთან (ნულთან არავითარი კავშირი გააჩნია,მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. სინამდვილეში, ვუნდტის მიხედვით, როგორც უკვე ითქვა, სიტყვის ნიშნად ჩამოყალიბებას აუცილებლად, „უშუალო თვალსაჩინოება“ჭირდება. სწორედ ეს თვალსაჩინოება არარსებულისა თუ არარაობისა გააჩნია ნუნებს, როცა ღრძილებზე კბილები არაა. უნდა მივხდეთ: უკბილო ნუნების ჩვენებით ერთი ადამიანი მეორეს არარსებულზე, არარაობაზე მიუთითებდა და არსს ამ უკანასკნელისას აგებინებდა. ამგვარმა თვალსაჩინოებამ კი შესაძლებელი გახადა კონკრეტულის სახელი – მეგრ. ნოლი „ნუნა“ გამხდარიყო მათემატიკური – აბსტრაქტულის (არარაობის) აღმნიშვნელი ნიშანი (სიტყვა)ნოლი „ნუნა“. გარდა ამისა, უმნიშვლონვანესია, რომ ციფრობივი ნიშანი 0 იკონურია: იგი აშკარად მსგავსებაშია პირგაღებულ უკბილო ნუნების მოხაზულობასთან.

1. ნოლი//ნულ-ის შემდეგ,თვლა იწყება ე-რ-თი//ა-რ-თ-ით. ამის შემდეგ და შვიდამდე ყოველი ციფრი ატარებს უძველეს ფილოსოფიებში ბუნების საწყისი ელემენტების სახელებს. მეგრ. ა-რ-თი კი = აი, არის ადგილი. ესე იგი ე-რ-თი//ა-რ-თი = ათვლის საწყისი ადგილი ანუათვლის წერტილი. თვლა ხომ იწყება ერთიდან.

2. ორი// ჟირი: შამპოლიონმა რა – მზეს იორიგლიფიდან დაწყებული, ძვ. ეგვ. დამწერლობა როცა გაშიფრა, აბა, რას იფიქრებდა,რომ ეს სახელი – რა, დიდი ხნით ადრე, კოლხ. პროტოშუმერთა მზე ღმერთის სახელი იყო, ჩატანილი რიონ-ენგურის შუამდინარეთიდან – შ2-მერე > ი-მერ-იდან. ო,რა ვედრების მიმართვა იყო მზე ღმერთისადმი, ოღონდ შემდეგ თავადაც (შერწყმულად შორისდებულისა სახელთან), იგივე ღმერთის სახელად ქცეული. ო-რა > ორი და ჟა მეგრ. მოფერებით „მზე, რძე“ + რა > ჟა-რა > დისიმილაციით: ჟი-რი: მეგრ. „ორი“ რიცხვითი სახელით მოცემულია პირველი სტიქიონი – ცეცხლი//მზე//მზე ღმერთი.

**ენათმეცნიერი** – მეგრ ჟირი მიღებულია მისი ქართ. შესატყვის — ორი-დან. ჟ ახალი ბგერაა.

**ავტორი** – დასაშვებია,მაგრამ მათემატიკური ტერმინები და მ. ე. ჟირი-ც ახალია. ამ უკანასკნელის წინაფორმა – ჟა-რა იმ დროზე ხომ არ მიანიშნებს, როცა რა,სახელი მზისა, სხვა სინონიმებთან შედარებით პოზიციებს თმობს,ამიტომაც მოითხოვა ატრიბუტი,თანაც ისეთი იშვიათი რომაა: არსებითმა სახელმა – არსებითი: ჟა-რა უდრის მზე რა-ს ანუ მზეს სახელით რა. (ჟა მეგრული ბჟას წინაფორმად ხშირია: ჟა-შ-ხა = ჟა-შ-დღა = მზის დღე; ჟა-მი „დრო. ხანი„/იხ. გვ. /; ტოპონიმები: ა-ჟა-რა/ს. გუდაუთა/; ჟა-ლე + თი ზედმიწ. „მზიანი ადგილი“. ბოლო მაგ. შეიძლება ზუსტი არ გამოდგეს,რადგან კახეთში ადრ. შუა საუკუნეების ადმინისტრ. რელიგიური ცენტრ ჟალე-თთან ახლოს მთას ქვია ჯა-ლე-თი,რაც ხეებიანი ადგილია მეგრულად. ამგვარად, ჟალეთ და ჯალეთ სახელებში ჟ და ჯ ბგერებს შორის იმგვარივე მიმართებაა, როგრიც სიტყვებში ჟინი და ჯინი)

**ედემი იზორია**

# მეგრული ენა – ახალწარმოშობილი უმწერლობო ენა, თუ გლოტოგონიური ფენომენი?

*(გაგრძელება მე-10 გვერდიდან*

ე.წ. მეგრული ენის პირველადობის (ძირისეულობის) დამადასტურებელი კიდევ მრავალი მტკიცებულებების მოტანა შეიძლებოდა, მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, ჟ-ლის სპეციფიკურობის გამო შეზღუდული ვართ.

სამარცხვინო და უსუსურობა ისაა,რომ, მიუხედავად იმისა,კარგად იცნობენ მამანტი ძაძამიას და ჩვენს შრომებს,მეცნიერებათა ეროვნული აკადემია და ენათმეცნიერების ინსტიტუტი არ ინტერესდება ე.წ. მეგრული ენის პრობლემით და, მიუხედავად იმისა, მეგრული ენის მრავალრიცხოვან შეურაცხყოფათა კასკადის გამო, ლამის დაშლამდე მივიდეს საქართველო, ნაზი ხანიაშვილის მსგავს **„მეცნიერებს“** ფართო სარბიელს უთმობენ, ხოლო თვითონ მათ სამარისებრი დუმილი დაუფლებიათ.

ვერაგი მტერი, ალბათ, აქეთ ქართველ მეცნიერებს აქეზებს: დააკანონეთ მეგრული ენა დიალექტად,თორემ ქართველები ჰეგემონობას დაკარგავთო (ან კიდევ,შეიძლება, ქართველი ერის მოსპობის მიზნით მოსყიდულ არიან, რამეთუ შადიმანები არცერთ დროში არ მოჰკლებია საქართველოს) და ამ მიზნით აკად. მ. ლორთქიფანიძემ (საგამომცემლო კომისიის თავმჯდომარე იყო) საქართველოს ისტორიის 2012 წლის გამოცემაში,10-12 წლის წინათ გარდაცვლილ მეგრული წარმოშობის აკადემიკოსს – ანდრია აფაქიძეს დააბრალა: **„იბერია ქართლის ელინური სახელწოდებაა“**-ო (იხ. ტომი I, გვ. 264), თორემ ეროვნულ ცნობიერებაში ასეთი სახელწოდებით ქვეყანა არ არსებობდაო, რის გამოც მ. ლორთქიფანიძე წმინდა გიორგის ორდენით დააჯილდოვა საპატრიარქომ გვარგამოცვლილი დაშნაკი სომეხის – ანანია ჯაფარიძის ზეგავლენით. იმავდროულად, იქეთ მეგრელებს ჩარხავს, ვერ ხედავთ როგორ გჩაგრავენ ქართველები,დამოუკიდებლობა გამოაცხადეთო. და გამოჩნდა, კიდეც, ვინმე იური ღვინჯილია,რომელიც თურმე სამეგრელოს დამოუკიდებლობისათვის იბრძვის,მაგრამ, ცხადია, მთავარი დამნაშავე ის **„ქართველია“**, რომელიც საქართველოს მარადგამაერთიანებელ სამეგრელოს,თავისი დუმილით, საქართველოს დაშლისკენ უბიძგებს.

ორივე შემთხვევაში სამეგრელო საქართველოს გამოეყოფა,თუ კაცობრიობის პირველსაწყისი მეგრული (იბერიული) ენა ქართულისაგან წარმოშობილად ჩაითვლება და მეგრელები საქართველოს შემადგენლობაში მონობას შეეგუება, საქართველოს არსებობას ხანგრძლივი სიცოცხლე არ უწერია,რადგან ქართველი ერი რჩება სპარსთა, ელინთა, სომეხთა, ლათინთა,არაბთა,თურქთა და რომელიღაც უცხო და უცნობი ხალხის **ნარევი ერი.** ორივე შემთხვევაში, მიხაილ სუსლოვის ვერაგულ გეგმას ეძლევა რეალიზაციის უპრობლემო საშუალება.

ერთადერთი გამოსავალი ჭეშმარიტების, ანუ ქართველთა მიერ პროტოქართველებად იბერთა (მეგრელთა) აღიარებაა. სახელდობრ,მეგრელთა,რადგან ვერცერთი სხვა ენა დედამიწაზე, არათუ სხვათა ენის, არამედ საკუთარი ლექსიკის ეტიმოლოგიასაც ვერ გახსნის სინქრონიულ-დიაქრონიულ დონეზე, გარდა მეგრულისა. ამას ქ-ნი ნაზი ხანიაშვილივით სიზმარში ნანახი ზმანებების საფუძველზე კი არ ვამბობთ,არამედ ამის დამადასტურებელი უამრავი მაგალითები გაგვაჩნია და დაინტერესებულნი შეგვიძლია გავაცნოთ. ამიტომაა მეგრული ენა პირველსაწყისი, ანუ გლოტოგონიური ფენომენი. ხოლო თუ ამ ჭეშმარიტებას მსოფლიო აღიარება ექნება და წამყვანი ლინგვისტები შეუდგებიან მეგრული ენის საფუძვლიან შესწავლას, ღრმად მწამს რომ ენათმეცნიერება თავისი განვითარების ისტორიაში ტრიუმფალურ ნახტომს გააკეთებს,რაც დიდად შეუწყობს ხელს ბუნების ძალების და,საერთოდ,სამყაროს სრულყოფილ შეცნობას; ეს კიდევ, თავის მხრივ, ჩვენის აზრით, საფუძველს დაუდებს მსოფლიო საზოგადოების სულიერ-ზნეობრივ აღმავლობას; შეწყდება ომები; აღარ იქნება ადამიანთა მიერ ადამიანთა ექსპლოატაცია; განმტკიცდება ადამიანებს შორის ჰარმონიული თანაცხოვრება; ურთიერთ პატივისცემა, სიყვარული და ღვთიური ცხოვრება დაისადგურებს დედამიწაზე.

ამრიგად, ადამიანებს და, საერთოდ, კაცობრიობას სიკეთისა და ბოროტების გარჩევის უუნარობა სტანჯავს, თორემ მეგრულ ენას და მის გონივრულ გამოყენებას წარმოუდგენლად ბევრად მეტი სიკეთის გაცემა შეუძლია, ვიდრე მათ ამ ფენომენის დაკნინებითა და მოსპობით ჰგონიათ მიიღებენ.

ტრაგედიაა, რომ ასეთ ვითარებაში ქართველ კომპეტენტურ მეცნიერებს სირაქლემას პოზა უჭირავთ. ყველაზე საგანგაშო კი ისაა, რომ, მიუხედავად იმისა, მრავალი წერილი გამოვაქვეყნეთ გ-თ **“ილორში”** ქვეყნის წინაშე დამდგარ ამ ურთულეს პრობლემასთან დაკავშირებით, ვერ გამოჩნდა ეროვნული სულის მატარებელი ქართველი კაცი, რომელიც ქვეყნის ამ უმძიმეს სატკივარს გულთან მიიტანდა და ჭეშმარიტებას განადიდებდა.

ასეთი ვითარება ბუნებრივად ბადებს კითხვას: მეგრელთა ამბოხის შიშით ოფიციალურად არ აცხადებენ, თორემ დაპყრობილი ხომ არ ვყავართ უცხო აგრესიულ ძალას,რამეთუ რამდენიმე მეგრელის გარდა,ხმის ამომღები,ჭეშმარიტი ქართველები არ ჩანან საქართველოში?

მიუხედავად იმისა,კარგად გვესმის,რომ, როგორც სამეგრელოს დამოუკიდებლობის გამოცხადების,ისე ჩვენს ქვეყანაში უცხო ძალთა გაბატონების შემდეგ სამეგრელოს ხანგრძლივი სიცოცხლე არ უწერია, თუ ეს ეჭვი დადასტურდება (ბოდიშს ვიხდი მკითხველის წინაშე) მიმიფურთხებია იმ მეგრელისათვის,რომელიც იგუებს უცხო ძალის გაბატონებას საქართველოში და შეურიგდება თავისი არსებობის მონობაში დამთავრებას.

**კუკური ფიფია,**
**„ფაზისისა“ და „აიას“ საერო-სამეცნიერო აკადემიების აკადემიკოსი,**
**კოლხური კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისა და დაცვის ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი.**

P.S. ეს წერილი,ნაზი ხანიაშვილის წერილის გამოქვეყნებიდან, ერთ კვირაში გადავუგზავნე **ფენომენის** რედაქციას,მაგრამ აგერ უკვე ოქტომბერი მთავრდება და ვერა და ვერ გაბედა მისი დაბეჭდვა აღნიშნული ჟურნალის მთავარმა რედაქტორმა ბ-ნმა გიგლა გობეჩიამ. ამიტომ მივმართე იმ გაზეთის რედაქტორს, რომლისთვისაც ჭეშმარიტება ბევრად ძვირფასია, ვიდრე პირადი კეთილდღეობა.

## სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

# რატომ ნანობს ლევან ყენია თემურ ქეცბაიასთან დაპირისპირებას



ლევან ყენია თამაშობდა ბუნდესლიგის კლუბ "შალკე 04"-ში. იყო ლვოვის "სპარტაკის" შემადგენლობაში. 2013 წელს დიუსელდორფის "ფორტუნას" ფეხბურთელი გახლდათ. თუმცა უკვე რამდენიმე თვეა, კლუბის გარეშეა დარჩენილი. საქართველოს ნაკრებში კი ბოლოს 2013 წელს ითამაშა. საფრანგეთთან თამაშის შემდეგ თემურ ქეცბაიას ნაკრებში არ გამოუძახებია.

ლევან ყენია მეუღლესთან, სერბ სლავკა ყენიასთან ერთად გერმანიაში ცხოვრობს. გავიგეთ, რომ ლევანი სხვადასხვა კლუბთან მოლაპარაკებებს აწარმოებს. სიახლეების გასაგებად ფეხბურთელს გერმანიაში დავუკავშირდით.

**– ლევან, ახალ კლუბთან მოლაპარაკებები როგორ დამთავრდა?**

– ჯერჯერობით არ დამთავრებულა. მოლაპარაკებები ცოტა გაჭიანურდა. ვნახოთ, რა იქნება.

**– რომელ კლუბთან გაქვს მოლაპარაკებები?**

– დაკონკრეტებისგან თავს შევიკავებ.

**– ქართული ფეხბურთის ამომავალ ვარსკვლავს გეძახდნენ. სამწუხაროდ, უკვე რამდენიმე თვეა, კლუბის გარეშე ხარ დარჩენილი. ეს ყველაფერი განწყობაზე ხომ არ მოქმედებს? აგრძელებ ვარჯიშს?**

– რა თქმა უნდა, სამწუხარო ამბავია, მაგრამ რას ვიზამთ, ცხოვრება და ფეხბურთი ასეთია. რაღაც შეცდომები დავუშვი, ცოტა არ გამიმართლა და ასე აღმოვჩნდი კლუბის გარეშე. ვიმედოვნებ, რომ რთულ პერიოდს თავს დავაღწევ. რა თქმა უნდა, კლუბის გარეშე ყოფნა განწყობაზე მოქმედებს. ინდივიდუალურად ვვარჯიშობ, მაგრამ ეს სრულფასოვან ვარჯიშს ვერ შეედრება.

**– თქვი, შეცდომები დავუშვიო. რას გულისხმობდი?**

– რამდენიმე გუნდში თამაშზე უარი ვთქვი.

– საქართველოს ნაკრებში თამაშზეც უარი განაცხადე. იმ ფეხბურთელებს შორის ხარ, რომლებიც თემურ ქეცბაიას დაუპირისპირდნენ. ახლა ხომ არ ნანობ?

– ვნანობ, იმიტომ რომ ამით ისევ ჩემს თავს და ჩემს ქვეყანას ვავნე. მაგრამ ვხვდებოდი, რომ მწვრთნელი ჩემთან ურთიერთობის დალაგებას არ ცდილობდა და ჩავთვალე, რომ უკეთესი იქნებოდა, თუ ერთად არ ვიმუშავებდით. არადა, როგორც ახლა ვხვდები, ჩემი ქვეყანა ძალიან მაკლია, მაგრამ ამ მომენტში ნაკრებში თამაშის პრეტენზია არც მაქვს, რადგან უგუნდოდ ვარ.

**– როგორ ფიქრობ, საქართველოს ნაკრების წარუმატებლობის მთავარი მიზეზი რა არის?**

– ასე პირდაპირ და გადაჭრით ვერავინ იტყვის, რა არის მიზეზი. მე ყოველთვის ვამბობდი, ჯერ კიდევ 3 წლის წინ, როცა ტრავმის შემდეგ თამაში დავიწყე, რომ ამ ნაკრებს შეტევაში მეტი პოტენციალი აქვს. ჩემი აზრით, უბრალოდ, ნაკრებს სჭირდება მეტი გამბედაობა, მეტი თავდაჯერება. თავდაჯერება კი ასეთი თამაშით არ მოვა. მეტი უნდა შევუტიოთ, შეტევაში მეტი აგრესია გვჭირდება, უფრო მაღლა უნდა ვითამაშოთ ჩვენი საჯარიმოდან. მე ასე მგონია. დარწმუნებული ვარ, ნაკრები დროთა განმავლობაში შედეგს აჩვენებს.

**– როგორც ვხვდები, არ ფიქრობ, რომ თემურ ქეცბაიამ აუცილებლად უნდა დატოვოს მთავარი მწვრთნელის თანამდებობა...**

– ახლა გადაჭრით არაფრის თქმა არ მინდა.

**– გვიამბე შენ შესახებ, როდის დაიწყე ფეხბურთის თამაში?**

– 5 წლის ვიყავი, თამაში რომ დავიწყე.

**– ფეხბურთზე სიარული სწავლაში ხელს არ გიშლიდა?**

– მიშლიდა. სამწუხაროდ, სწავლას ნაადრევად გავანებე თავი. მეცხრე კლასიდან გამოვედი, მაგრამ სწავლა ყოველთვის შეიძლება.

**– რა პროფესიას დაეუფლები ახლაც დიდი სიამოვნებით?**

– მწვრთნელობა ან გუნდის მენეჯერობა ძალიან მომწონს. მალე ალბათ სწავლასაც დავიწყებ.

**– ფეხბურთს ოჯახში ვინმე თამაშობდა?**

– ბიძა მყავს ფეხბურთელი, გიორგი კიკნაძე, რომელიც წლების წინ საქართველოს ნაკრებში თამაშობდა.

**– ბიძა, ალბათ, ძალიან კრიტიკულია შენ მიმართ და უნდა, რომ უფრო ბევრს მიაღწიო ფეხბურთში.**

– რა თქმა უნდა. თავის დროზე თვითონ ნაადრევად დაანება თავი ფეხბურთს და ძალიან გაუჭირდა ამ ამბის გადატანა.

**– გყავს დედმამიშვილი?**

– სამწუხაროდ, არა. ვისურვებდი, რომ ძმა მყოლოდა.

**– გვიამბე შენს მეუღლეზე. როგორც ვიცი, წარმოშობით სერბია.**

– სერბი გახლავთ, გერმანიაშია დაბადებული.

**– საქართველო თუ გააცანი?**

– რასაკვირველია. საქართველო ძალიან მოსწონს. თბილისის ბუნება ძალიან მოეწონა, მაგრამ თავად ქალაქით მაინცდამაინც არ მოიხიბლა. ძალიან მოეწონა ბათუმი. წელს ვიყავით და შემდეგ წელსაც ვაპირებთ, ოღონდ ცოტა უფრო დიდი ხნით.

**– გერმანიაში რომელ ქალაქში ცხოვრობთ?**

– დიუსელდორფში ვცხოვრობდი, სანამ იქ ვთამაშობდი. ახლა გელზენკირჩენში ვართ.

**– მეუღლე რას საქმიანობს?**

– ჯერჯერობით არაფერს. მეორე შვილს ველოდებით.

**– ძალიან საყვარელი გოგონა გყავთ. მეორე გოგონა დაიბადება თუ ბიჭი?**

– რა თქმა უნდა, ბიჭი.

**– როდის ელოდებით?**

– უკვე ძალიან მალე.

**– ჩვენ ორშაბათს გამოვდივართ, იმ დროისთვის უკვე დაბადებული იქნება?**

– შეიძლება, ასეც მოხდეს.

**– სახელი ალბათ უკვე შერჩეული გაქვთ?**

– სამწუხაროდ, ჯერ არა. მე და ჩემი ცოლი ვერ ვთანხმდებით.

**– რა ვარიანტები გაქვთ?**

– ძალიან ბევრი. არჩევანს რომელზე გავაკეთებთ, ჯერ არ ვიცი, მთავარია, ბავშვი ჯანმრთელი დაიბადოს.

**– სერბეთი, სლავკას მშობლიური მხარე მოინახულეთ?**

– რა თქმა უნდა. უკვე ბევრჯერ. ჩვენ ორივე მართლმადიდებელი ქვეყნებიდან ვართ და ჩვენი ისტორიები ერთმანეთს ძალიან ჰგავს, მაგრამ მენტალურად ცოტა განვსხვავდებით. ყოველ შემთხვევაში, მე ასეთი შთაბეჭდილება დამრჩა. კონკრეტულად მაგალითს ვერ გეტყვი.

**– სერბული ისწავლე?**

– ბევრი რამ მესმის, მაგრამ ჯერ ვერ ვლაპარაკობ სერბულ ენაზე.

**– სლავკამ ისწავლა ქართული?**

– ბევრი რამ იცის და ცოტა ლაპარაკსაც ახერხებს.

**– აპირებ, მეუღლის მშობიარობას დაესწრო?**

– აუცილებლად. ეს ჩემი, როგორც მამის ვალია. პირველ მშობიარობასაც დავესწარი.

**– გული ხომ არ წაგივიდა?**

– (იცინის) არა, რატომ უნდა წამსვლოდა?

**– ამბობენ, ბიჭებს უჭირთ მშობიარობაზე დასწრებაო.**

– უბრალოდ, მეუღლის თავთან ვზივარ და ვამხნევებ, მე ხომ არ ვამშობიარებ?..

მერი კობიაშვილი

# გამოვიდა სერგეი კრემლიოვის წიგნ "ლავრენტი ბერია — XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი"-ს თარგმანის მეოთხე ტომი, რითაც დასრულდა ოთხტომეულის გამოცემა




უკვე გამოვიდა I, II, III და IV ტომები სერგეი კრემლიოვის წიგნისა "ბერია – XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი" (რედაქტორი ალექსანდრე შენგელია). გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" მხარდაჭერით. წიგნების შეძენა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ.№68-ში, სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ოფისში. ტელ. 599.209.624

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ.№6-ში (დიდუბე), ან, ყოველდღე, მეტრო "მარჯანიშვილის" ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან.

ცნობისათვის დარეკეთ – 599.573.322

– მეშვიდე მანქანა მომპარეს გუშინ.
– არაფერი მოიმოქმედე?
– კი. გადავწყვიტე, მერვე აღარ ვიყიდო და იბლაყუნონ აწი ფეხით...

* * *

– ალო, პოლიციაა?
– დიახ, რა გნებავთ?
– ხუთმა კაცმა მცემა, ღამის სამ საათზე, სკოლაში.
– ეგრე მოგიხდება, რა გინდოდა წესიერ ბავშვს, მაგ დროს, სკოლაში?
– დარაჯი ვარ, უფროსო.

* * *

მიხოს სიდედრის გასვენებაში ისეთი ხაშლამა შემოიტანეს, მთელი დარბაზი ფეხზე იდგა და ათი წუთის განმავლობაში ტაშს უკრავდა.

* * *

ღამით ცოლი ქმარს აღვიძებს.
– რა იყო? – თვალს იფშვნეტს ქმარი.
– ერთი კითხვა მაქვს.
– მკითხე, მერე.
– ასეთი პატარა ხელფასის პატრონს რა გაძინებს?

* * *

– ძვირფასო, როცა მოვკვდები, იტირებ? – ეკითხება ქმარი ცოლს.
– რა თქმა უნდა, საყვარელო, – პასუხობს ცოლი, – ხომ იცი, უბრალო რამეზედაც ვტირი ხოლმე.

* * *

მეგრელი და გურული საკანში სხედან.
– რაზე ზიხარ? – ეკითხება გურული მეგრელს.
– თოკი ვიპოვე და სახლში წავიღე...
– მერე, მაგისთვის დაგიჭირეს?
– რა ვიცოდი, თუ თოკზე ცხენი იყო გამობმული.

სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ზუგდიდის ორგანიზაცია მწუხარებით იუწყება, რომ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის სადადგმო ნაწილის გამგე

**გურამ საჯაია**

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს



**სახალხო მკურნალმა მოუგო ომი ჯერ კიდევ მძლავრ ნაციონალურ ფარმაკომაფიას, რომელიც მის დაძირვას ცდილობდა და კვლავ ჩადგა ხალხის ჯანმრთელობის სამსახურში**



დომენტი ბაბნიძის მიერ შექმნილი პრეპარატი არჩენს ავთვისებიან სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუვალობას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუასილს, ნერვის ანთებას, ნევროზს, ფსიქიკურად დაავადებულებს, ჰკურნავს გაფანტული სკლეროზს და შიდსს, შვილის ცერებრალურ დამბლას, ყურებიდან ჩირქდენას, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ცეროზს I და II სტადიებში, C-ჰეპატიტს, ნაღვლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, სახსრების დაავადებებს, ამყარებს იმუნიტეტს, და სხვა მრავალ დაავადებას.

მკურნალის კოორდინატებია: თელავი, სოფელი შალაური, ბაბნიძე ბიჭიკო (დომენტი). ტელ: 893-22-66-51

თბილისი, აწყურის ქუჩა №70 (მეტრო "ისანთან"), ყოველდღე – შაბათ-კვირის გარდა, 10-დან 16 საათამდე.



**მასთან სიცოცხლეზე ხელჩაქნეულები მიდიან და ჯანმრთელები ბრუნდებიან**



ISSN 1987-8966 ilori

ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

რედაქციის მისამართი: თბილისი. ბაქრაძის ქუჩა №6 სარეგ. №01018002930 234-32-95

ორი თაბახის ფურცელზე მეტი მოცულობის ტექსტი რედაქციას უნდა გაეგზავნოს ელ.ფოსტით (ან ლაზერის დისკით).

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია 599-34-37-27
სარედაქციო საბჭო: ზაურ ბახარია, ზურაბ ჯამბურია, თენგიზ კუბლაშვილი, ზვიად მირბატია, გივი სოხიშვილი, ვიქტორ ცაავა, გიორგი სიჭინავა, ნუგზარ სალაყაია (გალი)

გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე WWW.saqinform.ge